

ლიბერალური ალმანახი

ხმისძვრა

თებერვალი 2018



№ 6

სოფელ სამრეკლოს
წმ. სერაფიმე საროველის
სახელობის ტაძარი
1903 წელი

„ხმნიან უჯი“

ფასი 3 ლარი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2018 წელი

ს ა რ ჩ ე ჯ ი

იუბილე

ჯუმბერ უთრუთაშვილი.....	2
თამაზ წიკლაური.....	4
ჯუბა დებელი.....	7
თემურ ჩალაბაშვილი.....	11

პოეზია

ლევან ალავერდაშვილი.....	12
ზეინაბ მეტრეველი.....	14
ხათუნა მარტიაშვილი.....	16

პროზა

იოსებ იარღანაშვილი.....	17
-------------------------	----

პოეზია

ვაჟა ოთარაშვილი.....	30
ეკა კვანტალიანი.....	31

პროზა

ანზორ სიფრაშვილი.....	33
-----------------------	----

პოეზია

იკა ქადაგიძე.....	36
ლაშა მასხულია.....	38
ნუნუ ძამუკაშვილი.....	40

მარია პარნასელი.....	41
პაატა სურმანიძე.....	42
თეა ხასაია.....	43

ახალი სახელები

ნათია დაშნიანი.....	46
ლექსო გელაშვილი.....	47
ნატალი დარასელია.....	49

თარგმანი

სადეე ჰედაიათი.....	51
აბულ ფარაჯი.....	55

დედოფლისწყაროს ისტორიიდან

ნინო მახარაშვილი „კამბეჩოვანის ქალაქ ხორნაბუჯის ციხე-მაგარი“.....	57
---	----

იუბილე თსუ - 100

ბექა ზამთარაძე ადამიანი და ტაძარი.....	61
---	----

ახალი წიგნები

წიგნის წარდგენა დედოფლისწყაროში - ჩვენს ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.....	64
---	----



აღმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოგახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნონა ჯობლაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

აღმანახის ქუდის ავტორი:
სამბო ქართველიშვილი
დაიბეჭდა მპ პოლიგრაფში

გარეკანი გაფორმებულია:
**ვაჟა ყონიაშვილის, თემურ კოპიაშვილის და
ვაჟა ჩერაშვილის ფოტოებით**

ქუმბერ უთრუთაშვილი - 80

საქართველოს მწრდალთა შემოქმედებითი კავშირის მიღწევა

ჯუმბერ უთრუთაშვილი შესანიშნავი პოეტია. ქიზიყელი კაცი წამითაც არ მოშორებია თავის დედა სოფელს. იგი ერთგული შვილი გახლავთ თავისი ქვეყნისა. ერთ-ერთი დაუდალავე მსახურია ქართული ლექსისა.


...გინდ დაუჯერეთ, გინდ არა, ოთხმოცი წლისა გამხდარა. ბევრის მაგვარად არც ძვირფასი ჯუმბერი გაუნებებრება უღვთო წუთისოფელს, მაგრამ ვერავითარმა ტკივილმა ვერ ჩაუქრო სულის სიჭაბუკე და გულის ცეცხლი.

იჟამგრძელე — ძვირფასო უფროსო ძმაო, იღვგრძელე — ჩვენი ნირწამხდარი ქვეყნის საკეთილდღეოდ...

შენი უმცროსი კოლეგა

თამაზ ჩალაბაშვილი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე



მწრდალთა ასტროლოგია „ლიციატატილი კახეთის“ მიღწევა

80 წელი გასულა პოეტის დაბადებიდან. ამ წლებმა სამშობლოს — საქართველოს სიყვარულში გაიარა...

წინ დიდი მწვერვალები აქვს დასალაშქრი პოეტს. იგი ხომ სამშობლოს მკერდზე ანთია.

„ერთი, უბრალო, კაცი ვარ, სულით და ხორციით ქართველი, სამშობლოს მკერდზე ვანთივარ, როგორც — საყდარში სანთელი.“

მისი ლექსები — მისი გულის, სულის ნაჟურია. თემ-ატიკა მრავალფეროვანი, მაგრამ, მაინც მისი ლექსთა კრებულების პოეზიის ლეიტმოტივი სამშობლოს სიყვარულია.

„ეს ზეცა ქუდად მიმანჩია, მიწა — ქალამნად, სამშობლო — დროსთან შერკინებულ უდრეკ ფალაუნად. ქართველი კაცი — საქართველოს ჯავშან-გალაუნად.“

მიუყვება პოეტი ჭეშმარიტების, სიმართლის, სიკეთის, სიყვარულის გზა-ბილიკებს. მან კარგად იცის, რომ წუთისოფელი, ხან, სიუბრიზებს გვთავაზობს, ხან, სვედიან ამბებს...

„ლექსში იღვრება ჩემის სული, თანდათანობით, ვცარიელდები, როგორც პაპის ძველი ხელადა, მე ნეტარება მეუფლება, — მუზის წყალობით, გული ნათდება და ბრწყინდება, უცბად, ხელადა.“

ჯუმბერ უთრუთაშვილი ოთხი წიგნის ავტორია: „მამის ცრემლები“, „ზედაში“, „ამაღლება“ და „გოლგოთა“.

„მთელი სიცოცხლე ვნატრობ და ვცდილობ საკუთარ თავთან ვიყო მართალი, მაგრამ არ ვიცი, რით მოვიცილო, კაცი მოშურნე, ცრუ და ავთვალი.“

იგი უძღერის რთვლობას, მასაც ხომ პოეზიის რთვლობის ჟამი უდგას.

„მზე მტვენებში ჩაღვენთილა, წითლად ღუის რქაწითელი, ეფერება ვაზებს, ვით შვილს, მეზვრე, — დაკოჟრილი ხელით აპა, დადგა რთვლობის ჟამი, ჟამი — ვაზის ქორწილისა... და მარნებში მოჩუხჩუხებს — მადლი ქართულ მიწა-წყლისა.“

პოეტმა კარგად იცის, რომ ვაზი საქართველოს სიძლიერეა.

გულოცავთ ბატონ ჯუმბერს დაბადებიდან 80-ს და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ პოეზიის ღიდ გზაზე.

ეროვნული წყალობის მწრდალთა ასტროლოგია „თინათლის“ მიღწევა

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ სახელით ჩვენს უხუცეს თანამოქალაქეს, ჯუმბერ უთრუთაშვილს, გულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანება 1996 წელს დაარსდა, რომლის ხელმძღვანელი ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში (2001-2013 წლები) სწორედ ჯუმბერი იყო.

მრავალი შეხვედრა და საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ამ პერიოდში. მისი განსაკუთრებული გულმოდგინების შედეგია დედოფლისწყაროელი ავტორების კრებულის „საღბუნი“ სამი წიგნის გამოცემა. ჯუმბერი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული. ამჟამად გამოსაცემად მესხეთე წიგნი მზადდება.

ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეს კიდევ ერთხელ გულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელესა და სულიერ მხნეობას, რომ კვლავ უჭრიდეს კალამი და აქვე გთავაზობთ მის გამოუქვეყნებელ ლექსებს.

სერგო ქართველიძევილს

ჩემი სიცოცხლის მიმწუხრს და ბოლოს,
 როდესაც სინდის ფასი აქვს ნულის,
 ბედმა გამაცნო კაცი — სიმბოლო,
 გული რომ უძგერს მტრის სიყვარულით.
 გწამს უფლის მცნება, მას იცავ კიდევც,
 სიტყვით კი არა, საქმით დაღაღებ,
 ჯვარი, რომელიც წამოიკიდე,
 მძიმეა, მაგრამ მაინც აღარ დებ.
 ამშვენებ ქალაქს, სოფელს და უბანს,
 დიდთან დიდი ხარ, ბაღთან ყმაწვილობ.
 ქვეყნის უღელში შეიღებსაც უბამ,
 ხალხის ტვირთი რომ გაინაწილონ.
 გვარიც გშვენის და გვარსაც უხდები,
 ეკლად გესობა მამულის ჭირი.
 მოყვასს თუ უჭირს, შენცა წუხდები.
 მოძმის ტკივილი გტკივა და ტირი.
 ჩუმაღ აკეთებ საქვეყნო საქმეს,
 თუმცა საქმენი არ იმალება,
 ხალხი ადიდებს და იმას აქებს,
 ხალხისთვის ვინაც რომ ეწვალება.
 თუმც შემოდგომის ხანი დაგიდგა,
 რქაწითელივით ტკბები, შაქრდები,
 ძარღვში ქართული სისხლი რომ გიდგა,
 სულით და გულით მიტომ მაგრდები.

მეუღლეს

შენ ღირსეულად ატარე
 სახელი დედაკაცისა
 და ზრდიდი შეიღებს-პატარებს
 მცველად ღვიძლ მიწის და ცისა.
 შენს სარჩოსა და ლუკმა პურს
 სულ ოფლის სუნი სდიოდა,
 თვითონ უმწეოს, უბედურს,
 მოძმის ტკივილი გტკიოდა.
 ბედნიერებას ეძებდი,
 ის შენთან არ მოდიოდა.
 თუ მოყვასს პური შიოდა,
 ცრემლები ღვარად გდიოდა.
 მაგრამ შენს ტკივილს და ვარამას,
 არაუინ არა ჩიოდა,
 ეტრფოდი ქართულ ჯიმ-ნაგრამს,
 მზე მათზე ამოგდიოდა.

რადგან ქართველი

გრძელმა ჟამთასვლამ, როგორც ზღვამ გემი,
 მღვრიე ტალღებით მარად გარწია,
 დუშმანმა ბევრჯერ მთა-ბარი შენი
 დასწვა, ფერფლად და ნაცრად აქცია.
 მაღლიან ძუძუთ დაზღრილი ძენი
 ღვიძლ დედასავით გიცავდნენ მკერდით,
 ათას განსაცდელს უძლებდი რწმენით
 და ისტორიას ბასრი ხმლით სწერდი.
 შენი სიკვდილი თუმც მრავალს სურდა,
 მაგრამ საწადელს ვერვინ ეღირსა,
 რადგან ქართველი ნიადაგ, მუდამ,

შენთვის ბრწყინავდა, ვით სხივი მზისა.
 რომ არ გყოფნიდა შენი გულმკერდი,
 სხვაგან აგებდი ტაძრებს, მონასტრებს,
 თავისუფლებას და მხეს უმღერდი,
 არ უხვდებოდი მიტომ მონად მტერს.

ღრმადმოინმუნებებს

სული და გული მარად წმინდა გაქვთ,
 ღმერთის ტრფობა და რწმენა გამშვენებთ,
 უფლის სახე და ხედი წინ დაგაქვთ,
 ქრისტეს სიყვარულს ისე აშენებთ.
 თქვენ ანგელოზებს გაგხართ მიწიერს,
 მაგრამ აბრწყინებთ სხივებს ზეციურს.
 სიცოცხლეს მატებთ შნოსა და იერს
 და ხალხში თესავთ სიმშვიდეს ღვთიურს.
 როგორც სანთლები ლოცვებში დნებით,
 ჩვენ ცოდვილ სულებს გამჩენს ავედრებთ.
 ვით წმინდა ნინომ, საკუთარ ნებით
 ეს ტვირთი თვითონ თქვენ შეიხვედრეთ.
 ღმერთმა გარგუნათ ეს ბედისწერა,
 ამოგირჩიათ მოციქულებად,
 დროჟამს თქვენ შეჭამთ ვით ვეძიკვერას,
 დარჩებით ქვეყნად ზღაპრად, თქმულებად.

ისევ დადგა გაზაფხული,
 წელიწადის მშვენება,
 მკერდის კარებს აღებს გული,
 უნდა ფრენა, ჭენება.
 მინდორ-ველი აბიბინდა,
 გაიფურჩქნა მთა-ბარი,
 სიყმაწვილე მეც კვლავ მინდა,
 მაგრამ აბა სად არი?!
 წავიდა და გადიკარგა,
 როგორც თოვლი მარტისა,
 ბედმა სულმთლად დამიჩაგრა,
 გული — ბუდე დარდისა.
 ჩემი განახლება არი
 შვილიშვილი სახარე,
 ღმერთო, თუ გაქვს სამართალი,
 ბაღლი მარად ახარე.

უღელი უნდა ერთგულად სწიოთ

სიძეს — ირაკლი ხუხიას

ჩვენ უკვე მტკიცედ დაუნათესავდით,
 სურვილ-მიზნებიც გახდა საერთო,
 გულში სიყვარულს მიტომ თესავდით,
 რომ სიხარულის ცეცხლი აენთოს.
 თქვენი გამოცდა იწყება ახლა,
 არ წამოგოთ ბოროტთა ხრიკებს.
 ბედნიერება მხოლოდ მათ ახლავს,
 ვინც არ ნებდება ცუნდრუკა ბრიყვებს.
 უღელი უნდა ერთგულად სწიოთ,
 რომ გადალახოთ სირთულე ყველა.
 უფლის წყალობას თუ გსურს წიოთ,
 უნდა იცოდეთ მოყვასის შველა.

მამაზ ნიკოლაიშვილი - 60

მწიდალთა ასტროციცია „ლიტერატურული კახეთის“ მიღწევა

ბატონ თამაზ წიკლაურს ვულოცავთ დაბადებიდან 60-ს წელს.

„ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგლო ბარადა“ — ეს სტრიქონები სრულად ესადაგება ბარში მცხოვრებ ხევსურს, — მთიდან ბარში ჩამონათებულს; მაგრამ ბარმა, თავისი ზიბლი მაინც ვერ დაუკარგა მის სულიერ სამყაროს. ალალი და ლალი სურნელი აქვს მის პოეზიას, რადგან სისხლში აქვს იმ წინაპართა გენები, რომლებიც კავკასიონის საარწივეთში ცხოვრობდნენ, სადაც არხოტის მთების მწვერვალები ცას ჰკოცნიან, სადაც კლდეებზე დაკიდულან ბროლის ჩანჩქერები, სადაც არწივები ყვირიან, სადაც ჯიხვები და არჩვები, შურთხნი და კაკაბნი ლაღობენ, აღვიძებენ გარემოს, სადაც უფალოვით ამოსხივებული მზე ზღაპრულად აფერადებს ზღაპრულ გარემოს, სადაც ჭეშმარიტი პოეზიის საუფლოა და სულმნათი გიორგი ლეონიძისა არ იყოს, „ყველა ხევსური... დანტა...“

სწორედ იმ მთების მადლი და მირონი გამოჰყვა თამაზ წიკლაურს, — დეკის ყვავილივით ლამაზ ლექსებს რომ აგვირისტებს.

არ შეიძლება მკითხველის გული არ მიმოძრას და არ მოხიბლოს მისმა ემოციურმა, მუსტიანმა და ელვარე ლექსებმა:


**„ჭირსა და ღვინში არსად არ მტოვებს,
ლექსს სიზმრის გზაზეც ჩემთან უვლია,
მოკვდავ კაცს უფალს, დმეროს, გაგატოლებს,
პოეზია ზომ სასწაულია...“**

ლექსია ყველგან მისი მხლებელი, როგორც თვითონ ამბობს, მკვლელიც და მაცოცხლებელიც:

**„გული ლექსისთვის მუდამ ღიაა,
იგია ყველგან ჩემი მხლებელი,
რამეთუ, ყველგან პოეზიაა,
ჩემი მკვლელი და მაცოცხლებელი...“**

ხოლო, უსათაურო:

**„ავ ბედს დამხსენი, უფალო,
არყოფნის ჟამი ჩქარობსა,
მივაფრენ უგზო-უკვალოდ
ბედაურს — უფშაროსა.
გარს მეკვრის ჯაგრის ღრუბელი,
მზე არ მინათებს აროსა,
გაწვრილდა გზა, დამღუპველი,
ჩემი დემონი ხარობსა...
სული ვაებით ვნებული
პოეზიითლა დარობსა,
ხარბად ვარ დაწაფებული**



**ლექსის ანკარა წყაროსა.
დღეს თუ სიმღერას ვერ ვრჩები,
ზვალ ვიტყვი საკართანოსა,
წვალ და ხსოვნად დაურჩები
„ტურფასა საბაღნაროსა.“**

და კიდევ:

**„ქართული ლექსი სულის შვებაა,
ღვთის ბოძებული სიბრძნის ნათელი,
ქართული ლექსი უკვდავებაა,
ღია ჭრილობა და ჟრუანტელი.“**

თამაზ წიკლაურის პოეზიაში დიდი ემოციითა და მაღალმხატვრულობით არის გადმოცემული აგრეთვე სატრფიალო განცდები;

**„ჩემი განცდები, ხან, ცის ნამბა,
ხან გაუშლელი ვარდის კვირტები,
ჩემი ლექსები ყელსაბამია
შენს ბროლის ყელზე დასაკიდები.
ეს სიყვარული უფრო ნაზია,
ვიდრე აპრილის სიო ნატრული,
დღეს ყველა ლექსი ფიანდაზია
შენს საჯალ გზაზე მიმოფანტული.“**

ერთხელ კიდევ, ვულოცავთ დედოფლისწყაროში ჩვენი დიდი სამეგობროს ღირსეულ წევრს, ბატონ თამაზ წიკლაურს დაბადებიდან 60 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და პოეტურ საგძალს.

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის სახელით
თინათინ მრეღაშვილი

ერეთისწყაბის მწბალთა ასტციაცია „თბბბბბბბ“

ბილტვია

ჩვენს ბვირფას მეგობარსა და შესანიშნავ პოეტს - თამაზ წიკლაურს, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. 60 წელი ცოტა არაა, ეს უფრო დაღვინების პერიოდი, თუმცა მისი ლექსები ჯერ ისევ მაჭაროვით ისურვის შხეფებს და ნაპერწკლებს. ეს ალბათ მოჭარბებული ნიჭიერების ბრალია, რომელიც ასაკს არ დაგიღვეს. ამის გარდა თამაზ წიკლაური უკვე 15 წელზე მეტია დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ღირსეულად ასრულებს.

ვულოცავთ თამაზს საიუბილეო 60 წელს და ვუსურვებთ — ეს მჩქეფარება არასოდეს მოკლებოდეს მის ხმას და ლექსებს და აქვე გთავაზობთ პოეტის ახალ ლექსებს.

სიყვარულო ძაღსა შენსა

სისხლით ვწერ ბოლო სტრიქონებს,
კაკვლები დღითი დღე, დღითი დღე,
ვიცი არც ახლა მიგონებ,
არც არასოდეს მიკითხე.
რა იქნებოდა გენახა
ჩემი წამება ფარული,
ქალი კი არა ელვა ხარ
ჩემს გულში შემოპარული.
რად არ მეწამლე წამლად,
არ მომიშუშე იარა?
უმენოდ ბევრმა წყალმა და
გრიგალმა გადამიარა.
მოვიხსნი ტრფობის მარწუხებს,
მორჩება ჩემი წვალება.
არც ჩემი კენესა გაწუხებს,
არც ჩემი გარდაცვალება.
არც შენი ფეხის ხმა ისმის,
რაც შენგან გულით ვინებე.
შენ თუ არა და მაისის
ღრუბლები დამიტირებენ.

* * *

ან შენ სად ხარ და ან პირველ ვნებებს
სად მიაქროლებს წლების მარულა...
რა ვქნა, რა ვუყო იმ მოგონებებს,
რაც ჩემს ხსოვნაში გადამალულა?!
არც ის დრო-ჟამი არ დამიბრუნდა,
როცა შენს გზაზე ვიდექ ბედკრული,
მე შენს ღიმილებს ველოდი მუდამ,
შენ რად მხვდებოდი წარბებშეკრული.
ლექსით გიმხელდი ამ გულის ძგერას,
ვერ გაგაგონე ჩემი ძახილი.
შენ მარიღებდი ყოველთვის მხერას
უკადრისი და თვალბდახრილი.
შენს გზაზე ლექსთა ფიანდახს ვშლიდი
და სიყვარულის ტრუბადურს ვგავდი,

ქუჩაზეც ისე გადაივლიდი
ჩემს მხარეს არც კი მოიხედავდი.
ვინ დამიბრუნებს იმ წუთებს ახლა,
ღმერთო, იღბალზეც რარიგ ვდაობდი,
შენ ყველა ქალზე იდექი მაღლა,
გრძნობდი და იმად ყელყელაობდი.
სადა ხარ ახლა, ან პირველ ვნებებს
სად მიაქროლებს წლების მარულა?
რა ვქნა, რა ვუყო იმ მოგონებებს,
რაც ჩემს ხსოვნაში გადამალულა?!

* * *

ვერც შენი გული მოვიგე,
ვერც გზა გავწალდე ვერანი,
ვერც ტატოს რაში მოვირგე,
ვერც ნისლისფერი მერანი.
ქარს მიაქვს ისევ და ისევ
ნაფიქრი და ნამღერალი.
ვერც შენ ვერ დაგიტავისე,
ვერც პოეზის მწვერვალი.
ეს დღეც ვაებით იწყება,
დაემუჯნდი ლექსის მწერალი,
რავი, რა ღმერთი მიწერება,
რად მტანჯავს წერა — მწერალი.

როცა

ცოტა გული რომ გავხსენი,
ცოტა მხერამაც დაგლანდა,
ცოტა მომედო სხვა სენი,
ცოტა ბახუსსაც დაბრაღდა.
ცოტა სამხილი სხვებისთვის,
ცოტა მუხებიც მოფრინდა,
ცოტა ხარ გულო, შვებისთვის,
ცოტა, რა ცოტა გყოფინდა!

მშვიდობით

მშვიდობით, არც შენ ამართლებ,
აღარც იღბალი ხვალისა,
ვიდრე უარესს დამმართებ,
„გზა ყოვის წამაულისა.“
რა მძიმე მსჯავრი დამედო,
ან ვისი წყევლა ასრულდა,
ვერც მე ვთქვი გულში რა მელო,
ვერც შენ მიმიხვდი — რა მსურდა!

შალვა ახალციხელის ზოლო სიტყვა
ჭაჭალ-ედინთან

რაც მწადადა, როგორ დაემალო,
როცა შენს ურდოს ვეკვეთე.
ახლოს ვერ მოგეწიდი, მტარვალო,
ალმედად გადამეკვეთე.
მოყვასის დალატით წაუხდი,
გული ბობოქრობს რვალისა.
ჯალალ-ედინის ტყვე გაუხდი
მოყმე მზე — თამარ ქალისა.
ყამი ილევა საჩემო,
ომი მწყურია ფიცხელი.
ხმალი მიბოძე, გაჩვენო
ვინა ვარ — ახალციხელი.

* * *

შუა საუკუნეებში იერუსალიმის ნეიტრალიტეტს
ქართველთა სამეფო კარი იცავდა.
ქართულ-ებრაული ისტორიიდან

სამყარომ ღვთის ერთგულ ქვეყანად გვიცნო და
თავს აღარ ზოგაუდნენ ის ჩვენი ძველები,
თვით ჰურიასტანმაც ამის თქმა იცოდა:
„ქართველნი ჰყვანანო უფლის სახლს მცველები.“
თუ წმინდა მიწაზე მუსლიმნი დაგვისხდნენ,
დაჰკარგეს ხათრი და სამების შენდობა,
გაიგონ ქართველთა, გაწყურნენ და განრისხდნენ,
გრიგალად წამოვა იმათი მხედრობა.
მათ რისხვას აქედან ვერაჟინ გაექცეს,
მეისიერ მოისრას ურჯულო წყეული,
სჯობია მოძალეს თავს მეხი დაეცეს,
ვიდრე ქარ-ლაშქარი სპა იმათეული.
ის ხალხი ღვთისმშობლის რჩეული ერია,
მათ მიწას ღვთის მადლის ეღვრება მირონი,
ომშიგან უშიშნი ომშიცა მღერიან,

გათელეს სასულტნო და საამირონი.
მეფედ და დედოფლად ასული ჰყოლიათ,
მოკვდავს არ უგავსო სახე და იერი,
ვაზის ჯვრით ლოცავსო მხნეთა და გოლიათო,
ციდან მოსვლიათო შვიდმნათობიერი.
თავისი ხალხისთვის მნათი მზის მსგავსია,
თავხედებს ძვირის თქმაც არ აპატიესო,
ღვთის რისხვად დაეცნენ შამქორს და ბასიანს,
გაქცეულ რუქნადინს რუმამდე სდიესო.
თვით წმინდაა გიორგი მათი ბჭე-ზღუდეა,
ის მოდგმა არ ხვდება მტერს მუხლზე დახრილი,
იმათი ქვეყანა არწივთა ბუდეა
და საქრისტიანოს მესიის მახვილი.
სამყარომ ღვთის ერთგულ ქვეყანად გვიცნო და
თავს აღარ ზოგაუდნენ ის ჩვენი ძველები,
თვით ჰურიასტანმაც ამის თქმა იცოდა:
„ქართველნი ჰყვანანო უფლის სახლს მცველები.“

* * *

„ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ?!“
ლ. ასათიანი

რა დაწყევლილი ბედი მქონია,
თითქოს გრძნობებსაც სისხლში ვღებავდე,
ზოგჯერ ეს გულიც მეხი მგონია,
ცოტა აკლია დაქუხებამდე.
ეს რა სახმილი შემომესია,
რა შვებას მომცემს ან რა სიკეთეს,
რად დამანათლეს ეს პოეზია,
სიმშვიდის კარი რად დამიკეტეს?!
როცა გარშემო ხალხი მშვიდია,
მე რად ვკენესოდე, მე რად ვბორგავდე?!
სულში თუ გრძნობის პანაშვიდია,
მცირე დრო მრჩება თვითმკვლელობამდე.
ან ამ გულს ასე რა აოცნებებს,
ამ ჩემს სიმჩატეს რაჟი რა ჰქვია,
ან ვინ მკარნახობს ამ საოცრებებს,
ლექსები დარდად ვინ მომაფრქვია.
მარტო ამისგან არ ვარ მოცლილი,
დარდს და კაემანს არსად არ მაკლებს,
ხან ჯვარზე მაკრავს ეს დალოცვილი,
ხან ღმერთის ენით მალაპარაკებს.
რა დაწყევლილი ბედი მქონია,
თითქოს გრძნობებსაც სისხლში ვღებავდე,
ზოგჯერ ეს გულიც მეხი მგონია,
ცოტა აკლია დაქუხებამდე.

ქუბა ღებელი - 50

სადღევრძელო

გაუმარჯოს საქართველოს,
 ალთასა და ბალთასა,
 კაკო ყაჩაღს, ოძელაშვილს,
 თუთაშხია დათასა...
 ფერეიდანს გაუმარჯოს, ჩემს ინგილო წინაპარს,
 მიმოფანტულ, მიმობნეულ მათ ძვლებსა და მიწასა...
 ქართველ კაცებს გაუმარჯოს,
 ქალთა მანდილ კაბასა,
 გადახვეწილ გურამიშვილს, ორბელიან საბასა...
 ვერ მიგნებულ თამარ მეფეს, უსაფლაუო ფიროსმანს,
 აფრხაზეთში უქართველოდ შთენილ სანაპიროთა...
 ვერ მივაგენ ილიას მკვლელს,
 ვაჟას ლევანისასა,
 ტიცვიანის, მაჩაბელის, რუსთაველის მისამართს...
 გაუმარჯოს ქრისტე ღმერთსა, დედაღვთისას — მარიამს,
 ყველას — ჩვენგან ვინც წაიდა და ზეცაში არიან!..



ამ სტრიქონების ავტორის, ჯუბა ღებელის წიგნის, „შემოადამდათ პოეტებს გზაში“, პრეზენტაცია გაიმართა მიმდინარე წლის 30 ივნისს, თბილისში, რუსთაველის ქ. №19-ში, შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. ფოიეში იყიდებოდა ავტორის ორი წიგნი. ერთი, როგორც მოგახსენიეთ, 464 გვერდიანი სქელი მუყაოს ყდიანი წიგნი — „შემოადამდათ პოეტებს გზაში“ და მეორე მომცრო წიგნი — „ანბანსხმული“. პირველი წიგნი მან მამის, ვახტანგ (აბო-ალბერდ) გოგრიჭიანის ხსოვნას მიუძღვნა, ხოლო მეორე პატარა წიგნი მიუძღვნა თავის ქალიშვილს თეკლა გოგრიჭიანს, რომლის ხელშეწყობითაც დაიბეჭდა ეს ანბანსხმულები. როგორც თავად ავტორი წერს: „...ხანდახან თითო სიტყვას, თითო სტროფს დღეები, კვირები უუნდებოდი... ვწერდი, ვშლიდი, ვუბრუნდებოდი და მაინც არ არის სრულყოფილი... ხან რითმა არ მოწონდა, ხან სინტაქსური წყობა და შინაარსი...

დროში, რომელსაც თითოეულ მათგანში ვხარჯავდი, ბევრად უფრო ადვილად შეიძლებოდა ლირიული ლექსების წერა, მაგრამ ამ ასო-ნიშანთა კრიალოსანი აზარტად იქცა და როგორც მართონელი, ბოლომდე მიყვები ფინიშს. ერთი იმედი, რაც მაქვს, ის არის, რომ არ დაგდლით, ბევრ დროს არ წაგართმევთ და ისეთივე აზარტით ჩაიკითხავთ, როგორც მე ვწერდი...
 გთავაზობთ სამ ლექსს ამ პატარა წიგნიდან:

ა

**მორჩა, მე მაინც მივდივარ,
 მზეო, მაღლიდან მინათე,
 მამისგან მოსულს მიწიდან,
 მამას მიუვალ მიწადვე!..**

ბ

**ნელ-ნელა ნანი ნანატრო,
 ნანვით ნათესი, ნახნავი,
 ნიავი ნანი-ნანაობს,
 ნასახლარ-ნავენახარში!..**

უ

**უძოს* უნდა უყურო
 უფალივით უბრალოს,
 უქონელს და ურწმუნოს,
 ნუ უარმყოფ, უფალო!..**

მინი დოსიე:
 ჯუბა ღებელი რაჭის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ღებ-ში დაიბადა. დაამთავრა თბილისის 219-ე საშუალო სკოლა. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მისი დეკანი გახლდათ და ჟურნალისტიკის საგანს უკითხავდა გალაქტიონ ტაბიძის ძმისშვილი პროფესორი ნოდარ ტაბიძე. მისი პობია ჭიდაობა და ფეხბურთი. იგი დაოჯახებულია. ჰყავს მეუღლე —, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.
 ჯუბა ღებელი ქართველ პოეტთა საშუალო თაობის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენელია. მისი მწერლური ნათლობა 1983 წელს შედგა, როდესაც გამოქვეყნდა პირველი ლექსი „სამშობლო“. მას საინტერესო კრებულები აქვს გამოცემული: „ლანდების ღებნი“, „მშვიდობით ძვირფასო ლედი“, „სიტყვის სასაფლაოზე“, რომლებიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.
 მან ჩინებულად თარგმნა ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ლევ გუმილოვის პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

* ეკლესიის სახელი.

საინტერესო ლიტერატურული წერილები მიუძღვნა თემურ ჩალაბაშვილის, მზია ხეთაგურის, ეკა ბაქრაძის, თენგიზ ავსაჯანიშვილის და სხვათა შემოქმედებას.

ჯუბა სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკურ გაზეთებში, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურული პროგრამების რეჟისორად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და სხვა...

უდიდეს მადლობას მინდა გადაუხადო ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორს — გიორგი ნატროშვილს, რომელმაც შემატყობინა, რომ 30 ივნისს, რუსთაველის 19-ში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გამართებოდა მისი მეგობრის, შესანიშნავი პოეტის, ჯუბა ლებელის წიგნის პრეზენტაცია. პირადად მე თბილისიდან დედოფლისწყაროში ვიყავი ჩამოსული ახალგაზრდული თეატრის — „ბერიკონის“, პრემიერაზე „დიდოსტატის მარჯვენა“ (რეჟისორი ცარო მარტიაშვილი), რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. არ შემიძლია არ აღვნიშნო მთავარი გმირის — არსაკიძის როლის შემსრულებლის, თორნიკე ოზბეთელაშვილის ბრწყინვალე თამაში. მან გასულ წელსაც გაგვაოცა თავისი „ოტელოს“ როლით. თორნიკემ პატარაობიდანვე თავი დაგვამახსოვრა ეროვნული ცეკვების ვირტუოზული შესრულებით (სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი).

დაუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას ჯუბა ლებელის წიგნის პრეზენტაციას. უამრავ ცნობილ პიროვნებას, მწერლებს, პოეტებს, მსახიობებს, თბილისის ინტელიგენციის ნაღებ საზოგადოებას მოეყარა თავი თეატრალური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ნახევარზე მეტი ხალხი ფეხზე იდგა უადგილობის გამო.

სალამო გახსნა მსახიობმა მაკა შალიკაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ჯუბას ბიოგრაფიასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე და მისი წიგნიდან ლექსებიც წაიკითხა.

პრეზენტაციას დიდ ხიბლს მატებდა ჯუბა ლებელის ლექსებზე გიტარის ფონზე ლუკა ბაკურაძის მიერ შესრულებული სიმღერები, ხოლო გოჩა ჭაბუკაიძის „ალი-ლუიამ“ მსმენელი აღაფრთოვანა.

პოეტს 50 წლის იუბილე და ახალი წიგნის გამოცემა მიულოცეს ბადრი ქუთათელაძემ, ერეკლე საღლიანმა და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ თემურ ჩალაბაშვილმა, რომელმაც გიორგი ლეონიძის პრემიით დააჯილდოვა ბატონი ჯუბა.

დასასრულს ჯუბა ლებელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი საღამოს მოწყობისათვის.

კომენტარი ვთხოვე ცნობილ ადამიანებს:

თენგიზ უთმელიძე

ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებელი, ნინო რამიშვილის პარტნიორი და ჟურნალისტი:

ჯუბა ლებელი ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტია, უაღრესად კარგი ადამიანია, კარგი მეუღლე, კარგი მამა და კარგი პაპა, უღალატო მეგობარი, მისი სტრიქონებით დავასრულებ ჩემს კომენტარს:

**„პოეზიაში წყნარად ვარ,
არც ცხოვრებაში ვხმაურობ,
პოეტის ყოფა ხარკსა ჰყავს,
შენთვის ვერ მოხდილს, მამულო!..“**

რევაზ ბალანჩივაძე

საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

ჯუბა არის ღვთით ბოძებული საჩუქარი, რომლის ბადალი საუკუნეში მხოლოდ რამდენჯერმე გაივლევს ხოლმე... და თუ ქვეყანას საუკუნეების მანძილზე ჰყავს ასეთი დიდებული პიროვნებები, ეს ქვეყანა გამორჩეულია საკაცობრიო მასშტაბით!

რეზო ადამია

სახალხო მხატვარი, მწერალი:

ჯუბას წლების მანძილზე ვიცნობ, სიკეთით სავსე ადამიანია, იგი უდავოდ დიდი პოეტია. ის თავის ერთ-ერთ ლექსში წერს:

**„...სანამ ვარ, სანამ მოგკვდები,
სულ ვვედრები გამჩენს,
ამ ტიალ წუთისოფელში
კაცის სახელი დამრჩეს!“**

მან დიდი ხანია მოიპოვა კაცური კაცის სახელი!

მაყვალა ხორბალაძე

კომპოზიტორი, გორის საპატიო მოქალაქე:

ჯუბა დიდი პოეტია, მის ლექსებზე არაერთი სიმღერა მაქვს დაწერილი; სიმღერა თბილისზე ჰიტია. ვულოცავ ჯუბას სახელოვან 50 წლის იუბილეს. ბრწყინვალე ოჯახი აქვს, მისი მეუღლეც ჟურნალისტი და ესპანეთში დოქტორანტურაში სწავლობს.

ნანა საბანაძე

პოეტი, პუბლიცისტი:

მისი თითოეული ლექსის სტრიქონი გაჟღერებულია პატრიოტული სულისკვეთებით, სამშობლოს სიყვარულით. ვულოცავ მას ამ ორი ახალი წიგნის გამოცემას.

თემურ თავაძე

დედოფლისწყაროსა და თბილისის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი:

ჯუბა ჯერ დიდი ადამიანია და შემდეგ დიდი პოეტია, იგი ჩემი თაობისაა... მისი ახალი წიგნი „შემოღალდათ პოეტებს გზაში“ შედევრია, თითოეული ლექსის სტრიქონი გულს საღებუნად ედება, როდესაც მისი ლექსები წავიკითხე, ჩემი უფროსი მეგობრის — მზია ხეთაგურისადმი, მიძღვნილმა ლექსმა აღმაფრთოვანა:

**„შენ არ გძულს არვინ, უფრო მეტიც,
შენ გიყვარს ყველა,
სულ მზე ანათებს შენს სიკეთით გალქვილ კალოს,
თუ მართლა, სადმე, სიყვარული არსებობს ქვეყნად,
ეს შენ ხარ, ჩემო პოეტო და ლამაზო ქალო!..“**

ნანა ცინცაძე

ექიმი, პოეტი:

უკომენტაროდ:

**„შინაურია, მაინც არ ენდო,
ჯერ კიდევ თუ არ გამოგიცდია,
შინაურებმა ზოგჯერ საერთოდ
შინაურობა სულ არ იცინა!“**

ეთერ ფაცურია
 პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ „საქართველოს
 ლირიკის“ მთავარი რედაქტორი:
 რაჭის სილამაზე სუფევს მის შემოქმედებაში, თითოეუ-
 ლი მისი ლექსი ვაჟა-ფშაველას ლექსს მაგონებს, იგი
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრე-

ბულია და უნივერსიტეტის სურნელიც ასდის თავად ჯაბას;
 ჩვენი გაზეთის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავ
 50 წლის იუბილეს.

ნანა ჭიჭინაძე
 იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი



მილოცვა

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ სახელით ჯუბა ღებელს ვულოცავთ 50 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ სიცოცხლეს, მკითხველს კი საყვარელი პოეტის ახალ ლექსებს ვთავაზობთ.

300 არაგველს

როცა ვსაუბრობ არაგველს
 და 300 ქართველს ვიხსენებ,
 სულ იმას ვფიქრობ რაღა აქვთ,
 კრწანისის ბელტებს სისველე?!

ასი იყო თუ ცხრაასი,
 ერთი უდრიდა მთელ ლაშქარს,
 სველი რაღაა ბალახი,
 სისხლი რად ვეღარ შეაშრა?!

როგორ დაეცა სიკვდილი,
 მოცელილივით ბეჭებზე,
 ბიჭები ისევ კიჟინით,
 თეთრ ცხენებს მოაჭენებენ!..

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
 საითკენ მიგიხარიათ,
 ზეცაში უნდა გექებოთ,
 მიწაში არა მარხიხართ!..

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
 მეც ერთი გვერდით მიგულებო,
 ლიბო-ფესვებზე ვეფერო,
 ფშაგ-ხვესურეთს და მთიულეთს!..

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
 წვერ-ულვაშ ღიმბილიანო,
 დედის რძესავით შეგერგოთ,
 ნისლებად რომ ცრის იაღნო!..

ჰეი, თქვენ... ვეღარ ვამთავრებ,
 სათქმელს არა აქვს სასრული,
 თქვენა ხართ წყაროს სათავე,
 მომაგალიც და წარსულიც...

იძინეთ, თქვენ გენაცვალეთ,
 არ დაგიფიცებთ მამული!

* * *

შენ გიყვარს ყავა, მარტინი,
 ხარ ზოგჯერ ქარში მარტივით,
 მაგრამ არა ხარ მარტივი,
 შენ უფრო ჰგავხარ თოვლს!

მე მიყვარს ღვინო, ზედაშე,
 ხან ვგავარ ორბს და შევარდენს,
 უფალს ვუყვარვართ მე და შენ,
 არ დამეკარგო, გთხოვ!

უკვე ბავშვებიც აღარ ვართ,
 შემოგვერია ჭალარა,
 ცამან ცრემლები დაღვარა,
 წვიმა გვისველებს თმებს!

ვით ყველაფერი ამაო,
 სველაა დაუსაბამო,
 ეს საოცარი საღამოც,
 ჩემს გარიჟრაჟზე თვლემს!..

სულის მოზიკა

ეგ არაფერი, ყველაფერი კიდევ წინ არის,
 როგორც გოგრიჭად გატყორცნილი ცაში ისარი,
 ხვევებს ჰკიდია ჩანჩქერები ბროლის მძივებად,
 ნეტავი იმას, ვისაც ტკბილად მიეძინება!..

ეგ არაფერი, ჩამოდგება ბაცი საღამო
 და შენ მიხვდები, რომ ყოველი არის ამაო,

გაეფინება ღამის ფრთებზე მთვარის სხივები,
ნეტავი იმას, ვის თვალებსაც აეხილები!..

ეგ არაფერი, სანამ საყდარს ყავარს აფარებ,
ახლა ისეა - ყველაფერი უდრის არაფერს,
ან უფრო სწორედ - ყველაფერი არაფერია,
როცა არ გკლავენ, მაგრამ ტყვიას მაინც გესვრიან!..

ეგ არაფერი, სანამ კიდევ ქარი მომძახის,
მეტყვის მამაო, უფრო სწორედ ჩემი მოძღვარი,
რომ არ არსებობს არც სიკვდილი სულის, არცა დრო,
განა არ ვიცი, რომ არ მოვალ ქვეყნად არასდროს!..

ეგ არაფერი, სანამ მათრობს ზეცის ფერები,
რაა ტრფიალი, თუ ჩემს სულს ვერ მოეფერები,
რომელ რუთათვის გაუძლიათ რომელ ჯებირთა,
რისი ცხოვრება, ჩემი წლებიც ჩემი ჯვრებია!..

ეგ არაფერი, ისევ ჰყვავის იასამანი,
სიყვარულია ჩემი ხსნა და ჩემი სამანი,
მზეზე კვდებიან გაყინული აისბერგები,
გაყინულია ჩემი დროც და მაინც ვბერდები!..

* * *

არაფერი არ იცვლება,
იგივეა ყველაფერი -
უფლის სახლში ათი მცნება,
სასახლეში ასი ყბედი,
არაფერი არ იცვლება,
ერი ბერს ჰგავს, ერს ჰგავს ბერი...

ოკეანე ოკეანეს,
ზღვა ქარს, ხე მესს, ქორი ხოხობს
ზევრავს, ვიცი რომ კესანე
მზით და გარიჟრაჟით ცხოვრობს...
მარადიულ ნარ-ეკალზე,
სიყვარული ჰყვავის მხოლოდ...

სიყვარული, თორემ სხვა რა,
გული - სისხლი, მიწა - მტვერი,
ძლივს შეძენილს უცბად ვკარგავთ,
ვსვამთ, ვჭამთ, ვმრუშობთ, ვლოთობთ, ვთვრებით,
სამყაროში დროის გარდა,
არ იცვლება არაფერი!..

* * *

ძალდი ყეფს - ნიშნავს იქვეა კაციც,
კვამლი დის - ნიშნავს, იქ ვიღაც ცოცხლობს,

რის ოქრო-ვერცხლი, ამ ქვეყნად მაინც,
კაცი ღირსებით ფასდება მხოლოდ...

სოფელი სოფლით, მდინარე ხილით,
ღრუბელი წვიმით, ვით ცრემლი თვალზე,
თენდება, ნიშნავს - ცხოვრება მიდის,
ღამდება, ნიშნავს - იწყება მთვარე...

იშლება სუფრა, კერია ღვივის,
იცლება დოქი, ღიღინებს ჭერხო,
ჩემს მოდემას ღზინი და მადლი ღვინის,
არ მოუშალო არასდროს, ღმერთო!..

* * *

როცა ყველაფერი დამთავრდება
და აღარაფერი დაიწყება,
მოვა სამუდამო დაღამება,
როგორც საუკუნო დავიწყება...

ხორცი დედამიწას ჩაბარდება,
სული უსხეულო ცად იქნება,
როცა ყველაფერი დამთავრდება,
მაშინ უკვდავება დაიწყება!..

* * *

ვემშვიდობები ყოველ განთიადს,
როგორც ნაპირი ჩავლილ მდინარეს,
რამდენი ღამე შემოგვათუნდა,
რამდენი ღამე ვტყუხეთ დილაძღე...

მზეს ვეგებები მთიდან ამოსულს,
ისიც გადავა, ჩუმად ჩაივლის,
ეფლირტავება ქარი ამოდ სულს,
ლამაზი, მაგრამ უცხო ქალივით...

წლები წლებს მისდევს და მე ვბერდები,
დრო ვერ აბერებს დღეებს, ღამეებს,
მზეზე გამდნარი აისბერგები,
ოკეანეებს როდი აღელვებს...

თავად დროს წლები არ ემატება,
რბიან დღეები - დროის ვასლები
და ვხმარობ სიტყვებს, როგორც სატევარს,
მამულზე ფიქრთა აღზე აღესილთ!..

სულის ხრძალს ვჭვდავ, ველი უარესს,
სპა გაფანტული უნდა დავრანძმო,
დასაბამიდან ვიბრძვი სულ ასე,
უქარქაშოდ და უმუზარადოდ!

მილოცვა

12 ნოემბერი ჩვენი ძვირფასი თანამემამულის, სასიქადული პოეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის — **თემურ ჩალაბაშვილის**, დაბადების დღეა. გულითადად ვულოცავთ თემურს იუბილეს და ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ მისი ახალი ლექსების ციკლს, რომელსაც ერთგვარად „მიძღვნა“ შეიძლება ეწოდოს:

* * *

**„თბილისში ვცხოვრობ და
თბილისურ ადათ-წესს ვნატრობ.“
მ. ქვლევიძე**

ეს რამდენი ხანია,
სისხლის ცრემლით ვივსები.
უსამშობლოდ სიცოცხლე,
აღარ მქნაღისები.
სევდა ვინ მომაშოროს,
სად წასულან ჩემები?
უქართველოდ სამშობლოვ,
რა ვქნა, არ მეჩემები.
გწვავდეს ცა მეწამული,
ღმერთმა ის დღე მაშოროს.
რომ საყვარელ მამულში
დავეძებდეთ სამშობლოს.

თენგიზ არჩვაძის

რაც არ გწამდა, არ გსურდა,
უხნეობის მგომბელო,
ულამაზეს ასულთა
დღესაც გულის მპყრობელო.
დრომ სიბერე ვერ გკადრა,
დგახარ ლომის მუხლებით,
ტანჯულ მამულს კი არა
დედამიწას უხდები.
შორ ზღაპრიდან მოდიხარ,
ღმერთმა ავი გაშოროს.
შენ იმგვარად იცხოვრე —
ეხსომები სამშობლოს.
თითზე ჩამოითვლება
შენნაირი კაცები
და როს სული ითვრება,
შენ მაშინაც არ ცდები.
სხვა წესით და სხვა რიგით
ცრემლმა თვალი მონახა,
მეფეც იყავ: ტარიგიც,
სიყვარულის მონა ხარ.
წლებმა წლობით იარა,
დგახარ ლომის მუხლებით.
მარტო მამულს კი არა
დედამიწას უხდები.



თელავს მინერილი ნერილი 70 წლის აკაკი ქესაბლიძევილს

ძველისძველი ძმობა მოგვდევს,
სიტყვა სისხლში ვფერე,
ვწუხვარ ლექსად აქამომდე,
რომ ვერ მოგეფერე.
სიკეთისთვის გაჩენილხარ,
დრო ვერ გადაგთელავს,
აქ, თბილისში, კაცად ღირხარ,
მანდ უხდები თელავს.
ძმა ხარ, მუდამ ძმად დარჩები,
მე რა უნდა გაქო,
ვისთვის მხოლოდ აკაკი ხარ,
ვისთვის კიდევ — კაკო.
აღბათ შენაც გინდა ნახო
ლექსით მთვრალი თემო,
ჩამო, ბიჭო, მენატრება
შენი ღვინის გემო...
ჰაი, გიდი, წლები მიდის,
გვრჩება ძმობის ფიცი...
რალა გითხრა, სხვანაირი
მოფერება იცი...

ლობინი რაჭაში

მამა ზაქარია მაჩიტაძეს

სახელად ლერის უხმობენ,
ჩოგოვაძეა გვარად.
თუმც ფუძით იმერელია,
რაჭაში ცხოვრობს მყარად.
რა საოცარი დღე იყო,
ნაღდად წყალობა უფლის,
ზედაშეს ესვამდით, ვლხინობდით
და მაღლს ვირგებდით სუფრის...
ქართველი კაცის სიგიჟე,
დიდ სასმისებში დასხმა,
იქვე ბიბინა ვენახი
და ღვინის თავზე დასხმა.

თითქოს ჟუჟუნა წვიმიდან
 უცებ მოვარდა თავსმა.
 სამი რაჭველი სხვაც იყო,
 რამ დამავიწყოს აწი,
 რაჭაში ჩასახლებული
 ეს იმერელი კაცი...

**გიორგი სესიაშვილის
 (ექსპრომტად)**

ცხოვრობ, ითმენ იობივით,
 ქართლის ცისებრ ნათელი ხარ,
 შენ ილიას გიორგივით
 უნადღესი ქართველი ხარ...
 წინაპრების გუთნეულში
 შებმული ხარ, ლაბა ხარო,
 მზე გეთესოს ერის გულში,
 რომ მრავალჯერ გაგვახარო...

დათუნია სხირტლაძის სსოვნას

რად დაგეუფლა შენ სიკვდილი
 მუზად ანანთებს,

თუმც კი არ მოკვდი —
 დაიწვი და გზა გაანათე.
 დიდება უფალს! ვინ დამალოს
 ხმალი ხალთაში.
 შენ ნეტარ მამულს ჩაუგორე
 შვილი კალთაში.
 რად შეკრთა მიწა,
 რად შეერყა ძლიერი ტოტი?!
 იმეორებენ რაჭის მთები,
 ძველ, ნაცნობ მოტივს.
 ვერ დაგეუფლა შენ სიკვდილი
 მუზად ანანთებს
 და კი არ მოკვდი —
 დაიწვი და გზა გაანათე...

ზურაბ ქაფიანიძეს – საფლავის ეპიტაფია

ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,
 ვერ შეგცვალა დრომო,
 საქართველოს ბედ-იღბალზე
 მიღრიალე ლომო...



თუ არ ვიყავი არასოდეს გულგადამლილი
 და არც აროდეს თვინიერი აღმსარებელი...
 სულმოღუშულმა სიჩუმესთან ხშირად ვილოცე,
 აზრს უწმინდური მიფლეთავდა, როგორაც სვავი
 და თუ ბერების წმინდა ფარხით ვერ შევიძოსე,
 არც ზომ ეშმაკთან დამიღვია არასდროს ზავი...
 არაღმსარები არ დამინდო საწუთრომ შმაგმა,
 სულზე ცოდვები ჯოჯოხეთურ ღვარად მედინა,
 მე მაშინ მოკვდი, სულიერად, როს რომ ეშმაკმა
 არარსებობა თვით ეშმაკის მარწმუნებინა
 და ნეტარ ვიყავ, როს ვიცანი თავი ცოდვილი,
 თითქოს თვალები ლეთას ფსკერზე ბნელად დნებოდა,
 მაშინ მე ვიდექ გოლგოთაზე წამოჩოქილი...
 და ავაზაკის ამაღლება მენატრებოდა...
 ახლა კი აქ ვარ, დაგიბრუნდი „უძღები შვილი“,
 თან გარდასული აკენესება მომაქ ზარების,
 მოველ, რომ შენ წინ დავიჩოქო თვალებშეშლილი,
 თუმცა კი გულით მართლმორწმუნე მოაღსარების.

ლევან ალავერღაშვილი

ნინო

აღსარება

**დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძ-
 რის წინამძღვარს დეკანოზ ნიკოლოზს (ლომსაძე)**

შემომადამდა და დაგბრუნდი „უძღები შვილი“,
 ხელს ნუ გამიშვებ შემოქმედო, გამრიყავს ბნელი,

დაგცქერიან ანგელსნი, ჩამოშლიათ თმები,
 რომ დაჰკეცე მტრედის დარად მოფარფატე ფრთები,
 სულ პატარავ, ერთო ციდავ, საით მიიჩქარი?
 ალბათ, ცაში გელოდება ნინოს ვაზის ჯვარი,
 ვაი! შენდა დასატირალ დედასა და მამას...
 იქ გიშვილებს ღვთისმშობელი, ის გიმღერებს ნანას,
 საღედოფლო ამჯობინე კაბას შავი ნისლის,

ისევ ისე მოჰყევ ჟღურტულს, ცელქობას და კისკისს.
ნუ, იმ ბილიკს ნუ წაჰყევი დანაწყევარ ეტლით,
ისევ ტოლებს გაეჯიბრე სინაზით და ეშხით,
ისევ თბილად მოიგონე ის ბავშვობის ხანა,
მამის მოალერსება და დედის თქმული ნანა,
თვალნიც ისევ აინათე, როგორც უწინ გენტო,
სამოთხისკენ გაფრენილო ყელგაწვდილო გელო...
დაგყურებენ ანგელოსნი, ძილშიც ხომ არ კრთები,
რად დაჰკეცე მოფართქალე მტრედისფერი ფრთები?!...

* * *

ვერ ითმენს გული უსისხლო გემოს
და გამირბიან ცისკენ ხელები...
არ დაანებოთ ზარები დემონს,
არ გააკაროთ ბარძიშს გველები...
მე წიწამურში ათასჯერ გახლდით
და ღირდა ბედი გადამტერებად,
სად პოეზია არსთა სიმაღლით
სუფევს წყვედიადის გაცამტერებად.
სად ვერ სცნობს გული უსისხლო გემოს
და მიიწვევს ზეცად ხელები...
არ დაანებოთ კალამი დემონს!
არ გააკაროთ მელანს გველები!

რატომღაც

რატომღაც მარტო დავრჩი ოთახში,
რატომღაც გარეთ უკვეა გვიან,
შენ შემახსენე, რომ ვარ პოეტი,
თორემ რატომღაც ლევანა მქვია...
თორემ რატომღაც გაგრძელდა ღამე,
თუმცა იმ ქალზე აღარ ვღონდები,
რატომღაც მინდა არ აზამბახდეს
ღამე, რომლითაც შენ მაგონდები...
უგონო თრობა მძა პოეტებთან
ზეციურობა ლექსის მონათა,
იქ, რუსთაველზე აპრილის კვლომა
და ბეთხოვენის „მთვარის სონატა“...
ახლა კი, მარტო შევრჩი ოთახებს,
გარეთ კი, ისევ ისეა გვიან,
მოხვალ და მეტყვი, რომ ვარ პოეტი,
თორემ რატომღაც ლევანა მქვია.

მიყვარს

(ნ — ს)

მიყვარს ფიქრები წვიმიან ღამით,
ოცნების ტალღა როცა გამრიყავს,
მე, შენთან ერთად, მიყვარს სიცილი,
მე, შენთან ერთად, ტირილიც მიყვარს.
მიყვარს ზაფხულში ტირიფის ცრემლი,
შემოდგომისას ღვინობა მიყვარს,
მიყვარს, როდესაც გვერდით მომყვები,

როცა მშორდები, მე ისიც მიყვარს,
მიყვარს ზამთარში რძისფერი თოვლით
დახრილ ტოტების სიმძიმე, მიყვარს,
მიყვარს, როდესაც შეშლილი მკოცნი,
როცა მიწერები, მე ისიც მიყვარს.
მიყვარს სიბნელის ელვით გაკვეთა,
მიცვლილ დღეებთან ამბორი მიყვარს,
მე, შენთან ერთად, მიყვარს სიცოცხლე,
მე, შენთან ერთად, სიკვდილიც მიყვარს.

თქვენ ყველას

(მგობარ პოეტებს)

მათრობს შემოვარდნა დილის,
მუზის თუ რევია შფოთი,
აღბათ შევაკვდები თბილისს
ასე „მშობლიური ლოთი.“
ისევ შემოვიხდენ ჩოხას,
ამფერ გადარევას ვეტრფი,
ხვალ კი თქვენაც იგრძნობთ ოხვრას,
რაიც დღევანდლამდე ვერ ვთქვი.
ბედს ვით გავექცევი ასეთს,
ცრემლი რომ ამძიმებს წმინდა...
ეხლა გამოვწვედი სასხლეტს,
მაგრამ თქვენთან ყოფნა მინდა.

გიორგი გაჩეჩილაძეს

(ამა წლის 12 ნოემბერს 40 წელი უნდა შესრულებოდა)
ექსპრომტი ძვირფას მგობარს

კარგი ხარ და ვერე კარგი
დარჩი მტრების ჯინაზე...
ას დავარცხნილს მირჩევენისხარ
ერთი გაჩეჩილაძე.

არ დაიჯერო

გ. გაჩეჩილაძეს

არ დაიჯერო, ხარი წაიქცა,
გულის დალატი გენს ვერ დაღუნავს.
არაა შენთვის ლეთა და მიწა,
შენ სამარეშიც ზეცა გახურავს.
ზეცა, რომელიც სუდარად ახდა,
ნეტავ არ იყოს ასე ძვირფასი,
ლექსად კვნესება თსუ-ს ბადთან
თუ ათოვება სოფელ წიფასი.
სადაც უჟამოდ გაქარტყხილდა,
ჟამი სიამის ჯერ არნაშობის...
„მზეც შუაგულში გადატყხილა“
და იქ ოცნება დაგვრჩა ბავშვობის,
ეხლა კი, ეხლა სუნთქვაც კი არ მსურს,
როცა უდროო მაღირსე ტყვია,
როცა ლექსებში დარჩენილ წარსულს
„უსათაურო ბაღები“ ჰქვია.

* * *

ბიჭი ყანაში გდია გულაღმა და გულზე,
 როგორც სიცოცხლის მომგონს
 ქვეყნად რომ გაგხდის მზეთა უნახავს
 უწევს ყანასებრ მკერდმწიფე გოგო...
 ყაყაჩოები შლიან ნაკვალევს,
 როგორც ჩანს, ჭორი მიზანს ამცდარა,
 გოგო ჩურჩულებს - „რა გაკანკალებს?“
 ბიჭი პასუხობს - „მიწამ დამცადა“...
 მზე ჩამავალი ფეხს ისე ითრევს,
 დაისს მოუწევს მოცდა კარგა ხანს,
 ბიჭი უკოცნის მზისსხივა თითებს
 და კვნესას ურევს ოხვრას ხანდახან..
 ტანშეგრილებულ სითბოს უფენს მზე,
 მიწა ჩუმად ჭამს ძველისძველ ტკივილს
 და პირველ კოცნით დამსკდარ ტუჩებზე
 გოგო იშაქრებს იქედნურ ღიმილს,
 ბიჭს შუბლზე უკრთის ორიოდ წვეთი
 ვენების, ცახცახის, კაცურ დათმენის,
 თავთუხებს აკრთობთ ხმა გულის ფეთქვის
 და ბორგვა, ჩუმად მყოფი სათქმელის..
 გოგო საკინძის პირველ დილს იხსნის,
 ბიჭი კი სრისავს თითებით ყვავილს,
 ძარღვიდან ძარღვში მავალი სისხლი
 შეკაგებული ალერსით ბლავის,
 ბიჭი მის მკერდში აპარებს მხერას,
 ბოლო დილამდე წამებით უწვდენს,
 ეხება გოგოს და არც კი სჯერა,
 რომ გულზე მთელი სამყარო უწევს..
 სტანჯავთ ტკივილი, რაღაც უჩვევი,
 მწუხრის ღრუბლები ლოცვად მოვლიან,
 ერთურთს ეძებენ ცხელი ტუჩები
 და ერთმანეთი ვერ უპოვიან..
 მზე ჩამავალი ჩადის ყოყმანით
 და სული წითლად ჩამოსთქრიალებს
 და იისფერი ღრუბლის ყორღანი,
 ჩვილ ნაკოცნივით უჩანს თრიალეთს...

* * *

დავანხარუნებ სხეულის ჯართს და..
 წამწამით ვჩხაპნი გათქვირულ რტოებს,
 ცოდვებით სავსე ეს, სულის ჩანთა,
 ხან სად მრჩება და ხან საით ვტოვებ,
 მისთვის სიცოცხლე არ დამიზოგავს,
 ვისაც ატლასი გადაუჩითავს,
 სულ იმ ღიმილის ხმადს ვიზოგავ,
 ძლივს რომ ავხლიჩე ზეცას ტუჩიდან,
 ხან არაგვივით მიმოვიღვრები
 და დროს ვაყოლებ ლექსის ლიფსიტებს,
 ხან ფესვებამდე ისე ვიზრები,
 თითქოსდა უშბად ამოვიზიდე,
 ყველა მდინარეს აღმა მიყვები,
 ამაოდ ვეძებ შვების ნაპირებს,
 არც საანდერძო არ მაქვს სიტყვები,
 ხვალე სიკვდილებს თუ დავაპირებ,



ზაინაბ მებრეკელი

რას მოვლედუნებ, თავად არ მესმის,
 რაზე ვდუმვარ და რას ვეაჯები,
 სამდედრო ნეკნებს-ხანჯლად ალესილს,
 დავაფლეთინე კბილით მაჯები,
 ცას ვაკორტნივებ ცრემლის თოლიებს,
 ზღვად გადავქეცი ოცნების აფრებს
 და ვდუმვარ, როგორც მებისტორიე,
 საქართველოს რომ ვერსაით აგნებს...
 კისერს მიხეხავს საბელი მოკლე,
 ჩემი საშხეოს ჩრდილით გამხეხი,
 მას შემდეგ, რაკი გაჩენით მომკლეს,
 მეშინის მიწის სულში ჩახედვის...
 და ის, რაც დღემდე წამი თუ ღირდა,
 მარადისისთვის ყველა ძარღვს იჭრის
 და ამ სხეულის ნაწიბურიდან
 ამომცქერს სული-ხუთი წლის ბიჭი,
 მალე მშვენიერ წამსაც მოკლავენ,
 დრო მაინც წავა ალბათ თავისით
 და ეს საწუთრო, როგორც სოკრატე
 აღსასრულს შესვამს ბოლო სასმისით...

* * *

მზერით საკოცნელს მალვით ვინ მოლევს,
 რაც უნდა წამწამს იხრიდე ფრთხილად,
 მზის მოლოდინში ქართლის მინდორზე
 თეთრ ფაშათივით ჭიხვინებს დილა,
 ღამე შლეიფის ბოლოს მიათრევს
 და ნისლეს ერთვის მთელი არსებით
 და მოლოდინით დადლილ თრიალეთს
 მკერდზე უბრწყინავს თოვლის მასრები.
 მალე ქარები ღრუბლებს აპკეცენ,
 მოილოცებენ ნატაძრალი გზით
 და ალერსებით მაძდარ სარეცელს,
 მზერით ჩაპკოცნის პატარძალივით..
 მერე ჭრილობებს ამოკემსავენ,

ლოცვით ჩურჩულში ჩამქრალი სანთლით
 და მტრის გასაგონ ამოკენსამდე,
 ხმლებად ალესავს ბებერ ძეგლებს ქართლი.
 ილორის ფრთიდან აფრენილ ძერას
 გორის ციხემდე გულს ვაკორტინებ,
 რომ შენთვის ისე შევიძლო წერა,
 ერთ თოთო ლექსში ათჯერ მოგიკვდე,
 შენ ნუ განმიცდი, შენ ნუ შემაძნევე,
 რა ფარული ჯვრის ზიდა მიწვედა,
 ასე ვუყვარდი მაინც დედაჩემს,
 ფრთებს რომ ვიზრდიდი - პირჯვარს იწერდა..
 დღეს აღარ ვიცი, ჩემს მტერს ვჯაბნი რით,
 ვის დავეკარე, ან ვინ მიპოვნის,
 მეც ხმლადქცეული შენი ჯვარივით
 გალუმპული ვარ სისხლის მირონით.
 თვალის ახელა სულ ასე მიწვეს,
 ცრემლი წამწამით გასატევერია,
 იმ სამი თითით, პირჯვარს რომ ვიწერ,
 ვეღარ გისინჯავ ცხელ არტერიას..
 მალე ამოვა მზე სხივწათილილი,
 ჩვენსკენ მომართავს თავის შვილდ-ისარს
 და ნაომარი ბებერ ქართლივით,
 ამოიკვნესებს ისევ შინდისთან..

* * *

ყოველდღე ჩემს თავს სადღაც ვაცილებ,
 ცარიელია მუდამ ბაქანი,
 სკამზე მთვლემარე დაღლილ მანძილებს,
 აღარც დრო აქვთ და... არც გასაქანი,
 ყოველდღე ვტენი მწვანე ჩემოდანს
 იმ ძველმანებით, რაც ვერ მოვირგე,
 მთელი სიცოცხლე ვინც მომელოდა,
 ახლა მუშაობს სევდის მორიგედ.
 როგორც მგზავრს სულ სხვა დროის და სივრცის,
 მაგვიანდება ყველგან ნიადაგ
 და ველი, ველი, თუმც კარგად ვიცი,
 მატარებელი ასცდა ლიანდაგს..
 ტოტი არ შემრჩა მარტის საფოთლე,
 გული ამ კენესის უხმოდ გამგონე
 და ჩემს ტანიდან აყრილ ნაფოტებს,
 ვაცილებ, როგორც ბოლო ვაგონებს,
 ხანდახან ქარი მგზავრებს წამოშლის,
 ბოლომდე გამწყდარ ნერვის შოლტებით
 და ილიმიან ბოლო ვაგონში,
 ბრძენი გიჟები და პოეტები...

* * *

ქარმა დახურა ყველა სარკმელი
 და უკუნეთი ნათულს იქარებებს,
 დღეს ღმერთი მტკივა სუნით საკმეელის,
 ტკბილ ცოდვებმა რომ მომიპირქვავეს..
 ამოასისხლა გულმა ნაფიქრი,
 სამხეოს ფერი გაუგებერდა,

ცა ღრუბლის წარბებს ისევ არ იქნის
 და შერჩა ეშხი თითქმის შიმველა,
 ვეყრდნობი ქარის გაბზარულ ხელ-ჯოხს,
 ვაკივლებ საათს წამის გაფლანგვით,
 ახლა თბილ ხელებს ვერავის ვერ სთხოვ,
 ამბორს არ შერჩა არსად ალაგი,
 სულმა ცოდვების ვერცხლი ჩათალა,
 სისხლით უცხონი ძმებად გამეცვენენ,
 ვცლი იმედების ბოლო მათარას
 და უსახელო საფლაგს დავეძებ..
 ვატარებ მიწას ტერფთან დახეულს,
 ცასაც დახუჭულ თვალთ შვესტირი,
 მე ამოვართვი სული ამ სხეულს,
 მზის იმედება პირველ ბელტივით..
 მას შემდეგ ქარი ვერ გავიხადე,
 ვეღარ დაგკემსე დღეთა ძონძები
 და სიხარულის წამთა სიგამხდრე
 მივიღე ბრძენი სევდის მოძღვრებით,
 ვერ ვაღიავებ ირგვლივ უკუნეთს,
 ვეღარ განვიცდი ცოცხალ საფლაგებს
 და იმ მოტევის ვარ მოსლუკუნე,
 სულს დიდინით, რომ ამოვათალე,
 იქ შემეფეთა სასოწარკვეთა,
 პარალელები სადაც შეერთდნენ,
 დღეს თავად ვუწვდი თავს მოსაკვეთად,
 ამ კეთილ ჯალათს - ოცდამეერთეს..

* * *

აღარ მოწვეთავს
 ტკბილი სიტყვა
 სულის ტუჩიდან,
 ორპირმა ქარმა
 გამომიხმო თოვლის
 ქიტონი, თითქოს
 თოთო ყრმას
 ჩუტყვავილამ ტანზე
 უჩქმიტა, ჩამბჟირებია
 სევდისაგან ყველა
 სტრიქონი...
 „რა სულ სევდაო“
 - მსაყვედურობს ვიდაც
 მაგანი, ვიდაცა უფრო
 მამა-პაპურს შემომილოცებს
 და წლების ქურდებს
 ჩაბარებულ დარდის
 თავანით, თავისუფლებას
 სულერთია, არვინ მიბოძებს,
 გზა მიმასწავლეთ,
 სად მივაგნო ტკივილის
 მომგონს, რომ ბებერ ძეგლებზე
 ჩამოვხლიჩო სულის იარა,
 რა ვქნა, მე მაინც დავრჩი
 უბირ, იმ სოფლელ გოგოდ,
 ვინაც უდღეურ სამშობლოზე
 იმშობიარა..



ხათუნა მარტიაშვილი

* * *

ცა აწვა მიწას და ამძიმებდა,
 უფლის დათესილს სატანა მკიდა,
 ველარ გაუძლეს ტირილს წვიმებმა
 და ჩამოვიდნენ წვიმები ციდან.
 სიყვარულს გიწვდი დარდის მუჭიდან,
 სიმწარე დამრჩა სევდის გემოდან
 და ზამთარს სუნთქვა ისე უჭირდა,
 თითქოს გაზაფხულს ელოდებოდა...
 და მომეწყინა უაზროს გდება,
 მოდის სიმართლე და სიზმრებს მიშლის,
 სინდისი ისევ ძალღვივით მხვდება
 სამყაროს მიბმულ დღეების ძირში.
 ეშმა აკრძალვის ნიშანს მაჩვენებს,
 გაყიდულია სული ფარჩებად
 და დიდ დაფაზე თუ ვერ გამჩნევენ,
 ეს უკვე ნიშნავს შენს გამარჯვებას.
 და მეგობრების ღალატს ვმალავდი,
 სულში ვაგდებდი და კარს ვხურავდი,
 ისე მტკიოდა მათი ღალატი,
 ვით გარდაცვლილი მამის სურათი.

* * *

სულის მობრუნებას არ მაცლიან,
 იესოს ისევ ისე ვერცხლზე ვყიდით,
 გულში სიყვარული დამნაცრია
 ჩემი მიწის ერთგულ მერცხლებივით.
 მიწა დავამიწე გულისგულში,
 ჭირი ბედისწერამ ვერ დაცალა,
 ჯიუტად ისევ ვთესავ ჩემს წილ ხნულში,

- ჩემი სიყვარული გენაცვალა.
 სიკეთისკენ ფეხებს მივიმტვრევდი,
 ამდენი სიყვარულით თავს ვიტკიებ,
 ხელში შემომპკნარი გვირილებით
 უპ, რამდენი ღამე გაგივითი.
 ჰოდა, უნიათო ეს დღეები
 ისე უღიმღამოდ ბერდებიან,
 თითქოს უსასრულო ქიმერები,
 თითქოს მომღერალი გედებია.
 წვიმად გამზადებულ ღრუბლებიდან
 ზეცას მოუჩანდა გულის დარდი,
 ის დღე გაიხსენო ისევ მინდა,
 როცა გიპოვე და გამიხარდი.

* * *

არ ვიცი, ვით ვთქვა ის ერთი სიტყვა,
 ვით დავატოლო დროშა ბაირალს,
 რაღაცნაირად დარდი რომ გიყვარს,
 ხელს რომ არ უშვებ რაღაცნაირად.
 გადაიღალა სხივების ფენით,
 მზემ დაიკვნესა უთქმელი დარდი,
 არ დაიძინებს დაღლილი გენი
 და მიწას დედის სურნელი ასდის
 და ცოდვა ასე კარდაკარ ივლის,
 სულს უშენობა ისევ აყივლებს,
 წამით არ გდარდობ და თითქოს შვილი,
 დარდი კი არა, შვილი გაყვიდე.
 ველარ დავიციდი, სანამ დრო გავა,
 ქართულ მზეს კვართი ცეცხლში დაუწვევს,
 სამყაროს ხელში ისე ცოტა ვართ,
 ერთმანეთს მტრობას რომ ვერ გავუწვევთ.
 იქამდე, სანამ ცა მოვიდოდა,
 ჩვენი სულები მიწას ებარა
 და პოეზია ზეცა კი არა,
 ხომ მიწიერი შეწყწნარებაა.
 სიმართლეს დარდის ქიტონი ეცვა
 და დედამიწა სევდამ შეღობა,
 ეს პოეტები შეეშვით ზეცას,
 იმას თავისი დარდიც ეყოფა.
 ველარ ვამყარებ იმათთან კავშირს,
 ვინც სუფრას უზის ახლა ინახად
 და მაწანწალა დამშვეულ ბავშვში
 ვინც პოეზია ვერ დაინახა.
 ვერ შეუუთავსე აგურს აგური
 და ზღაზვნით მოდის ღამე ზარმაცი,
 დმერთო, მაშორე ცრუ და ორგული,
 ავაზაკივით სულს რომ აგაცლის.
 დმერთო, მაშორე ცრუ და აესული,
 უკიდევანო ნატვრა ვინატრო,
 ანდა, ვინა თქვა ეს დასასრული,
 იქნება, სფინქსი ჩემში ბინადრობს.
 გამოცლილია სულ ბოლო თასი
 და მიჭირს შენთვის ხელის შეხება,
 მზე ჩადის, როგორც მოხუცი ვალსი,
 მხოლოდ თვალებით რომ გეცეკვება

* * *

ახლა სიმართლის კარი გავადე,
შენამდე ყოფნაც კი აღარ მიკვირს
და არ გამიშვებს ეს სიამაყე,
ორღობისაკენ რომ გავყვე სიკვდილს.
რადგან სიცოცხლის ღიოფი კენესის,
აუკინძიათ ბუდე არწივებს,
შენად მიიღე ახლა ეს ლექსიც,
რომ ჭირვეულობს და არ მაძინებს.
და წამით იგრძნო სული სხეულმა
და ამიჯანყდა სისხლი და გვარი,
გადარჩენისკენ გამოქცეულმა
მოვიჯახუნე სიკვდილის კარი.
გულის ბილიკებს ჩასდევს ფრიალო,
ცა მიჯანყდება რძისფერი ფითრით,
უგზობაში როგორ ვიარო,
ვდგავარ და სულის ნანგრევებს ვითვლი.
სიცრუის გზებმა სიმართლე შესვეს
„ლექსის მწერლებს“ ბნელი ხაროთი,
მოდო, ბიძია, ნუ დაწერ ლექსებს,
იქნება, კითხვა უფრო გამოგდის.
მიწაზე ყოფნა უკვე არ მინდა,

ზეცა მეძახის, როგორც ტადარი
და სააქაო სოფლის დარდიდან
ლოდივით სული ველარ დაეძარი.
ვდგავარ სადღაცას და ჩემს თავს ვეძებ,
სადაც ვიყავი, იქაც არა ვარ,
ვერ წამოვისხი სამშობლო მხრებზე,
რომელიც ასე მეპატარავა.

* * *

თითის წვერზე შემდგარი ხეებიდან
ზეცა უფრო მაღლა იხედება,
ისევ გამეყინა ხელები და
მარტო ვერ დაგრჩები იმედებთან.
დავითმენ, უფალმა თუ ინება,
უშენო დღეები დაცაფლენე,
ოღონდაც სიკვდილი ნუ იქნება,
იყოს, დარდი იყოს, არ დავეძებ.
ისევ ტკივილები ამიწონეს,
შენზე საფიქრალი გადავკეტე,
ნაპრალებიდანაც გამოყოფენ-
რა სიყვარულივით გადამედე.



იოსებ იარლანაშვილი

მწვანე... წითელი...

სოფელს საღამოსთან ერთად ვსტუმრობთ... იქნებ, არცა ვარ სტუმარი?!... ბინდის სიმუქეში ამაოდ ვაფრიალებ მოგონებებს. „რა გიკვირს, ასაკია, რაც აქ არ ყოფილხარ! თუქვსმეტი წელი ცოტა როდია?!“ — ვუმეორებ საკუთარ თავს. დროდადრო მძლოლის ხმა მაფხიზლებს, როცა კითხვას შემომკრავს - ხოლმე, ახლა საითო.

ავტომობილი რწვეითა და ტორტმანით მიიწევს ოღრო-ჩოდრო გზაზე. ძრავის დახშულ ხმაურს საბურავებიდან დამსხლტარი ქვების ჭახანიც ერევა. მძლოლი დაძაბულ მხერას ადევნებს ფარების შუქს, წამიერად რომ ეხავსება ჩაბნელებული შუკის ფრაგმენტებს. ორივე ვეწვეით და სალონში თამბაქოს სუნი ტორტმანებს...

ყორეებზე გადმომდგარი ძაღლები გაავებული ყეფით გვაცილებენ. პირუტყვი ამ დროს უკვე დამწყვდეულია.

— შორია? — ისევ მეკითხება მძლოლი.

— რამდენიმე სახლიც და... — ნამწვავს სიმუქეში ვისვრი.

ფანჯრებში მბჟუტავ შუქებს ვხედავ — ზოგან ლამფა ანთია, ზოგან — სანთელი...

ვფიქრობ და დაცარიელებულ წარსულთან შეხვედრის წინ საკუთარი სიმშვიდე მაოცებს. დიდი დროა აქ არ ვყო-



ვილვარ. ვინც დავტოვე, არავინ დამხვდება: დედა, მამა... მძას მხოლოდ მე ვნახავ...

ფართოდ გაღებულ ჭიშკარს ვუახლოვდებით. სახლის ყველა ფანჯარაში შუქი კრთის. ეზოში ადამიანთა ჩრდილებს ვხედავ.

— აქ გააჩერეთ! — ვეუბნები მძლოლს.

მანქანიდან გაზაფხულის სუსხიან ღამეში ვინაცვლებ და სიგარეტს ვუკიდებ. საკუთარი სუნთქვა სანთებელას

ალზე პატარა თეთრი ჯინივით იფორმება... და ცივი ჰაერის ლუკმა ხდება.

მძლოლი ძრავას აღუმებს. ეზოში შევდივარ და სახლისკენ მივბიჯებ. ჩრდილები ჩემსკენ მოემართებიან. ისევ ყეფენ ძაღლები, სადღაც საქონელიც ბღავის... თვალი გვერდით ეზოში — ჩაბნელებული მშობლიური სახლისკენ გამიბრბის...

უკვე პირისპირ ვდგავართ.

— მე ბერა ვარ! — ვამბობ განაჩენივით.

უმალ შემახილების გარემოცვაში ვექცევი:

— შეხედე, ბერა ყოფილა!...

— ჩვენ ხვალისთვის გელოდით!...

— მადლობა ღმერთს!...

— მშვიდობა შენს მობრძანებას!...

შემდეგ ხელების ტყვე ვხდები — ერთნი მხარზე მითათუნებენ, სხვები — რიგ-რიგობით მესალმებიან... მაგარი და გაუხეშებული ხელებია. სოფელმა იცის ასე! მამასაც დაკოჟრილი ხელები ჰქონდა, ალბათ, ძმასაც... მეხვევიან... მკოცნიან... სახეებს ვერ ვხედავ.

ხმაურზე სახლიდან ქალი გამოდის.

— ბერა ჩამოვიდა!... — იქვე ეხმანება დამხვდურებიდან ვიღაც. ქალის შემახილით ვსაზღვრავ მის აღშფოთებას — ბრუნდება და ასხლეტილივით უმალ სახლში ინთქმება.

— შინ შემობრძანდით!... — რამდენიმე ხელი იქეთ მიმაქანებს, — მართო ხარ?!... მანქანაში დარჩა ვინმე?!... — მეკითხებიან ხმამაღლა, ლამის ყვირიან.

— მძლოლი, მხოლოდ! — ვხმადაბლობ პასუხს.

სახლიდან ქალები გამოდიან. ერთ-ერთს ხელში ლამფა უჭირავს. ყველანი თაღებსა და ძაძებში არიან. მოაბიჯებენ და თან ერთგვარ მისტიკურ სურათს ჰქმნიან — შავებში მოსილთ ლამფის შუქზე სახეებთან თბილი სუნთქვა უბოლავთ.

— როგორ ხარ, შვილო?! — სახეზე მოხუც ხელებს ვგრძნობ. ქალი ლოყაზე მკოცნის. მის ხმაში ყალბ ნოტებს ვიჭერ. — მე არ გემახსოვრები! — თითქოს თავს იმართლებს მერე. ასეთნი სხვებს ასწრებენ ყოველთვის.

— მშვიდობა შენს ჩამოსვლას, შვილო!... — ამჯერად სხვა ხელები, სხვა სახე, სხვა ხმა... — როგორ გელოდა უბედური შენი ძმა?!...

ანაზღად, ყველანი განზე იწევიან. ჩემსკენ შუა ხნის ქალი მოდის. ისიც შავებშია. ვხვდები — ძმის ცოლი უნდა იყოს.

— მოდი, ბედისა, შვილო! — ხელს აყოლებს მოხუცი ქალი.

ყველანი ჩუმდებიან. წამიერად ადამიანთა ღუმილსა და ძაღლების ყეფას რჩება სივრცე.

— გამარჯობა! — ჩუმად ამბობს ქალი. ლამფის შუქზე ვამჩნევ — წყლიანი, სველი თვალები აქვს. ალბათ, უფრო ნამტირალევი.

გარშემო უხმოდ გვიცქერენ, ყველას სიჩუმე აზის მხრებზე.

— გაგიმარჯოთ! — ვიღრე გადაუხვევი, ქალი ტირილს იწყებს, მხრები უცახცახებს და თრთის. — უკანასკნელ წუთამდე გელოდა!... — ამბობს თან.

ზურგიდან საყვირის ხმა მწვდება. მძლოლი გაბრუნებას ჩქარობს. ბნელა, თორემ არც ისე გვიანია — ამ დროს მთაში დღე მალე იღამებს. ყველანი ცოცხლდებიან და

ერთად სიტყვობენ.

— მძლოლს შემოვიყვან!... — მიემართება ვიღაც ჭიშკრისკენ.

— სახლში შევიდეთ!... — უცნობი ხელი კარისკენ მეწევა.

— ჰო, შევიდეთ!... — ეთანხმება ერთი ქალთავან.

— მანქანაში ბარგია! — ვამბობ და ხელების ტვერში საპირისპირო მხარეს მივიწევი.

— ბარგსაც მოვიტან და მძლოლსაც მოვიყვან!... — კატეგორიულობით მარწმუნებს ვიღაც.

თითქოს მძლოლი ჩვენს საუბარს გრძნობს — ისევ ნიშანს გვაძლევს.

— არა, მძლოლი გაბრუნდება, ჩქარობს! მხოლოდ ბარგია გადმოსატანი!...

— ჩვენ გადმოვიტანთ!... — ხმა უკვე მშორდება.

მე კი ხელები სახლისკენ მატრუნებენ. ხელებს ხელები ემატება... და ერთად კარისკენ მივბიჯებთ.

ოთახში მხუთვარე ცხელ ჰაერს ვავიწროვებთ — ყველანი ფეხდაფეხ მომყვებიან. კუთხეში საწოლზე საბნიდან ამომძვრალი ბავშვი მიშხერს.

ვხვედები, რადგან შორეულ წარსულში ვხედავდი მსგავს სახეს. ბავშვს თავთან გოგონა უზის, ხელში წიგნი უჭირავს და ისიც მონუსხული მიცქერს.

— ძია ჩამოვიდა, შვილო! — ამბობს ბედისა, როცა ბავშვი მხერას უწილადებს.

ნაბიჯს ვდგამ. ბავშვი მკლავებში მიძვრება... და მის ხელებს ზურგზე ვგრძნობ. ლოყა ცხელი აქვს, დამწვას ლამის. ყურთან მისი სუნთქვა მეტობა. ჩუმად ვართ. ცრემლი ბედისწერას მსგავსებია — მომეკლინა და თავისი გაიტანა. თვალები მეწვის. ისევ ჩუმად ვართ. ხმელი შემა ტკრციალებს მხოლოდ. დრო ცრემლივით მიდის — შეუმჩნეველად, ვისთვის დაპა-ღუპით, ვისთვის — თქრიალით.

ბავშვი რომ მცილდება, გოგონა უკვე ფეხზე დგას. მის მორცხობას ჩემი სიხარული სჯაბნის და გულში ვიკრავ. თმაზე კვამლის სუნი აქვს — შორეული... მშობლიური. მხრები სუნთქვაზე აუღ-ჩაუღის...

— დედა, ავდგები, რა?! — ითხოვს ბიჭი.

— იწევი, შვილო! — პასუხობს ნამტირალევი ხმა.

— ავდგები, რა?! — იმეორებს ბავშვი.

— არა-მეთქი, ბაქარ! — ამჯერად პასუხი კატეგორიული და დამაჯერებელია. მერე გოგონას უბრუნდება — მხეხა, დააძინო ეგებ!

წიგნიანი ხელი ზურგიდან მიქრება. გოგონა სკამს უნაცვლებს ადგილს და ძმას უყურებს.

— თანდილა მანახეთ! — ვუბრუნდება ბედისას.

ოთახში ორნი შემოდიან — ჩემი ბარგი ხელში უჭირავთ. იქვე კართან ალაგებენ და თავის მართლებასავით აღიარებენ:

— მძლოლი არ გაჩერდა, წავიდა!... — ამბობს ერთი.

— მეჩქარებაო!... — უდასტურებს მეორე.

ისევ ბედისას ვუბრუნდები.

— აქეთ ოთახშია!... — ამბობს ბედისა და გვერდით კარში უჩინარდება.

...ჩაბნელებულ კონტურებს სანთლის შუქი პატრონობს — ერთი საყინულის თავთან თრთის, ორი — ოთახის კუთხეებში. გარეთ გასასვლელ კარში სიბნელე დგას.

კედელთან სკამები მწკრივობენ — უზურგო, მრგვალი,

ოთხკუთხა... უთუოდ, ყველა ნანათხოვარი ავეჯია.

ზურგთან ჩუმი ტირილი და კენესა მესმის. მოგრძო მართკუთხა სიშავეს მარტო ვუახლოვდები.

— თავი გადავხადოთ!... — ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ვუკიდებ — ...და მარტო დამტოვეთ! — ვითხოვ, როცა თამბაქოს გემოს ვგრძნობ.

ქალები გავიძინე. კაცები საყინულესთან მიდიან. ორნი კეცვით იღებენ ზაფერდის შავ გადასაფარებელს. საყინულე ფიცრულზე დგას. ქსოვილი იატაკამდე ჰფარავდა მას.

თავსახურს რამდენიმე წყვილი ხელი სჭირდება — დიდა და მძიმე — ფიცარს თუნუქი აქვს ამოჭედებული. ვიდრე ყველანი არ გავლენ, საყინულეს თვალს ვარიდებ.

თავსახურს იატაკზე დებენ სკამებზე მიყუდებულს. სანთლის ალები სხეულთა მოძრაობებზე თრთიან და კრთებიან.

ოთახი ნელ-ნელა ცარიელდება. მარტო ვრჩები. ორივე კარს ვხურავ და საკუთარი წარსულის ხილულ დასასრულს ვუახლოვდები.

საყინულე რკინისაა, ღრმა და დიდი. ძმა მხრებამდე ზეწარგადაფარებული ასვენია აქა-იქ ყინულდადებული...

სახე... ტკივილია ასეთი — არის მასში რაღაც ნაცნობიც და უცნობიც. ფართე შუბლი, ამოზურგული ცხვირი, წამოწეული ნიკაპი — იმდენად მშობლიურია, რომ წლების შემდეგ ნახვევშიც იცნობა იგი... ჭაღარა მეუცხოვება (თუმცა, ველოდი),... ჩაფარდნილი და ჩამუქებული უპეებიც და დაბერებული, დანაოჭებული სახე, დროს რომ ნადრეგად დაუტოვებია ზედ ცხოვრების ნაურმალები. ჩემი ურმის კვალი, ალბათ, ყველაზე მეტია.

რამდენჯერ შემოუხედავთ ამ თვალებს?!... ამ ტუჩებსაც არაერთხელ უმეტყველნიათ და გაუღიმიათ ჩემთვის... რომ ვიზრდებოდი, ამ სახეს ვხედავდი... საკუთარი ღიმილი მინახავს ამ სახეზე... საკუთარი ცრემლი... ამ სახეზე მომფერებიან და გაურტყამთ ჩემთვის...

ახლა კი როგორ დალეულა?!... შეხებას ვერ ვბედავ, რადგან იგი დანაშაულიც არის ჩემი და სასჯელიც... სხეულიც ისეთი სუსტი და უმწეო ჩანს!... სველი ზეწრის ქვეშ ყინულის ნატეხები კიდევ უფრო აზუსტებენ კონტურებს...

ისევ სახეს დავეყურებ... რასაც ვხედავ, იმაზე მძაფრია, ეს სახე რომ მაგონებს. იქნებ ამიტომაც არ მაკვირვებს საკუთარი თვალის სიმშრალე...

კარი იღება და ღიობში სილუეტს ვხედავ. მოხუციი სხეული ხელჯოხზე ეგრძნობა და ისე შემოდის.

— მითხრეს, მარტო ყოფნა ისურვაო. მე მაინც შემოვედი! — ამბობს მოხუცი. ვერც ხმაზე ვცნობ. ნაბიჯს გაჭირვებით ინაცვლებს. — არ მიწყინო, შვილო! გულმა არ მომიტმინა!

სანთლის შუქზე რომ მიახლოვდება, დგება. უკვე ვცნობ — ძია ნიკო — მეზობელი და მამის მეგობარი.

— მიცანი, ხომ?!... — ალბათ, სახეზე მამჩნევს. ისევ ჩემკენ მოიწევს.

ვიდრე ერთმანეთს გადავხევევით, სახეში მაცქერდება. მხერა სველი აქვს...

— რამდენი წელია, რამდენი წელი?!... — ყურთან ჩამესმის მისი ხმა — როგორ ხარ?!...

არაფერს ვპასუხობ, ისევ თვალებში ვუყურებ, ცრემლებს რომ ამწიფებენ.

— არ გვეგონა, თუ ჩამოუსწრებდი?! — ძია ნიკო თავს

ძმისკენ აბრუნებს.

— არც მე მეგონა! შემთხვევის წყალობით მოვახერხე! — ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ვიდრე მოუკიდებ, კოლოფს მოხუცს ვუწვდი.

— არ მინდა! მივატოვე კარგა ხანია! — ძია ნიკო საყინულეში იმზირება. — რომ იცოდე, როგორ გელოდა უბედური?!... — ამბობს თან დანანებით.

არაფერს ვამბობ. სიგარეტის კვამლი სანთლის შუქზე კვდება. ყვავილების სუნს ნელ-ნელა ვერწვევი.

— ბავშვებმა იცოდნენ, რომ გემზე მუშაობ. — აგრძელებს და მე მიყურებს. — დაიჯენდა კალთაში ორივეს და უამბობდა ათას მოგონილს შენზე, ზღვაზე, თევზებზე. განსაკუთრებით მაშინ გნატრობდა, საჭმელს რომ ვჭამდი — ვინ იცის, იქნებ მშიერია ახლაო...

კარი იღება და დამხედურები რიგ-რიგობით შემოდინ. ჩემი მარტობა უკვე დარღვეულია. ადამიანებს მიბაძვა ინსტიქტში აქვთ. მხოლოდ სიკვდილზე ვერ იტყვი ამას.

ღიად დარჩენილ კარში მეზობელი ოთახიდან ბავშვის მუდარა მესმის:

— დედა, ავდგები რა?!...

შემოსულები კედელთან მწკრივდებიან. ზოგი ჯდება, ზოგიც დგომას ამჯობინებს.

— ესენი ხომ იცანი?! — მეკითხება ძია ნიკო.

ჩემი ყურადღება მხოლოდ ახლა იცლის მათი სახეებისთვის.

— ეს კაცი ჩემი სიძეა, მალხაზი! — ძია ნიკო მალხაზზე უთითებს და ისიც ხელს მართმევს — ეს ბაჭუა! შენ არ გეცოლინება! — ასაკზე ეტყობა, რომ ჩემზე ბევრად უმცროსია. — ეს, კიდევ, მინდაა — ჩვენი სოფლის სიძე! ამ კაცს კი, ალბათ, იცნობ! — ძია ნიკო გამომცდელად მიყურებს.

უჩაა — მოკრძალებულ ღიმილზე ვცნობ. სკოლაშიც ასეთი იყო... ერთ მერხთანაც კი ვმსხდარვართ...

— როგორ ხარ?! — მეკითხება.

ძნელია სალაშში ჩაატო, რას გრძნობს უცხო ქვეყნის ციხიდან წლების შემდეგ ერთადერთი ძმის დაკრძალვაზე შინ დაბრუნებული კაცი. მიხვედრილი ადამიანისთვის ღუმილი უცებ ამბობს ყველაფერს.

— შვილები გყავს?! — კითხვას ვიშველიებ.

— ორი! — ეღიმება უჩას, — გოგო თხუთმეტი წლის, ბიჭი — თერთმეტი!

კითხვა კიდევ ბევრი მაქვს... სხვა დროს იყოს...

— კარგი, გვეყოფა ახლა! — ძია ნიკო ჩემით დაწყებულ მხერას გარშემო არიგებს. — ვავანშმოთ კაცი, დაღლილი იქნება... დაისვენოს!... ზვალ, კიდევ, უამრავი საქმე გვაქვს! — მერე უჩას უბრუნდება — დაახურეთ! — მე კი მხარზე ხელს მადებს — წამოდი, გავიდეთ!

ისევ ჩახუთულ ოთახში ვინაცვლებთ. კუთხეში მაგიდა ეწეობა — ქალები მალი-მალ მიდი-მოდინ და ჭურჭლის ლაგების ხმა ისმის. ბაქარი საწოლზე წამოძვდარი მიცქერს. მხეხაც იქვე ზის...

უკანა კარიდან ბედისა შემოდის, მკრთალ შუქზეც აშკარაა — თვალები ჩაწითლებული აქვს.

საწოლთან მივდივარ და იქვე ვჯდები.

— ძია ბერა, გემზე ხომ აღარ წახვალ?!... ჩვენთან ხომ დარჩები?!... — ბაქარი უმაღლ ჩემთან ჩნდება და კალთაში კითხვებს მილაგებს.

ვრჩები — მეთქი, ვარწმუნებ და ბავშვი კისერზე მჭხვავა. წამით ყველა ჩვენ გვიყურებს.

- სანადიროდ ხომ წამიყვან?! — მეკითხება ისევ.
- წაგიყვან! — ვპირდები.

ბედისა თვალზე ცრემლს იწმენდს.

— თოფი ძველ სახლშია! — ბაქარი სიხარულით ხტომას იწყებს. მზეხას ხელები კალთაში წიგნზე უწყვია და ისე გვიმზერს.

— ბერა, მოდი, მოიწი! — ძია ნიკო, რომელიც უკვე გაწყობილ მაგიდასთან ზის, თავისთან მიხმობს. გვერდით ოთახიდანაც გამოდიან. — მოდიოთ, მოდიოთ!... — ძია ნიკო მათაც ეხმინება.

სუფრას მხოლოდ მამაკაცები ვუსხდებით. ერთხანს სიჩუმეა.

ჭიქას პირველად ძია ნიკო იღებს — შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, შენს დაბრუნებას!... ამიერიდან ბედნიერება ყოფილიყოს შენი არსებობა!...

როცა ყველას შემდეგ მადლობას ვამბობ და ჭიქას სავსეს ვდგამ, ძია ნიკო გაკვირვებული მიყურებს:

- არ დალევ?!...
- არა! — უარობ. — ერთი კაცის ასაკი იქნება, რაც არ დამილევია, არ მინდა!
- არც გენატრება?!... — არ მეშვება ძია ნიკო.
- ერთადერთი ეგაა, რაც არ მენატრება!
- როგორც გენებოს! — აღარ მეძალება ძია ნიკო.

მეორე ჭიქით თანდილას ხსოვნას ამბობს. სულ ხუთი თუ ექვსი ჭიქა ისმება. ყველანი მალე მიდიან.

ღამით ძველ სახლში ვითხოვ დარჩენას. როცა სახლი მოსულთაგან იცლება, ბავშვებს შუბლზე ამბორით ვეშმვიდობები. კართან ბედისა ანთებულ ლამფას მაწვდის:

— ბუხარში ცეცხლი ანთია,... საწოლიც დაგებულია. — თვალზე ცრემლს იწმენდს. — თანდილა ყოველ წუთს გელოდა... სახლში ყველაფერი ძველებურადაა... ხანდახან თვითონაც იქ ათუვდა დამეს...

არაფერს ვამბობ... ვბრუნდები და ლამფით ხელში გაზაფხულის სუსხიან ღამეში მივაბიჯებ. ცივ ჰაერთან ერთად დამწვარი ნავთის სუნიც ერევა სუნთქვას.

სახლი გვერდით ეზოში დგას. მოკლე ბილიკი ბალახოვანში უხვვეს.

წარსული წინკარში იწყება... ბავშვობაში მე და თანდილა აქედან ვუცქერდით ზაფხულის წვიმას...

სიჩუმეში ხის იატაკზე საკუთარი ნაბიჯების მეტყველება მესმის. ორი კარიდან ჯერ მარცხენას ვირჩევ. ძველი მოგრძო გასაღები ცივია. საკეტში ხმაურით ბრუნდება და კარიც დამწვდევულ წარსულში გზას მითმობს...

ძველი ავეჯის სუნი ზღუბლზევე მეგებება. კედლები, განჯინა, მაგიდა, ბუხართან სამფეხა სკამები — ყველა წაბლის ხის შვილები არიან. ამ სუნს, ალბათ, წყალქვეშაც ვიცნობ... სიგარეტსაც არ ვუკიდებ, თამბაქოს კვამლმა წარსულის სუნთქვა რომ არ შებღალღოს... ლამფას მაგიდაზე ვდგამ. ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია... ამგვარ წუთებში ფიქრიც სდუმს... დრო არც არსებობს თითქოს...

ასე ფიქრდადუმებული და წარსულხელჩაკიდებული უკანა ოთახებში გავდივარ. წაბლის ხის სუნი ფეხდაფეხ დამყვება თან...

გარეთ გამოვდივარ. ერთხანს დამეს გავეყურებ. მთვარის

შუქზე მინდორი დიდი ცხოველის ბეწვს ჰგავს. ზედ კაკლის ხის ჩრდილი გატოტვილა... კაკაჩი დამე არც საკუთარ სუნთქვას მიძალღვს, სახესთან რომ მიორთქლდება... სადღაც ძაღლები ჰყეფენ...

მეორე კარს ვაღებ. აქ ბუხარში ცეცხლი ბჟუტავს. დაპობილი შეშაც აწყვია. კედელზე ძველებურად ჰკიდია თოფი. ქვევით საწოლი დგას. თოვლივით თეთრ საბანზე მთვარის შუქი ისვენებს...

ლამფას მაგიდაზე ვდგამ და ბუხარში ცეცხლს ვაფხიზლებ. საკვამური სახლის გულშია ამოყვანილი, ამიტომ ბუხარი ოთხივე ოთახშია. აქ მშობლებს ეძინათ... საკუთარი ფიქრივით დავბორივალ... კარადასთან მივდივარ. ძველი ტანსაცმლის სუნი უხილავი ხელებით მუდარასავით მეპატრონება მღუმარედ... მშობლების სამოსი სევდასა და სინანულს მოუცვამთ ახლა... ვერც მათთან შეხებას ვებედავ...

კარადაში თაროზე ვაზნებს ვპოულობ — გადანახული სიცოცხლეებით აწყვია კოლოფში.

ისევ სიგარეტს ვუკიდებ. თამბაქოს კვამლი უმაღ უშინაურდება ოთახს. საფერფლეს ვეძებ. ნაღვერდალი მალე ღვოდება და ცეცხლი ოთახს მეტ სინათლეს სძენს...

საწოლის თავთან სკამზე სიგარეტსა და საფერფლეს ვიმზადებ და ლამფას ვაქრობ — ამ სახლის სიბნელეში ყველაფერს ისევე იოლად მივაგნებ, როგორც ტკივილს საკუთარ სხეულზე...

თეთრეული ჰაეროვანია და მსუბუქი, ზომიერად უხეში და მკვრივიც — სახამებელში ერთბაშად ვინთქმები... შორს, სხვა სიცოცხლეში, ნარზე გათენებული წლები მდმა მახსოვს ამგვარი თნება. თითქოს ახლა იბადები... სამყაროც შენი ზომისაა — არაფერია მეტი და ნაკლები...

კარგა ხანს არ მძინავს. ვწვევი და ვფიქრობ. უძილობა უახლესი წარსულის სახსოვარია — ნარზე გათენებული თოვლიანი და სუსხიანი ღამეების პირმშო. ციხეზე ფიქრიც არ მინდა... პატარა წყენა არ გავიწყდება კაცს... ტუსაღობაში გატარებული თექვსმეტი წელი — მით უფრო... ციხე საშინელებაა — ხარ საკნის ოთხ კედელში გამოკეტილი და შენამდე რივიანად არც სიცოცხლეს უშვებენ და არც სიკვდილს. შენც მშვიდი ძაღლივით ხარბად ხრავ და ტკვიარავ საკუთარი სიცოცხლის ძვლებს. ხორცს ან სხვა შეჭამს ან სადღაც გადააგდებენ, უშენოდ გაიხრწნება. დრო კი — ყველაზე და ყველაფრისადმი გულგრილი — წუთში სამოცჯერ ჩაგოვლის და ყოველ მოსვლაზე ახალ სახრავს დაგიყრის... რომელიც ისევე ვერ კლავს შიმშილს, როგორც შენ — დროს... მით უფრო საშინელია ეს ყველაფერი ცივ, სუსხიან უცნობ ქვეყანაში, სადაც კლიმატისთვისაც უცხოა სითბო...

სადღაც შორიანხლოს ძაღლი ჰყეფს და მისი გაავებული ხმა სოფელში მბრუნებს. მთვარე ფანჯარას მიემალა. ბუხარში ცეცხლი იხედნება და ოთახში სითბო ჯირითობს...

ისევ არ მეძინება. ვფიქრობ და ვწვევი... დიდხანს ვფიქრობ... ბევრს ვწვევი... უკვე მამლები ყვიან... ძილს ბედნიერებასავით სცოდნია — ეძებ, ცდილობ, იბრძვი... ის კი მაშინ გეწვევა, როცა დრო აღარ არის...

დილით გვიან მეღვიძება. კარგა ხანია ასე ღრმად არ მძინებია. რაღაც მესიზმრა. ჩაცმისას ვცდილობ გავიხსენო, მაგრამ უძლური ვარ.

გარეთ გამოვდივარ და სიგარეტს ვუკიდებ. მზე უკვე

სიმაღლეზეა. კაკლის ძირში ბალახის ახალ, ხასხასა სიმ-
წვანეზე ნამი ბრწყინავს. თანდილას ეზოდან ადამიანთა
ხმები ისმის.

სახლის წინ ისევ მეზობლები დგანან. ძია ნიკოც იქვეა.
კედელთან ყვავილები აწვია, ძირითადად — მიხაკები.

მესალმებიან. ვხედავ, ბაქარი ჩემსკენ მობრბის.

— ძია ბერა, ძია ბერა!... — გვერდით დგება და ხელში
ხელს მკიდებს. ტანთ ფლანელის კუბოკრული პერანგი,
ტოტებზე ტალახშემხმარი შავი შარვალი და ლურჯი
ბაგვები აცვია.

— ისაუზმე, — ძია ნიკო სახლისკენ ბრუნდება, — მერე
ბიჭები სასაფლაოზე სადილს წაიღებენ. ალბათ, წაყოლას
მოისურვებ. მშობლებიც იქ არიან დასაფლავებული. ხომ
იცოცხლე, გზა შორია, ცოტა დროულად უნდა წახვიდე! აქ
საქმე შენ არ გვება — ბიჭები მიხედავენ!

სახლისკენ ვბრუნდები. ბაქარი თან მომყვება. ოთახ-
ში ქალები ფუსფუსებენ. ერთნი ღიმილით მესალმებიან,
ერთნი — ცნობისმოყვარე მხერით. კართან ჩემს ჩემოდნებს
ვიღებ და გამოვდივარ.

საიდანღაც ბედისას ხმა მესმის — ბაქარს ეძახის. ბაქა-
რი უჩინარდება.

სახლში გადავდივარ... ჩემოდნიდან ფულს ვიღებ და
უკან ვბრუნდები.

— აქ ხუთასია, — ძია ნიკოს ბანკნოტებს ვუწვდი, —
რამდენიც იქნება საჭირო, დაემატებ!

ძია ნიკო ფულს დაუთვლელად ინახავს. დაკრძალვის
საქმეს იგი თავკაცობს.

ბაქარი ბრუნდება და პატარა ხელით ისევ ჩემს ხელს
ეპატრონება. ჯიბიდან ფულს ვიღებ და ბაქარს პერანგის
ჯიბეში ვუჭმუჭნი.

— ეს შენ! რაც გინდა, იყიდე! — ვუბნები თან.

ბაქარს ღიმილი აღარ ეტევა სახეზე.

— ფულიანი კაცი ხარ, უკვე! — მხარზე უთათუნებს
ხელს ძია ნიკო.

— შეხედეთ!... — ყვირის უცებ ბაქარი და ეზოს ბოლო-
სკენ თითს იშვერს. ყველანი იქეთ ვიხედებით.

ღობის ძირში პირში წიწილგაჩრილი ჟღალი კატა ძირ-
ბის.

— უკვე მერამდენია! სულ მთლად გაველურდა ტიალი!...
— ამბობს ძია ნიკო — ვერც მოკლა ვერაფერი!

— მამიკომ თქვა: „ბიძაშენი უნდა მაგ საქმესო“ — ერთ-
ვება ბაქარი.

კატა ღობეზე ძვრება და მიღმა უჩინარდება.

— კიდევ ისე გიჭრის მიზანი? — მეკითხება ძია ნიკო.

— აბა, რა ვიცი! — ვპასუხობ და ბაქარს დავარცხნილ
თმას ვუჩეჩავ.

საუზმის შემდეგ მეზობელ ბიჭთან ერთად სასაფლაოს
გზას ვადგებით. კალათი მას მოაქვს, ღოქი — მე. ბიჭი
გაცილებით უმცროსია, საერთო არაფერი გვაქვს მოსაგ-
ონარი, ამიტომ ჩუმად მივდივართ.

გზა შორია — მეზობელ ბორცვზე მიუყვება აღმართს.
მზე სულ უფრო მაღლა იწევს და ჩვენს სიციხე გვაწვება
მხრებზე...

სასაფლაოს ვუახლოვდებით. ჩიტების ჭიკჭიკი ადამი-
ანთა საუბარს და წერაქვის ხმას ირევს.

ჩვენს გამოჩენაზე მუშაობას წყვეტენ. უჩაც აქ არის.

— მოდიო?!... — თითქოს თავისთვის, ამბობს ხმადაბლა.

— გამარჯობა! — ვესალმებით ყველას.
გვესალმებიან.

— კარგი, გაგჩერდეთ ახლა, — ბიჭებისკენ ბრუნდება
უჩა, — შეეჭამოთ რამე!...

გარშემო მიწის სუნია — ნაზამთრი მიწის სუნი. ბიჭებს
ყურადღებას აღარ ვაქცევ. მშობლების საფლავთან რომ
მივიდე, სველ მიწაზე ვაბიჯებ... მარცხნივ მამის საფლავია,
მარჯვნივ — დედის. ახლა ქვაზე ოვალური სურათებიდან
მიცქერენ. თანდილას ახალგაზრდობის ფოტო შეურჩე-
ვია — მშობლები ერთად არიან... ვუშხერ და მეჩვენე-
ბა, თითქოს რაღაცის თქმა სურთ... მეც მინდა მათთან
საუბარი, მაგრამ ახლა არა... მერე, როცა ყველაფერი
ჩაივლის და მარტო ამოვალ... უკვე თანდილაც აქ იქნება...

ჩემი მეგზური ქვის მაგიდაზე ტრაპეზს აწყობს. იქვე
ბიჭები ხელებს იბანენ.

პირველ ჭიქას მე მაწვდიან. მშობლების ხსოვნას ვამბობ
და ღვინოს საფლავებზე ვანაწილებ...

გზას უკან ისევ დუმილში ვცვეთ. ბაქარი ჭიშკართან
მელოდება...

თანდილასთან შევდივარ. ოთახში ყვავილების სუნი დგას,
არათუ სურნელი, არამედ — სუნი, უსულო სუნი. თუმცა,
მეტწილად მიხაკებია. ძია ნიკო იქვე ზის.

— დაიღალე?! — მეკითხება.

— არც ისე! — გვერდით ვჯდები.

— ბიჭები რას შეებიან?!

— სადამოსთვის დაამთავრებენ.

— ეს ერთი დამე დარჩა გასათუვი თანდილას... ხვალ
კი... — ძია ნიკო ოხვრით ამთავრებს სათქმელს. — ამ
სახლის ამენება რომ დაიწყო, აქ ყანა გქონდათ. ძველს
ხელი არ ახლო, ბერა ჩამოვა და როგორც მოისურვებს,
ისე მოიქცევაო... ბოლოს სულ მოუმატა სმას... გელოდა
და გელოდა... შენ ახლა წადი, დაისვენე! — მიბრუნდება
მე. — მალე პანაშვიდი დაიწყება!... გასაკეთებელი ყვე-
ლაფერი კეთდება!...

სახლში გადავდივარ — განმარტოებისთვის მხოლოდ
და მხოლოდ. ვიდრე წარსული და აწმყო უღმობლად მიე-
ოფენ, ეულობა მირჩვენია... ვწვევარ და სიგარეტს ვწვევი...
საფერფლე სკამზე ნამწვავებს ველარ იტევს... ბუხარი იმ-
ვილებს მათ მერე...

პანაშვიდი აღრე იწყება — ვიდრე დღე შებინდებას იფ-
იქრებს. კედელთან სკამებზე ჭირისუფალი ქალები სხდები-
ან. შუაში ბედისა ზის, გვერდით — მხეხა. საპირისპირო
მხარეს კართან მე ვდგავარ...

ყველა მოსული ხელს მართმევს. ხელი ბევრია — თბილი
და ცივი, უხეში ან რბილი... ზოგნი სახეში მაცქერდებიან,
ზოგნი მხერას მარიდებენ... ქალები გამუდმებით მოთქ-
ვამენ... დროდადრო გამოვდივარ და სიგარეტს ვწვევი...
როცა ოთახში ყვავილები აღარ ეტევა, გამოაქვთ და კარ-
თან აწყობენ... ბაქარი არ ჩანს, ერთხელ მოგკარი თვალი
ეზოში...

უკვე აცივდა. მზე აღარ ჩანს, თუმცა, ჯერ ისევ დღეა.
სიგარეტს ვუკიდებ და გარშემო მხერას ვაფოთიანებ.
გაღებულ ჭიშკართან ორი კაცი საუბრობს, მაღულად ჩემ-
კენ იხედებიან. ღობის მიღმა ისევ ისმის საქონლის ბღაუი-
ლი და ძაღლის ყეფა... ჩემი მხერა ყვავილებზე, უფრორე
მიხაკებზე ეცემა... ხასხასა სიწითლეზე უმაღლესი მიხ-
ვედება... ამგვარი წითელი არასდროს მინახავს... იქნებ

მინახავს, მაგრამ არ შემიმჩნევია... საოცარია! წრიულად წყობილი ნიკებთან წითელი ფურცლები იმდენად მიტაცებენ, რომ მათი ცქერისას მხოლოდ მზერით ვარსებობ... სიწითლეს სადღაც მივყავარ... უბრალო მიხაკის სიწითლეს... ამასთან, ვგრძნობ, რაოდენ ამაყი და მედიდურია ეს სიწითლე?! თითქოს თავის ფასიც იცის და ეს კიდევ უფრო ამკვეთრებს მას...

მწვანეც მზიბლავს... ვიწრო ფოთლები, ღერო — ეს სიმწვანე მშვიდი და მოკრძალებულია... არსად მიჰყავხარ — იგი ილტვის შენსკენ... მწვანე და წითელი... უცნაურია — რამდენადაც ერთ მთლიანს ჰქმნიან, იმდენად შორს არიან ერთმანეთსაგან... არ კი მეგონა, ყვავილის ფერადღონება ესოდენ ღრმა და უძირო თუ შეიძლებოდა ყოფილიყო... მოკრძალებული მწვანე და მედიდური წითელი...

გვიან საღამოს კუბო მოაქვთ. ხვალ დაკრძალვა... ნაშუალამევს დალაქი მოდის და უჩასთან და ბიჭებთან ერთად თანდილას გაპარსვა-გასაბანად ოთახში იკეტება...

ღამით გარეთ ცივა. ყველანი გვერდით ოთახში ვართ. ბავშვებს უკვე სძინავთ. შუქი ისევ არ არის. სიტყვას ყველა ერიდება. ბედისა ჩუმი ტირილით თანდილას ტანსაცმელს კეცავს და ერთმანეთზე აწყობს. ძია ნიკო ხანდახან თუ იტყვის რამეს... ჩემი სათქმელი სიგარეტია, დროდადრო გამოვდივარ და ღამეს ვესიტყვები...

თანდილასთან რომ შევდივართ, ჩაცმულ-გაპარსული ტახტზე ასვენია. წარსულიც და აწმყოც ახლა უფრო ცხადად აღიქმება: ძვირფასი მშობლიური სახე უღმობლად გაუუცხოვებია დროსა და სიკვდილს... იერი მშვიდი აქვს... ალბათ, ასე ისვენებენ ნაწვლები სიცოცხლის შემდეგ...

ბიჭებს კუბო შემოაქვთ და იატაკზე დგამენ. ძია ნიკოს გვერდით ვჯდები. ქალებს თანდილას ტანსაცმელი და ნივთები გამოაქვთ. ბედისა ტირილით იწყებს მათ კუბოში ჩაფენა-ჩალაგებას...

მამლები იწყებენ ყვირლს, როცა ძია ნიკოს დაჟინებით დასაძინებლად მივდივარ.

კარამდე მთვარე მაცილებს... სახლს სძინავს... ბუხარსაც ცეცხლი ესიზმრება, ალბათ... მხოლოდ ოთახის პატრონი — ძველი წაბლის ხის სუნია ფხიზლად... ვიდრე დავიძინებ, თამბაქოს კვამლს ვუსახლებ...

ამ დილითაც გვიან მიშვებს სასიზმრეთი. სადღაც მიხაკებში ვიყავი... ვიღვიძებ. გარეთ სილუეტს ვლანდავ, კართან ვივადც წრიალებს.

— შემოდი! — გაგყვირი და ჩაცმას ვიწყებ.

ოთახში ბაქარი შემოდის. მზერა დარცხვენილი აქვს. ტანთ ახალი სამოსი აცვია.

— ძია ნიკომ, ბიძიას უთხარი, მალე მღვდელს მოიყვანენ და გადმოდიო... — ამბობს ნასწავლივით. მზერა ხან ჩემზე გადმოაქვს, ხან კედელზე დაკიდებულ თოფზე. — ძია ბერა, სანადიროდ წავალთ, ხომ?! — ამოთქვამს მერე.

— აუცილებლად! — ვპირდები მეორედ.

მღვდელი ახალგაზრდა კაცია, რუდუნებით ასრულებს რიტუალს. მთელი ეს დრო თანდილას დაეცქერი. მახსენდება, ბავშვობაში, ბებია რომ მოკვდა, ჩვენც ასე ვიდექით კუბოსთან და ყველაფერს ხარბად ვუყურებდით. მღვდელი ჭადარა მოხუცი იყო... მიცვალებულის წესის აგების შემდეგ ორივე ძმები მოგვნათლა... თანდილას სახეს ახლაც მინახავს მქსიერება...

შუადღდება. ოთახში უკვე ცხელა... უცხო, უცნობი

ხელები სამძიმარს მეუბნებიან და სიცარიელეს მიტოვებენ. კართან მიხაკი იმატებს. მეც ხარბად ვვლავ მზერას სიწითლესა და სიმწვანეში... აღტაცება იმდენად დიდია, რომ სურვილიც მიჩნდება შეხების...

გზა სასაფლაოსკენ გრძელი და დამქანცველია. პროცესიას სატვირთო მიუძღვის. ძარაზე ბიჭი თითო-ორივით ყვავილს იღებს და გზაზე ისვრის. წინ ნელი ნაბიჯით მივიწვევთ, რადგან თანდილა ხელით მიჰყავთ... უკვე აუტანლად ცხელა... მზე თითქოს დაბლა დაეშვა და ჩვენ გვაკვირდება... გარშემო ნაბიჯების ხმა ისმის. შორეულ ჭიკჭიკსაც გაიგონებს კაცი, თუ მიაყურადებს. დროდადრო ბედისა ტირის-ხოლომე მოთქმით...

გზაზე ყვავილები ყრია. მიხაკს ფებს ვარიდებ. სიწითლე წამიერად ედება მზერას — უკან ხალხი მოდის და ნაწრთობი ფერადღონება მსწრაფლ სოფლის შარაგზის მტვერში ინთქმება... ნაბიჯთა ტვერში ითელება.

თანდილას შუბლზე კონიით ვემშვიდობები. თურმე შეიძლება საკუთარ სიკვდილსაც ეამბორო...

ქელქი მოპირდაპირე ეზოშია. ბაქარი გვერდიდან არ მცილებდა... ისევ ხელები... ათას მადლობას ვარიგებ თანაგრძნობისა და ყურადღებისთვის...

შებინდებულა, როცა ქალები მაგიდების ალაგებას იწყებენ... ეზოში მთვრალი კაცები დაბორივლებენ...

ღამდება. დაღლილობას ვგრძნობ. ყველაზე გვიან ძია ნიკო და უჩა მიდიან. დაღლილობა ორივეს სახეზე აწერია...

მარტო ვრჩებით. ბედისა ოთახს ალაგებს. ხანდახან ცრემლი და ტირილი წამოერევა. ბავშვებს კარგა ხანია სძინავთ...

მშობლიური სახლი წაბლის ხის სუნით ფხიზლობს...

ღამფას არც ვანთებ, ისე ვწვები — კაკაჩი ღამე ფანჯრიდან შემოდის. საწოლში ჩასაფრებულ ძილს უმაღ თან მივყავარ...

დილით რომ ვიღვიძებ, დღეს ისევ მზე აცვია. ზანტად ვდგები, აუჩქარებლად... მოკიდებული სიგარეტით გარეთ გამოვდივარ.

კართან ბაქარი ზის, ისევ ტალახიანი შარვალი და ლურჯი ბაკები აცვია. დაჟინებული მზერა კაკლის ხეზე გაურბის.

— ნახე, ძია ბერა, კატა!... — მაჩვენებს თითით. — გუშინ კიდევ ერთი წიწილა წაიყვანა!...

კაკლის ხეზე ტოტების გასაყართან ჟღალი კატა ზის და თათს ილოკავს.

— მოიცადე! — ვუბნები ბაქარს, თან ოთახში ვბრუნდები. კარადიდან ვახნებს ვიღებ და კედლიდან თოფს ვხსნი...

კატა ისევ თათს ილოკავს. სხეულზე მზის სხივი ეცემა და ბეწვი უფრო კამკამა უჩანს. ნელა ვემზადები — დიდი ხანია ტყვია არ გამიგზავნიან... ბაქარი თვალს არ მაცილებს...

კონდახს მკერდზე ვიკრავ და კატას კორაზე ვსვამ... ყველაფერს თითი წყვეტს: ხმა... ბიძგი მკერდში... კატა მოწყვეტით ვარდება და ბალახში ეშვება...

ორივე ხისკენ მივდივარ. კატა უკვე მკვდარია. ბაქარი ზურგში ხელს ავლებს და მაღლა სწევს. ტყვია კისერში სცემია.

— დედას ვანახებ?!... — კითხვა და თხოვნა ერთად ეღერს მის სიტყვებში.

თავს ვუქნევ. ბაქარი, კატით ხელში, სახლისკენ ვარბის.

— დედა, ძია ბერამ კატა მოჰკლა!... — ყვირის განწირულივით. — დედა, კატა მოჰკლა!...

მე ხესთან ვრჩები. ვდგავარ და ფეხებთან სისხლის პატარა გუბებს დაეყურებ. სისხლი ახალია და ხალასი წითელი... სიმკვეთრით ყვირის, ბალახის ფერში რომ არ ჩაიკარგოს... გარშემო ხასხასა მწვანე მინდვრობს... საოცრად მწვანე... მწვანე და წითელი... წითელი თითქმის არ ჩანს... თითქოს არც უნდა შეიმჩნეს... მწვანე კი ლაღია,.... ლამისაა იყვიროს... ყველაფერმა რომ იცის, ისე...

მიხაკი მახსენდება და მედიმება, რადგან ეს უკვე სხვა სამყაროა, არეკლილი სიმაღლე — ახალი და უცხო განცდა — მედიდური მწვანე და მოკრძალებული წითელი...

ესკალატორი

ესკალატორის გაუჩინარებამდე ათიოდე საფეხურიდა იქნებოდა დარჩენილი, რომ ლეგამ მარჯვენა მუხლი ასწია და ყარყატივით ცალ ფეხზე შეამზადა ნაბიჯი... წინ ვიტრინებსმიღმა ქუჩის ესკიზი სულ უფრო მკაფიო ხდებოდა. დაბლა მეტროს შემადგენლობა ჩამოდგა — ზურგიდან სმენას მუხრუჭების გაბმული ხმა მოსწვდა... ლეგა კარისკენ გაემართა...

გასასვლელს გასცდა თუ არა, შედგა — ქუჩას ორივე მიმართულებით აუსე-ჩაუსვა მხერა და როცა ადგილის ცნობადობაში დარწმუნდა, ცივილიზაციის ხმაურს შეერიო. ტროტუარის კაცუხვმა დინებამ უმაღლეს მთანთქა და გაიყოლა თან...

შუადღებოდა. გაზაფხულის მზის სინათლე და სითბო პირველი თოვლივით დასდებოდა ყოველფეხს — ცოცხალს და უსულოს, მოძრაესა და უძრაეს... ბრწყინვალეობას კი, ავტომობილებთან ერთად, უსასრულოდ ირეკლავდნენ ლაპლაპა მინები და კრიალა ვიტრინები... ქუჩის ორივე ტროტუარი ადამიანთა ქაოსურად ჭრელ და ფეხადგმულ ფერადონებას კალაპოტობდა... ავტომობილებს უფრო მოწესრიგებული პალიტრა ჰქონდათ — შეთანხმებულად მწკრივობდნენ და ერთურთისაგან მკაცრად გამიჯნული მიმართულებით მოძრაობდნენ... ყველაზე აღმატებული მაინც ხმაური იყო — იქაც აღწევდა, არც სითბოსა და არც სინათლეს რომ არ დაედგმევიანებოდა ფეხი.

ლეგა შეყოვნებული ნაბიჯით მიჰყვებოდა ტროტუარის ჩქარ დინებას, დროდადრო ჩერდებოდა და მოსიარულეთათვის დაბრკოლებად რჩებოდა. დამნაშავე მისი მოხეტიალე მხერა იყო, მდიდრულ შენობებსა და ვიტრინებს რომ ეხიწებოდა ხარბად. სახე გაბადრული და მომდიმარი ჰქონდა, რადგან ერთობ ამაღლებულ განწყობას მოეცვა — უცნაურ და შეუცნობელ განცდას იმისა, რომ ქვეყნის მთავარი ქალაქის ყველაზე მთავარ ქუჩაზე მიაბიჯებდა და ტელევიზიის წყალობით ესოდენ ნაცნობ გარემოში იმყოფებოდა. უპირველესი მიზეზი კი მაინც მისი რამდენიმე დღის ახალშობილი ვაჟი იყო, რომელსაც ახლა, აქედან შორს, სოფლის სიჩუმეში უდრტვინველად ეძინა, ალბათ...

ლეგა დიდ მოსარკულ ვიტრინასთან შეყოვნდა. მაღალი, სუსტი აღნაგობის ახალგაზრდა კაცი მოკლე შავ ქურთუქსა და ჯინსის შარვალში ხშირი შავი ხუჭუჭა თმითა

და ნაშხური გაპარსული სახით — ასეთი წარუდგა წინ საკუთარი ორეული. ურთიერთცქერამ რამდენიმე წამს გასტანა... ლეგა ისევ ტროტუარის დინებას შეერია...

მდიდრულ მაღაზიებსა და გაწყობილ ვიტრინებს, ქუჩის გამაყრუებელი ხმაურის მსგავსად, ბოლო არ უჩანდა თითქოს...

...შენობათა რიგი უცებ შეწყდა... გზის ამ მხარეს გამვლელთა სიხალვათე იწყებოდა, რაც გამშლილ სივრცეზე განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო... ლეგა განზე გადგა და ნაბიჯი დაწრიტა. აქედან ტროტუარს გაზონი გასდევდა. მიწა ახლად დაებარათ და თანაბრად დაშორებული სახელდახელოდ დარგული ყვავილები ხელოვნურებს ჰგავდნენ, ფოთლები დაითვლებოდა ღეროებზე...

გაზონი მიღმა ფილაქანს ინაცვლებდა და ერწყმოდა ქვის კიბის თლილ საფეხურებს — უზარმაზარი სვეტებიანი შენობის არქიტექტურულ პრელუდიას... მწკრივში სიმეტრიულად განწყობილი დაცვის შავფორმიანი თანამშრომლები კირქვით მოპირკეთებული კლასიკური სტილის გრანდიოზული ნაგებობის ფონზე არაბუნებრივად აღიქმებოდნენ.

ლეგამ ირგვლივ მხერა მოატარა, ქუჩა დახვერა და ნელ-ნელა ნაბიჯი გააცოცხლა, თან ხელი შეპარავით ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო. წამიც არ დაახანა — უმაღლვე უკან მომუჭული ხელი ამოაცურა და მოკლე მოძრაობით ყვავილებისკენ გაიქნია. ის იყო დააპირა გზა განეგრძო, მაგრამ შედგა — მოშორებით მდგომმა შავფორმიანმა, რომელსაც ლეგას მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენია, ხელი თეძოზე იტაცა და ჩქარი ნაბიჯით დაიძრა...

ლეგას უკვე სახეში დამიხნებული იარაღით მიადგა: — ხელები კეფაზე დაიდეთ და მუხლებზე დადექით!... — უბრძანა ყვირილით. — მუხლებზე ჩქარა!... ხელები კეფაზე!...

ლეგა ჯერ გაფითრდა, მერე ხელები ისე გაშალა, რომ ხელისგულები გამოსჩინოდა და ორივე ნელ-ნელა კეფაზე შემოიღო, თან მუხლებზე დაეშვა.

შავფორმიანმა პირი მკერდზე რაციისკენ დაწია და გამოთავისუფლებული ხელით კავშირი ჩართო:

— ფარი ორმოცდარვა, ფარი ორმოცდარვა, კოდი ასსამოცდაექვსი, კოდი ასსამოცდაექვსი!... როგორ გესმით ჩემი?!...

„გამოვდივართ! დაგველოდეთ! გამოვდივართ!“ — უბასუხეს შავფორმიანს.

შავფორმიანმა რაცია გათიშა და ყურადღება ისევ ლეგაზე გადმოიტანა.

— გაიარეთ!... გაიარეთ!... — გახედა თან გამვლელებს, ისე, რომ დამიხნებული იარაღი ლეგას სახისთვის არ მოუშორებია. — ნუ შეყოვნდებით, გაიარეთ!... გიბრძანებთ, გაიარეთ!...

გამვლელნიც შეყოვნებულ ნაბიჯს უჩქარებდნენ, თუმცა, მოშორებით ჩერდებოდნენ და ცნობისმოყვარე და გაკვირვებულ ბრბოდ გროვდებოდნენ...

წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ კლაქსონის კვილითა და ჩართული ციმციმითი შავი ფურგონი მოვარდა. მანქანიდან მსწრაფლ გადმოცვივდნენ შავფორმიანი და ნიღბიანი სამხედროები და ლეგას მივარდნენ — ხელებზე ბორკილები დაადეს, ჯერ გაჩხრიკეს, მერე ფეხზე წამოაყენეს და მცველებივით მხარში ამოუდგნენ. ერთერთი

მოსულთგანი — უნიღბო შუა ხნის მამაკაცი, რომელიც ფორმითაც განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან, უხმოდ იდგა. ლევას პირადობის მოწმობაცა და ფულიც მას გადასცეს.

— ლევა გქვიათ?!... — იკითხა უნიღბომ და თვალები ავად მოჭკუტა. ლევამ, დაბნეულმა და შეშინებულმა, თავი დააქნია.

— აქ რაღაც ისროლა! — ლევას დამკავებელმა იარაღის ლულა გაზონისკენ გაიშვირა.

უნიღბოს ერთი მხერა საკმარისი აღმოჩნდა — ლევას უხეშად უბიძგეს და მითითებულ ადგილას მიიყვანეს.

— გვანახეთ, რა დააგდეთ! — უბრძანა უნიღბომ.

ლევა წელში მოხარეს და გაზონი დაათვალიერებინეს. ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, უცებ მიაგნო.

— აი, აგერაა! ეს არის!... — ამოიღულულულა გაფითრებულმა.

უნიღბო დაიხარა და მიწას ჩააცქერდა, თვალები მოჭკუტა და მხერა დაძაბა, მაგრამ სახეზე შეეტყო, რომ ვერაფერს ხვდებოდა.

— კონტეინერი!... — არ მობრუნებულა, ისე გასცა ბრძანება.

ნიღბიანთაგან ერთ-ერთი სახელურიანი მომცრო ყუთით უშალ მასთან გაჩნდა. უნიღბო წამოდგა და ადგილი დაუთმო.

— ჩადე და წავედით! — უბრძანა თან.

ხელთათმინიანი ხელით ნიღბიანმა მიწიდან რაღაც ცერის სიგრძე, ნაცრისფერი და დაგრეხილი ფრთხილად აიღო, ყუთში ჩადო და როცა კონტეინერი საგულდაგულად ჩაკეტა და წამოდგა, ახალი ბრძანების მოლოდინში უნიღბოს მიაპყრო მხერა.

— წავედით! — ბრძანა მან.

ამჯერად ლევას ფურგონისაკენ უბიძგეს...

მანქანაში არაუის არაფერი უკითხავს...

...ფურგონიდან გადმოყვანილს მზის შუქიც არ ანახეს, ისე შეიყვანეს შენობაში... ცარიელ ოთახში მხოლოდ მაგიდა და სკამი იდგა...

დასვეს და კარგა ხნით მარტო დატოვეს... ბორკილები არ მოუხსნიათ...

რამდენიმე წუთში კლასიკურ შარვალ-კოსტიუმში ჩამოსხმული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, ჰალსტუხი შეისწორა და მაგიდასთან სკამზე დაჯდა. ლევა მოწყალებითა და ინტერესით შესცქეროდა, როგორ დაალაგა მაგიდაზე ავტოკალამი და ფურცლები. როცა მორჩა, ლევას მიაპყრო მხერა.

— მე დეტექტივი ერმი ცალანი ვარ! — გაეცნო ლევას და პასუხს არ დალოდებია, მიაბა — თქვენს დაკითხვას მე ჩავატარებ!

„დაკითხვის“ ხსენებაზე ლევას სახეზე ფითრმა გადაუარა.

— მამ ასე, ლევა, — დაიწყო დეტექტივმა, — ცხოვრობთ სოფელში და სოფელშივე შრომობთ! ასე არ არის?!...

— ჰო!... — ამოიღულულულა ლევამ, ამკარად დაბნეულობა და შიში აღბეჭდვოდა სახეზე...

— ასე სად დაიწვით მზით?! — სანაცვლოდ დეტექტივი იყო საოცრად მშვიდი.

— სოფელში... მუშაობისას!... — შეცბა ლევა, რადგან სხვა კითხვას ელოდა.

— შეგიძლიათ ხელები მაჩვენოთ?!

ამ თხოვნამ ლევა კიდევ უფრო გააკვირვა. გამლილი ხელები მორჩილად ამოაბრუნა და დეტექტივისკენ გაიშვირა. ისიც წინ გადმოიხარა და ლევას დაკოჟრილ-დახეთქილ თითებსა და ხელისგულს თვალმოჭკუტული მხერა გადაუსვა.

— იქნებ აკვიხსნათ, რისთვის ჩამობრძანდით დედაქალაქში? — იკითხა, როცა კვლავ სკამის საზურგეს მიეყრდნო.

— საყიდლებისთვის! — ლამის ჩაიჩურჩულა ლევამ.

— რა უნდა გეყიდოთ?! — ჩაეძია დეტექტივი.

— ტელევიზორი და ტელეფონი! — ვიდრე უპასუხებდა, პაუზა დაიჭირა ლევამ.

— აჰა! — დეტექტივმა თითქოს სასურველი პასუხი მიიღო. — ფული საიდან გაქვთ?! თქვენია ის ფული?!

— ბავშვს არუქეს... კიდევ... ხბო გაუყიდეთ...

— ბავშვს?! — წარბები ასწია დეტექტივმა.

— ჰო, ახლახან შეგვეძინა! — ლევას ხმა აუკანკალდა და თვალში ცრემლი მოაწვა.

დეტექტივი, ვიდრე ახალ კითხვას დასვამდა, ლევას სახეში ჩააცქერდა:

— კარგი! დავუშვათ, ყველაფერი ასეა! ახლა ის მითხარით — რა იყო ის, დღეს რომ გაზონზე დააგდეთ?!

— ჭიპი!... — ლევამ ცრემლიანი თვალები დეტექტივის მიაპყრო და რეაქციას დაელოდა.

— ჭიპი?!... — იერი იცვალა და კითხვა გაწეულა დეტექტივმა.

— ჰო, ბავშვის ჭიპი! — ლევამ დაიქსუტუნა და თვალი მოიწმინდა. — არა,... ახლდაბადებულ ბავშვს ჭიპზე რომ უხორცდება და ძვრება, ის... საქონელსაც აქვს ასეთი, ხბოს რომ მოიგებს!...

— მერე იქ რატომ დააგდე?! — სახე დაიბრუნა დეტექტივმა.

— ცოლმა მთხოვა,... ორივემ მოვილაპარაკეთ... ბავშვი დიდი კაცი გამოვაო... — ლევამ თავი ჩახარა.

— დიდი კაცი როგორ გამოვა?!...

— სადაც დააგდებო, ჭიპს... თუ რაც ჰქვია, — ლევამ ამოიხვნეშა, — ისეთი კაცი დადგებაო!...

დეტექტივი წამით გაიტრუნა. მერე უცებ წამოდგა და კარისკენ გაემართა.

ლევა შეშფოთებული მხერა გააყოლა თან. როცა მარტო დარჩა, ხელები სახეზე აიფარა და თავი მუხლებში ჩადო...

დეტექტივი მალე დაბრუნდა. ლევა უცებ გასწორდა და ლოდინით სავსე მხერა შეაჩეხა.

— კარგი!... - თითქოს ჩაილიღინა დეტექტივმა. — მოდით, ახლა ასე შევხედოთ საკითხს, — დეტექტივი ახლებურად განწყობდა. — თქვენ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულების წინ... მოდით, ასე დაფარქვათ... — დეტექტივმა ხელები გაშალა და თავი გადააქნია, — ...ქვეყანა სწორედ მაქედან იმართება, დააგდეთ საეჭვო წარმომობისა და შედგენილობის რაღაც... — სიტყვის ძებნისას დეტექტივმა თვალები მოჭკუტა, — ...ბიოლოგიური ქსოვილი! მეთანხმებით, ალბათ, ხომ ასეა?!

მოულოდნელმა კითხვამ ლევა შეაკრთო, რადგან დეტექტივის მსჯელობას გაშტერებული უსმენდა.

— ბავშვის ჭიპი... — ლულულად დააპირა პასუხი,

მაგრამ დეტექტივმა მსწრაფლ გააწყვეტინა:

— ვიცით თქვენი ვერსია! — დეტექტივი თავდაჯერებულად იყო. — მაგას ექსპერტები არკვევენ უკვე!... იქნებ, — დეტექტივმა სახე და ტონი იცვალა, — თქვენ უცხო ქვეყნის ჯაშუში ხართ და იქ (დეტექტივმა გვერდზე გაიშვირა ხელი) ბიოლოგიური იარაღი, დავირუსებული ქსოვილი დააგდეთ, რათა აქედან დააგდება მთელს ქვეყანაში გავრცელდეს!... — დეტექტივმა ტირადა ჩაათავა, დემონსტრაციულად სკამის საზურგეს მიეყრდნო და მოპასუხის რეაქციას დაელოდა.

ლევა პირდაღებული და გაქვავებული იჯდა, სახე სულ მოჭმუჭუნოდა, თვალებში შიში და დაბნეულობა ეცილებოდა. ერთმანეთს მზერას.

— არა ვარ მე ჯაშუში!... — თითქოს შევლას ითხოვდა, ამოხეთქა სათქმელმა ლევას. — შეამოწმეთ ექიმებთან!... არაა ის ავადმყოფობის!... — ლევას უკვე აღარ შეეძლო მეტყველება, ტირილს აღარაფერი უკლდა. — ...აჩვენეთ ექიმს!... აჩვენეთ ექიმს!...

— ვაჩვენებთ! აუცილებლად ვაჩვენებთ! — ჩაუხტა სიტყვით დეტექტივი, — ...და ვნახავთ, მართლა ასეა თუ არა!

— შვილს გეფიცებით, როგორც გეუბნებით, ისეა!... — გულწრფელობისგან ლევამ დაბორკილი მომუჭული ხელები მკერდზე დაიბრაგუნა.

— ექსპერტმა რომ თქვენი დანაშაული დაადასტუროს?! — დეტექტივმა წარბები ასწია და წინ გადმოიხარა.

დაბნეულობისაგან ლევამ მხოლოდ პირის გაღებდა შესძლო.

— ჰო, რას იტყვით, მაშინ?! — ისევ ჩაეძია დეტექტივი.

— ხომ გითხარით, არა ვარ ჯაშუში!... რას მერჩით!... ბავშვის ჭიპია, ჭიპი!... ანახეთ ექიმებს!... ანახეთ და გამიშვით სახლში!... — ლევამ ხელები სახეზე აიფარა, თავი მუხლებში ჩადო და აქეთინდა.

დეტექტივი უხმოდ იჯდა, მზერა ლევაზე მიეშვა.

— დამშვიდდით! — მშვიდად უთხრა მერე. — თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რამდენი მტერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას!... თუ თქვენი ჩვენება სიმართლეა, რა გაღელვებთ!...

ლევამ თავი ასწია და ნამტირალევი, ჩაწითლებული თვალები დეტექტივს დაუმიზნა. მზერაში ჩანდა საპასუხო სიტყვას ეძებდა.

— კრიმინალს რომ თავი დაჟანებოთ, განა შეიძლება ქალაქში, მითუმეტეს დედაქალაქში და მით უფრო ისეთ ადგილას, ვისაც მოესურვება და რაც მოესურვება, ის დაყაროს და ქუჩა დაანაგვიანოს?! — დეტექტივმა წარბები ასწია. — აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება?!... დამელოდეთ, — დეტექტივი წამოდგა, — მალე დავბრუნდები!... — და ოთახიდან გავიდა.

ლევა არც განძრეულა, დარჩა ცარიელ სკამზე მზერა-მიკვანძული... კარგა ხანს იჯდა ასე... ოთახს მისი ოხერა აესებდა...

დეტექტივს შეაგვიანდა. ოთახში ფურცლებითა და ხორბა შავფორმიანი ახალგაზრდა კაცის თანხლებით დაბრუნდა.

დეტექტივი თავის ადგილზე დაჯდა, შავფორმიანი ფეხზე დარჩა.

— ამან აკვაფორიაქა დღეს?! — ირონია გაურია კითხვაში და ცალყბად ანიშნა ლევანზე.

დეტექტივმა მხოლოდ ღიმილით უპასუხა.

— რა უნდა, რას გვერჩის?! — ამჯერად ინტერესი ირონიას გაექრო. — გვაფეთქებდა თუ გვწამლადა?!!

პასუხი ისევ ღიმილი იყო, მხოლოდ — არა ლევასი, შეშინებული და დაბნეული რომ მოკუნტულიყო სკამზე.

— მაგრამ, იქ რატომ დაუგდეთ?! — შავფორმიანი დეტექტივს მიუბრუნდა.

— არ გაგივია ასეთი ხალხური ცრურწმენა — ბავშვის ჭიპს სადაც დააგდებ, იმ გარემოს, იმ ცოდნისა და იმ მოღვაწეობის კაცი გამოვაო... ცოლმა სთხოვა, როგორც ჩანს.. შავფორმიანი გაკვირვებულმა იერმა გასცა, რომ მსგავსი არაფერი გაეგონა.

— გამოთქმა მაინც არ გაგიგონია „ჭიპი აქვს მაგ საქმეში მოჭრილიო“?! — დაამატა დეტექტივმა, არ გამოპარვია რა ეს. — ამას ისეთ კაცზე ამბობენ, რაიმე საქმეში ან გარემოში უმცირესი წვრილმანიც რომ შესანიშნავად იცის!...

შავფორმიანს სახეზე ნათქვამის წვდომის მხრივ უკეთესობის იოტისოდენა წინსვლაც არ დასტვობია.

— ანუ, მაგალითისთვის, იმ ჭიპს, თუ როგორც არის, — ისევ სცადა დეტექტივმა, — თუ სტადიონზე დააგდებ, მაშინ ხალხური რწმენით, ბავშვი სპორტსმენი გაიზრდება!

— აჰა! - გონება გაუნათდა შავფორმიანს. — ესე იგი ქალაქელობა და დიდკაცობა გვინდა?!

დეტექტივმა არაფერი უპასუხა, ღიმილის მსგავსმა გრიმასამ გადაურბინა მხოლოდ სახეზე.

— მერამდენე შვილია?! — აქაოდა, საკუთარი მიხვედრილობით გახარებულმა, რიხით იკითხა შავფორმიანმა.

— პირველი!... — ისე ამოილულულა ლევამ, თითქოს შვილის გაჩენით დანაშაული ჩაედინოს.

— მერე, — შავფორმიანი ლევასკენ დაიხარა, — აღარ გვინდა სოფელი?!... მოგვებზრდა შრომა?!... შეგვაწუხა ტალახმა?!... რა სჯობს ქალაქს?!... — ამჯერად დეტექტივს მიუბრუნდა. — ასფალტი!... სისუფთავე!... კარგი ბინა!... კარგი მანქანა!... კარგი სამსახური!...

ლევა თავჩახრილი იჯდა, დეტექტივი უხმოდ უსმენდა.

— ...ყველას უნდა შვილი აუცილებლად დიდი კაცი გამოვიდეს! — შავფორმიანის ირონიამ აპოგეას მიაღწია, ისევ ლევას მიმართავდა. — მაინც, ვინ გინდა შენი შვილი გამოვიდეს: პარლამენტარი, პრემიერ-მინისტრი თუ...

შავფორმიანს სათქმელი არ დასცალდა — კარი გაიღო და ოთახში ჯიბეებში ხელეჩაწყობილი თეთრხალათიანი კაცი შემოვიდა. მოსულმა ჯერ ლევა აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე დეტექტივს მიუბრუნდა:

— მართალი ყოფილა ეს კაცი! — ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო და დეტექტივს მაგიდაზე წინ დაუდო. დეტექტივმა ქალაქს ერთი დახედა და მზერა თეთრხალათიანს შეაჩქნა. — ახალშობილის ჭიპლარი, რომელიც რამდენიმე დღის, ასე, შვიდი-ათი დღის იქნება! — თეთრხალათიანმა ხელები ისევ ჯიბეში ჩაიყო.

ლევამ ერთდროულად სამ მზერას უმასპინძლა. ამჯერად მის თვალებში იმედი ციალებდა. წამით სიჩუმე ჩამოწვა...

— ძალიანაც კარგი! — ღუმილი დეტექტივმა დაარღვია. — ასეც ველოდი! ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ, ამაზე მეტყველებდა! — დეტექტივმა მაგიდაზე ფურცლებს დაარტყა ხელი... — მაშინ რაღა დაგვრჩა?! — დეტექტივი ლევასკენ შებრუნდა, — ცოტაოდენი ფორმალობა და...

წაბრანდებით შინ!

ლევამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და მხრებში გაიმართა...

— მაგრამ, ... — დეტექტივის სიტყვამ ლევა ადგილზე გაახევა, — გაზონის დანაგვიანებისთვის ჯარიმის გადახდა მაინც მოგიწევთ!...

ლევა შვებით მოდუნდა.

— ცოტა ძვირი დაგიჯდებათ, მაგრამ რა ვქნათ?! — დეტექტივმა ოთახში მყოფთ რიგ-რიგობით ჩამოურიგა მხერა. ბოლო ლევას ხვდა.

— კარგი, გავედი მე! — თეთრხალათიანი კარისკენ შებრუნდა.

— მეც წამოვალ! — აჰყვა შეფორმიანი.

პირველი თეთრხალათიანი გავიდა...

ვიდრე კარს მოხურავდა, შეფორმიანი შეყოვნდა.

— შენც ჩაგვედო სადმე ნაკვის ურნაში და არ გეთქვა ცოლისთვის! — სათქმელი ზღურბლზე დაუგდო ლევას და პასუხს არ დალოდებია, დახურულ კარს მიღმა გაუჩინარდა...

— მოდით, ჩვენ დროს ნუღარ დაგკარგავთ და საქმეს მივხედოთ! — როცა მარტო დარჩნენ, დეტექტივი მაგიდაზე ფურცლებს მიუბრუნდა. — მე შეკითხვებს დაგისვამთ, თქვენ მიპასუხეთ! ჯერ ანკეტური მონაცემებით დავიწყეთ!...

კითხვები საფეხურებივით წამოვიდნენ...

...რაც უფრო უახლოვდებოდნენ დასასრულს, მით უფრო ხალისით პასუხობდა ლევა...

...ხელობრივები რომ მოხსნეს, სახეგაბადრულმა სიხარული ვეღარ დამალა. დეტექტივი ღიმილით უცქერდა ერთხანს...

— იმედა, ძველი ტელევიზორი მუშაობს! — გახუმრება სცადა დეტექტივმა, როცა ლევას საჯარიმო ქვითარს აწვდიდა. — დროულად გადაიხადე, თორემ რაც უფრო დააგვიანებ, მით უფრო მეტის გადახდა მოგიწევს!

ლევას ისე უბრწყინავდა სახე, თითქოს გათავისუფლების დასტურს იღებდა ჯიბეში...

— ესენი არ დაგრჩეს! — დეტექტივმა ფული და დაკეცილი ფურცელი ლევას მიუჩოჩა...

...ერთმანეთს ისე დაემშვიდობნენ, დეტექტივი სკამიდან არ ამდგარა, თუმცა, ლევას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია... კარამდე ფორმიანი, ალბათ, ლევაზე უმცროსი ბიჭი გამოჰყვა...

...გარეთ რომ გამოვიდა, ქალაქი მზეს აცილებდა...

...ქუჩის პირას დადგა, დაკეცილი ფურცელი გაშალა და ჭიპლარს დახედა.

— რომც მემუდაროთ, მაინც არ დაგიტოვებთ! — ჩაილაპარაკა თავისთვის, როცა უკვე დაკეცილ ფურცელს ჯიბეში იცურებდა. ფულიც საგულდაგულოდ შეინახა და გარშემო მხერა მოატარა. გაზაფხულის თბილ და მზიან ამინდში გამოწვეპილ დილანდელ ქალაქს მზე სადღაც ჩაეტნია და ახლა მხოლოდ დაისი ამოჩროდა შორს შენობებს მიღმა ჰორიზონტზე. ქუჩა ბინდისთვის ნაცრისფერს იმზადებდა. ირგვლივ ყოველივე კვლავ ხმაურს მოეხეზა...

ლევამ ქუჩას გრიმასით მოსწვივია მხერა და ტროტუარს მტკიცე ნაბიჯით დაადგა. სახეჩაზრდილი თავაუღებლად მიაბიჯებდა, თითქოს საკუთარი მხერა უნათებდა გზას. მისი ახლანდელი განწყობა ისე განსხვავდებოდა დილან-

დელისაგან, როგორც ჩვილი ბავშვის პაწია უმწეო ხელი მტაცებლის კლანჭისაგან.

ვაგზალზე ისე მივიდა, ფიქრის გალაქტიკა ეხვია თავს. მისი სოფლისკენ ავტობუსები უკვე აღარ გადიოდნენ. ისევ მანქანის ძებნა დაიწყო, რომელიმეს რომ დამგზავრებოდა. ვერ იპოვნა! უნდა ჯიბეს ესაშველა ისევ... გაჭირვებით დაითანხმა ერთი ძველი ჯაბახანის პატრონი...

გზა მდუმარებაში განვლეს. მძღოლს — ახალგაზრდა კაცს — რადიოლა ჰქონდა ჩართული და მგზავრობის მთელი დრო მუსიკისა და რეკლამების ნაზავით ტკებოდა.

მანქანამ შეთანხმებულ ადგილამდე მიიყვანა — აქ ასფალტი მთავრდებოდა და ქვადორღიანი ერა იწყებოდა. უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო. არათუ გრილოდა, ციოდა, კიდეც.

ფულს რომ იხდიდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის შეძენილ ნივთს ჩუქნიდა მძღოლს.

ავტომობილი ქვებზე ღრჭიალით მობრუნდა, ასფალტი იპოვა, წყვილი ანთებული ფარი მახვილივით შეძარდა და გულმოცემული ღმუხლით ეკვეთა ღამეს. ლევა კი კაშკაშა მთვარეს, ძაღლების ყეფასა და ფერდობზე შეფენილი სახლების ფანჯრებში მოციმციმე შუქებს შეატოვა...

ლევამ ქურთუკი შეიკრა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ხეინჯკაზე ნაბიჯის ზრიალით შეუყვია აღმართს. მთვარის შუქით გამობმული ჩრდილი ერთგული ძაღლივით აედევნა მდუმარედ ფეხდაფეხ...

...ჩაფიქრებული ანგარიშშიუცემლად მისდევდა აღმართს ვინ მოთვლის რამდენჯერ გათელილ გზაზე...

...მაღე ქურთუკი შეიხსნა...

...ხელებიც ამოიღო ჯიბეებიდან, გამალებით იქნევდა წინ და უკან...

...რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი, მით უფრო ჩქარი და ზრდადი ხდებოდა ნაბიჯი...

...სანუკვარ აღმართს, მშობლიურ სოფელს რომ ამორებდა, განსაკუთრებული შემართებით შეუტია...

ქიმზე რომ მოექცა, შედგა. შედგა და... შვება დაავიწყდა — დავაკებულ მინდორში აყვავილებული, თეთრად ტოტებდაპნტილი ხეხილის ბაღი ათევედა ღამეს. კაშკაშა მთვარის შუქი ყვავილთა სითეთრეს, სინაზესა და სიმკვეთრესთან ერთად, მოცისფრო ციალსაც მატებდა ფაქიზს... თითქოს ათასი ფრთამნათი პეპელა გარინდულიყო ასაფრენად... ნიავიც არ იძეროდა და ხეები მიმებვიით იღგენ — მშვიდად და უმოქმედოდ. მათი დაგრებილი ჩრდილები ქირომანტიული ბილიკებივით დაქსაქსულიყვნენ შუქწასმულ ხავსისფერ მინდორზე. ტოტებსაც მთავარი როლი ჰქონდათ — აყვავილებული გაზაფხული ეპყრათ სათუთად... წვეროებისკენ სიფრიფანა ყვავილები მთვარის შუქზე ციდა ანთებული ფარნებივით ილანდებოდნენ... მთვარე კი — მნათობთა უდაბნოს ეული ბედუინი, ისე მიზოზინებდა ტაატით მშვიდად და შეუმჩნევლად, თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ამ ყველაფერთან...

...ლევა კარგა ხანს იდგა გაოგნებული კაკაჩი ღამის პეიზაჟზე მხერამილურსმული... რომ გამოერკვა, ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო, ... გაშალა, ... ჭიპლარი ხელში მოიმარჯვა და როგორც შექძლო, ბაღისკენ ისროლა.

— აქ მაინც არაა შენი ბოსტანი, ფარი ორმოცდარვა! — ჩაიბუტბუტა ნიშნისმოგებით და მთვარეზე ხელჩაკიდებულმა შინისკენ მიმავალ გზაზე აახმაურა ნაბიჯი...

სიტყვა-მწირობა

(მინი-ტეტრალიგია)

ქართველი

— თქვენთვის საინტერესო ამბავი მაქვს! — დიმილით მახარა პროფესორმა, როგორც კი აეროპორტიდან გამოსულეები მანქანაში ჩავსხედით, — მხოლოდ ჯერ სული მოვიტევა!...

პროფესორ ზუნ ბუტსმინგერს ჩვეულებისამებრ მაისში ვხვდები — როცა რამდენიმე დღით საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე გვსტუმრობს-ხოლომე. უკვე ოთხი წელია არც ერთი მათგანი არ გამოუტოვებია და ჩვენი თანამშრომლობაც მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა...

— მეგობარი მყავს ერთი — გვარად დელფოგი, სკოლაში ერთად ვსწავლობდით... — ქვის ოთხკუთხა ლოდზე ჩამოჯდა და შესავლის გარეშე წამოიწყო ბუტსმინგერმა. დღის ბოლოს, ოფიციალური გახსნისა და შეხვედრების შემდეგ, გელათში ამოვედით. მზეს მოთენთილი ფერი ჰქონდა და საღამო პორიზონტზე იცდიდა... — კარგა ხანი არ მენახა და სადგურში შევხდი შემთხვევით. ერთმანეთი მოვიკითხეთ და როცა ვუთხარი ქართველოლოგი ვარ-მეთქი, ძალიან გაიხარა. სიხარულის მიზეზი არ აუხსნია, მაგრამ დაპირდა უნივერსიტეტში გეწვევი და აუცილებლად გნახავო, თან რაღაც უნდა მოვიტანო... მოვიდა ერთ დღესაც და მეუბნება:

— აგერ უკვე ორი წელია ჩემთან, ფერმაში, ახალგაზრდა კაცი მუშაობს, კავკასიელი, ქართველი — პატიოსანი, შესაშური მოხერხების, გამრჯე და გარეგნულადაც მშვენიერი კაცი!...

— ენის პრობლემა გაქვთ?! — ვკითხე.

— არა, არა! ენა თვითონ იცის! მე სხვა რამ მაინტერესებს... ახლავე ყველაფერს აგიხსნის!... — მიპასუხა. — კარგი კაცია, ყველაფერს კეთილსინდისიერად ასრულებს, თუ საქმემ მოითხოვა, თავს ზედმეტადაც იტვირთავს! ახლა, როცა გავიცანი, ყოველმხრივ ვენდობი და იოტისოდენა შიშით არა მაქვს მისი მხრიდან სიცრუისა და ვერაგობის! მხოლოდ ეგაა — ემოციური კაცია და ეს მის მოქმედებებში ხშირად თვალშისაცემია, განსაკუთრებით კი ერთი ჩვევა — მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სიტყვაძუნწი და გულჩახრთობილი ადამიანია, ერთ გართიმულ ფრაზას იმეორებს ხშირად. დაუშვით რაღაც ვერ გამოვიდა ან ვერ მოასწრო, ან შენიშვნა მივეცი, ან თუნდაც უგუნებოდ იყოს, ამ ფრაზას ჩართმავს, ამასთან, არ დაეძებს, უსმენს თუ არა ვინმე! საკვირველი ისაა, რომ საქმის კარგად დაავიგინებისას ან უბრალოდ შესანიშნავ გუნებაზეც იგვიყვას იმეორებს და ამას ყოველთვის ერთნაირი გრძნობით ამბობს... რაღაც თხოვნისა და იმედის ნაზავი მეჩვენება! ვკითხე ერთხელ და პასუხად შეჭმუხნული სახით თავი გააქნია, თითქოს მიმანიშნა, შენ ვერ გაიგებ და არც არის საჭირო იცოდეთ. პირველი სიტყვა იოლად დავიმახსოვრე და სხვათაშორის ვკითხე მოგვიანებით, რას ნიშნავს-მეთქი. დედასო! არ ვიცი, იქნებ მაგინებს?!... სამი კვირა მუდამ დიტოლოგიურად ტელეფონით ვწვრთავდი მის გვერდით და როგორც იქნა ჩავიწერე. ახლა თან მაქვს და

მინდა მითარგმნო... ძალიან დამწყდება გული, რაიმე აუცი რომ აღმოჩნდეს!...

ბუტსმინგერმა ჯიბეში ხელი ჩაიყო. არაფერი მიკითხავს, მობილური ტელეფონი რომ ამოიღო, მივხვდი, თხრობის გაგრძელება იქნებოდა...

— ჩანაწერი ჩემს ტელეფონში გადმოვიტანე! — ბუტსმინგერმა თვალეები მოჭკუტა და ფაილის ძებნა დაიწყო... — აი, მივაგენი, აბა მოუსმინე!...

ტელეფონის დინამიკში ჯერ ფხიკინი გაისმა, მერე კი შორი ხმა:

„...დელაშვილობას ამას გთხოვ — შენს მიწას მიმბარეო, ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო — ჩემო სამშობლო მხარეო!...“

ბუტსმინგერმა ტელეფონი გამორთო და ჩემს რეაქციას დაელოდა...

რა უნდა მეთქვა?!... ჩამავალ მზეს გავეყურებდი... ცრემლი არ დამიმალავს,... ან კი რა აზრი ჰქონდა?!... რა იყო ამაში საძრახისი?!...

მღუპარება

კარის ხმა რომ გავიგონე და ზალიკო დავინახე, გამიხარდა — ვიცოდი, ხელცარიელი არ მოვიდოდა.

— კარს რატომ არ კეტავ?! — მისაყვედურა შემოსვლისთანავე.

— რა მნიშვნელობა აქვს, თუ უგულომ ამ ქალაქში მიპოვნა და კარამდე მოაღწია, ვინაა მაგის შემჩნეველი?! — აუღლე კითხვა.

ზალიკომ ვერაფერი მიპასუხა, ჰოლის კუთხეში მდგარ დემოსთენეს ბიუსტზე შეაჩერა მზერა და თემა შეცვალა:

— რომ შემოვდივარ, ეს ... რა ჰქვია ამას?!...

— დემოსთენე!... — შევაშველე.

— ჰო, რაცაა, ნაღდი ტიპი მგონია!

გამეღიმა.

— წამო, წამო, მიაბე, რა ხდება ჩვენში?! — შევუძები სასტუმრო ოთახში.

— უგულო ისევ მისი ფულის ქურდებს ეძებს, — ზალიკო საუარძელში მოკალათდა, თან ხელში მანქანის გასაღებს ათამაშებდა, რომელზეც ჩემი ჩამოტანილი ეიფელის კოშკი ეკიდა. — ისევ გამწარებულია!... კიდევ არ განელებია ბრაზი!...

— წარმოდგენილი მაქვს, რას მიზამს, რომ გაიგოს და მიპოვოს?!... — ვთქვი და ჩემივე სიტყვებისაგან ტანში გამცრა.

— გამორიცხულია! — თავი გააქნია ზალიკომ, — მით უმეტეს, ვერ მოგაგნებს!...

— შენ ის მითხარი, მომიტანე რამე?! — ამჯერად მე შეეცვალე საუბრის თემა, რადგან ვჩქარობდი — ვიცოდი ზალიკო დიდხანს ვერ დარჩებოდა.

ზალიკომ ჯიბეში ხელი ჩაიყო და მაგიდაზე ჯერ წამალი, მერე კი შპრიცი დააგდო.

წამოვდექი და სამზარეულოში რომ გავდიოდი, კარიც გაიღო — დემურა იყო, მეზობლის ავადმყოფი ბიჭი, სართულით ქვევით ცხოვრობდა, გულმოდგინება და უშინაარ-

სო ღიმილი სჩვეოდა სახეზე. ამ ჩაკეტილ გარემოში ის იყო მხოლოდ ჩემი საზოგადოება. ხშირად ჭადრაკის თამაშისას მოწინააღმდეგედ დავისვამდი და ვკარნახობდი, რა უნდა ეთამაშა... ხანაც უბრალოდ ვისხედით და მუსიკას ვუსმენდით მისი განუყრელი ღიმილის თანხლებით...

— ოჰ, დემურა მოვიდა!... — შესძახა ზალიკომ. — შე- მოდი!

დემურა უკვე იღიმოდა, მოკრუნჩხული ხელი პირთან მიიღო და ნელი ნაბიჯით სასტუმრო ოთახისკენ დაიძრა...

ვიდრე ნირვანას ვიმზადებდი და სხეულში შევისახლებ- დი, ზალიკო დემურას ემუსაიფებოდა.

სასტუმრო ოთახში სხვა ადამიანი დავბრუნდი — ახლა მხოლოდ ჩემი სავარძელი მესიქადულეობდა — მივედი და ჩავეფინე შიგ...

დემურა იქვე წამომადგა თავს.

— ვითამაშოთ?!... — ისე გაიღიმა, თითქოს კბილებით იხედებოდა.

იმგვარად ვიყავი, უარის თქმაც მეძნელებოდა... დემურა კი ძელოდა და ღიმილს არ მამორებდა...

— დაანებე თავი, — წამომეშველა ზალიკო, — მაგი ახლა თავის სტიქიაშია!...

— სტიქიაში?!... — ღიმილი არსად წასულა დემურას სახიდან.

— ჰო, სტიქიაში!... ახლა წადი და მერე მოდი!... — თხოვნა გაურია ხმაში ზალიკომ.

— წავიდე?!... — ისევ ღიმილი აახლა დემურამ კითხვას.

— ჰო, წადი, წადი!... და მერე მოდი!...

ზალიკოს სიტყვებზე დემურა ჰოლისკენ შებრუნდა და ასე ღიმილიანი დაიძრა კარისკენ. მე ისევ სავარძელში ვეფინე... მზერის თავი მქონდა მხოლოდღა...

ზალიკომ უმაღლესად საზნარეულოს მიაშურა...

...სამი ოთხი საათის წასული იქნებოდა ზალიკო, კარი რომ გაიღო და ჰოლში ზორბა კაცი შემოვიდა. ფეხდაფეხ ჩემთვის ყველაზე არასასურველი სტუმარიც შემოჰყვა. უგულო აქ იყო!

იმ წამსვე სავარძლიდან წამოფრინდი და ჰოლში გაეჩნ- დი. უგულო დემოსთენეს ბიუსტს მიჩერებოდა.

— მოგაგენი სოროში?! — მერე მე შემომხედა და კბილე- ბი დაკრიჭა.

— მე არაფერ შუაში ვარ!... — ვცადე თავის მართლებას, მაგრამ უგულომ ხელით მანიშნა, გაეჩერებულებიყავი.

— არ მინდა, ლაყობა ჩემი საქმე არაა!... — მითხრა გრიმასით, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ფეხებთან და- მიგდო. ზალიკოს ეიფელიანი გასაღები იყო.

გასაღებს მზერა შევავლე და როცა უგულოს გავუსწორე მზერა, ზიზღისგან დაჭმუჭნულ სახეს წავაწყდი. მინდოდა მეთქვა რაღაც, მაგრამ ზორბამ ისეთი ჩამარტყა მუცელ- ში, რომ ყველა ორგანო მტკივნეულად ვიგრძენი. მეორე დარტყმა კეფაში იყო — ნიფთით დამაგლო იატაკზე. ახლა ზორბა ფეხებით ცემაზე გადავიდა — მცემდა ყველგან, გარდა სახისა...

...რომ გაჩერდა, სხეულს ვეღარ ვგრძნობდი...

— შეგიძლია ის ფული თან გაიყოლო, თუ საფლავეში ჩაგაყოლებს!... — წაისისინა უგულომ.

გაჭირვებით ამოვიხედე.

— დააფშენი!... — უგულო ბიუსტზე უთითებდა ზორ- ბას. — ხერხემალებე!...

ზორბამ ნაბიჯი გადაგდა, ბიუსტს თავსა და ბოლოში ხელები ჩაავლო და ზრიალით აიტაცა ჰაერში...

თვალეები დაეხუჭე და თავი იატაკზე დავდე...

დარტყმა ყველგან ვიგრძენი... თან გავითიშე...

...გონს რომ მოვეგე, უგულო და ზორბა წასულნი იყვნენ.

რა თქმა უნდა, ისევ იატაკზე ვედე — მხოლოდ ზროტინი და ქუთუთოების მოძრაობა შემეძლო, სუნთქვაც (ერქვა კი?!...) უძძიმეს ტკივილს მაყენებდა, სხეული უკვე აღარ გამაჩნდა — მხოლოდ ტკივილი იყო ყველაფერი!...

...ანაზღად ფესაცმელები დავინახე — ჩემსკენ წამოვიდ- ნენ... ნელ-ნელა მომიახლოვდნენ და ახლოს გაჩერდნენ...

თავს ვერ ვწვევდი, ვზროტინებდი და სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი... კიდურები თითქოს სადღაც ეყარნენ უჩემოდ... ტკივილი ადამიანივით მაწვა ზემოდან და განძ- რევის საშუალებას არ მაძლევდა...

უცებ ზედ სახესთან დემურას სახე დამეხატა — გაღიმი- ბული და გაბადრული... ერთადერთი შეველა ახლა ჩემს თავთან დახრილიყო...

— სტიქიაში ხარ?!... — წარბები ასწია და თვალეები დაახამხამა.

სიტყვაც ვერ დავძარი, ჰაერს გაჭირვებით ვსუნთქავ- დი... ეს იმბეცილი კი ვერ ხვდებოდა, რომ ვკვდებოდი და შეველა მჭირდებოდა...

წამებმაც მე მიმტრეს...

— კარგი, წავალ!... — დემურას გამომეტყველება არ შეცვლია, ღიმილი იყო მის სახეზე მთავარი და ერთა- დერთი პერსონაჟი. — მერე მოვალ!... — დამპირდა და თვალთახედვიდან გაქრა...

ვერაფერს ვახერხებდი, ერთი „მიშველევ“ ვერ ამ- ოუთქვი...

...ფეხსაცმელები შებრუნდნენ და ისევე გაუჩინარდნენ, როგორც მომეგლინენ.

მშველელი არავინ იყო... ამიტომ, მარადისობამდე გაუსაძლისი ტკივილით გასაღვეი ალბათ ერთი საათიდა მრჩებოდა...

სათაური

ქართული ენისა და ლიტერატურის მამაკაცი მასწავ- ლებელი იშვიათობაა! ჩვენ გვყავდა — „რობერტი მასს“ ვეძახდით. პატარა ტანის, სუსტი და ბეჩავი ადამიანი იყო. მუდამ გახუნებული შარვალ-კოსტიუმითა და განუყრელი პატარა ტყავის ჩანთით მახსოვს. ლიტერატურა სულის ხუთგამდე უყვარდა, განსაკუთრებით — პოეზია. თუ ლექსი გვქონდა გაკვეთილად ან უნდა აეხსნა, სახეგაბადრული და მზერაგაფრენილი გვესაუბრებოდა. ხანდახან ლექსების კითხვას დაიწყებდა და გაჩერება ავიწყდებოდა. ბავშვებსაც ებ გვინდოდა — გაკვეთილი ჩვენი მონაწილეობის გარეშე სრულდებოდა...

უოჯახო კაცი იყო, მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ცოლს ჰყავდა მიტოვებული. იქნებ ეს იყო მიზეზი მისი მარადი- ული უხასიათობის... შემოვიდოდა გაკვეთილზე, პატარა ტყავის ჩანთიდან აუცილებლად საყვარელ ყავისფერ სქელ- ყდიან ბლოკნოტს ამოიღებდა და მაგიდაზე დაიდებდა. როგორც კი დრო მიეცემოდა, ან წერდა რაიმეს შიგ ან კითხულობდა. არ მახსოვს, იქიდან ჩვენთვის რაღაც მაინც

წაკითხოს, თუმცა, ათასი რამ მოჰქონდა და გვიკითხავდა....

ერთხელ, საკონტროლო წერისას, ჩვეულებისამებრ თავის ბლოკნოტში, ჩვენ კი ჩვენს რვეულებში ვიყავით ჩამპვრალნი, დერეფანში დიდი ხმაური რომ გაისმა (წარჩინებულთა დაფა ჩამოვარდნილიყო). რობერტი მასწავლებელი შეშინებული წამოხტა და უმაღ კარში გავარდა. ზედ მასწავლებლის მაგიდასთან წინა მერხზე ჭორიკანა და ავარა თანაკლასელი გოგონა იჯდა. როგორც კი მასწავლებელი გარეთ დაიგულა, სწვდა ბლოკნოტს და კლასის გასაგონად ხმამაღლა ლექსის კითხვა დაიწყო...

„...ლოდინი გულის სასჯელი არის,
მით უფრო, თუ კი არავინ მოვა...
დამტოვე, როგორც სისხლმა სხეული
და მძიმების შენზე ფიქრების ხროვა...“

სულ სტროფისა და სტრიქონის წაკითხვა მოასწრო — კართან ნაბიჯების ხმა გაისმა და ბლოკნოტიც მაგიდაზე დაბრუნდა...

მერე მოჰპარეთ ის ბლოკნოტი. ყველა ლექსი ცოლყოფილისთვის ჰქონდა მიძღვნილი, სულ იმაზე წერდა, თუ როგორ უყვარდა და როგორ ელოდა მარტო და ეული... საკონტროლო წერაზე წაკითხულთან ერთად სხვა ლექსებიც გადმოვიწერეთ ერთეულებმა... იმხანად ძალიან საინტერესო გვეჩვენა...

კიდევ, მაშინ პირველად ვნახეთ თვალცრემლიანი მასწავლებელი... გვრძნობდით, იცოდა, ჩვენ რომ გვქონდა მისი ბლოკნოტი. არც დაგვმუქრებია და არც საჩივრულად წასულა სადმე... ბლოკნოტი რომ დაუბრუნეთ, მხოლოდ ის იკითხა, თქვენ რა მოგემატათ ამ საქციელითო... და საკლასო ოთახიდან გავიდა...

შემდეგ გაკვეთილზე ერთსიტყვიანი თემის დაწერა გვთხოვა. ჯერ სიტყვაზე გვესაუბრა — სიტყვა ის ხახუნის ძალაა, რომლის გარეშეც თქვენი აზროვნება ნაბიჯსაც ვერ გადადგამდაო. მერე გვთხოვა დაგვეწერა თემა — ერთსიტყვიანი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ყველაზე ზუსტად და სრულად ასახავდა, მხოლოდ ერთი სიტყვა! თქვენო, არ იცით, როგორი ძნელია საკუთარ თავში სიტყვა მოძებნოთ და განსაზღვროთო. იქნებ, როცა მოძებნით, მიხვდეთ მის ფასს, მისი ქურდობისა და გამოშხეურების მნიშვნელობასა და ვერაგობასო. ჩვენ რა გვენადვლებოდა — ერთსიტყვიანი თემაზე იოლ დავალებას ვერც ვინატრებდით, ვინ რა დაწერა, ვინ — რა?!... ფურცლები რომ ჩამოკრიბა, ვკითხე, თქვენ ცხოვრებას რომელი სიტყვა ასახავდა-მეთქი. ჯერ მოულოდნელობისგან გაჩერდა, მერე „თქვენ ჯერ ვერ გაიგებთო“, ჩაილაპარაკა... იმ დღეს მისი ნათქვამი ყველაზე კარგად ფიზიკის მასწავლებელმა „გაიგო“ — როცა სიტყვისა და ხახუნის ძალაზე ვუთხარი, რომ გეუბნებოდით, ფიზიკა ყველგან და ყველაფერშიაო, მოგვიგო ნიშნისმოგებით...

ის რომ დღეს ცნობილი კრიტიკოსი ვარ და ჩემს სიტყვას წონა და ფასი აქვს, რობერტი მასწავლებელსაც უნდა ვუმაღლოდე. მიფიქრია კიდევ ბევრჯერ — როცა მშობლიურ ქალაქში მოვხვდები, ვნახავ და მაღლობას ვეჭყვი-მეთქი, მაგრამ მოუცლელობა და უდროობა ჩემზე

მონდომებულები იყვნენ. ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, ვიდრე წერილი არ მივიღე მშობლიური ქალაქიდან... მომაკვდავ მასწავლებელს მეზობლისთვის ეთხოვა მისი გამოგზავნა. წერილი რომ წავიკითხე და მასწავლებელი მოვიძიე, ორი დღის გარდაცვლილი იყო უკვე. მაღლიერება დაკრძალვაზე წასვლით გამოგზავტე... არც ერთი თანაკლასელი არ მინახავს იქ...

წერილში კი ერთადერთი სიტყვა ეწერა, ალბათ ის პასუხი, შორეულ ყმაწვილობაში დაუპატიჟებელი სტუმარი რომ იყო ჩემი ცნობიერებისათვის — „მხოლოდინი“...

წვიმა

ვის არ გვისაუბრია წვიმაზე?!... როგორ არ აგვიწერია იგი?!... როგორი სიტყვებით?!... როგორი ფრაზებით?!... ადამიანებს მეტწილად უყვართ ამინდზე საუბარი... სოფლად კი აუცილებელი და გარდაუვალიც კი არის!... მოსავალი ხომ ამინდის მგზავრია?!... სოფლის ავტობუსის მძღოლად მუშაობის წლებმა ამაში კარგა ხანია დამარწმუნა...

ამინდზე საუბრები, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ჰგვანან — ერთი და იგივე, თითქმის სტანდარტული შედარებები და ეპითეტები... როცა ისმენ, თითქოს წინასწარ იცი ფრაზას რომელი სიტყვა გააგრძელებს და შეაესებს... ამაში განსაცვიფრებელი არაფერია!... თუმცა, ერთხელ, ერთმა გლეხმა წვიმის ნაირგვარობა ერთ წინადადებაში ისე ჩაატია, დღესაც მაკვირვებს მისი სითამამე! ეს იყო ადამიანის სიტყვასთან თავისუფალი და თავდაჯერებული იმპროვიზაცია... იქნებ ამიტომაც ჩამრჩა სამუდამოდ სიტყვასიტყვით მესსიერებაში...

...ავტობუსი სადგურში დავაყენე და საყიდლებზე გამოვეშურე — როცა წლები ერთსა და იმავე სოფელში დადიხარ, აღარავის ეუბნები უარს თხოვნაზე ქალაქში რაიმე შეუძინო და წაუღო...

ჯაჭვის ხიდს რომ მივადექი, ტროტუარზე ორი კაცი შევამჩნიე, ერთს ჩაცმულობაზე ეტყობოდა ქალაქელობა, მეორე კი გლეხი იყო სოფლიდან — ქსოვილით თავმოკოჭილი გოდორი ედგა ფეხებთან, რომელშიც სისხლისფერი პომიდორები მოჩანდა. საუბრობდნენ და ვიწრო ტროტუარზე გამვლელთათვის დაბრკოლება ხდებოდნენ, რომელთაც ავტომობილების საგალ ნაწილზე უხდებოდათ გადასვლა...

რომ მივეუახლოვდი, მათი დიალოგის ფრაგმენტი ჩემი სმენის არეალში მოხვდა:

— ჰო მოგივიდათ წვიმა, ა? — ქალაქელი ისეთი ტონით ჩაკითხა, თითქოს მისი დამსახურება იყო ამაში რაიმე.

— წვიმაა?! — წარბები ასწია, თვალები ფართოდ გაახილა და სიტყვა გაწელა გლეხმა, — ისეთი თავსხმა იყო, კაცისთვის რომ კაცს „მიწა“ დაემხნა, „ტალახს“ გაიგონებდა...

...ხიდის მეორე თავში რომ გავედი, მხოლოდ მაშინ მივხვდი — მართლა მაგარი წვიმა რომ ყოფილა თურმე!...

პოეტური დუეტი

რეკლიდან:

„ჯვრისნერა ღამით ...“ – გლოაკტიონი და მერი

1

...

მერი, უშენოდ ძალიან მიჭირს...
 მერი, ვუყურებ სამშობლოს დაცლილს...
 მერი, ქართველი გოგო თუ ბიჭი
 ივერიელი ქალი თუ კაცი,
 ყველა საკუთარ მიწიდან გარბის
 და უჯიშოთა ჯოგით ივსება
 თბილისი ... გახდა მრუში და ხარბი
 და დაიკარგა ერის ღირსება...
 მერი, დატოვე ამ წუთს პარიზი
 და ყველა მანდ მყოფ ქართველს უთხარი,
 რომ ჩამოვიდნენ!!!...მათი ქარიზმა
 მამულს გაათბობს, როგორც ბუხარი...

2

...

მერი, ვერ იცნობ დღეს ივერიას...
 საქართველოში ქართველს ვერ ნახავ...
 და ვფიქრობ : ნეტა ეს ის ერია,
 სელჩუკები რომ ერთ დღეს შელახა?...
 ტრიუმფალური თადია ჩემთვის
 ერთაწმინდაში ზარების რეკვა...
 ქართველთა ჯარი იბრუნებს ხერთვისს —
 დიდმოურავის მახვილი ცეკვავს...
 მერი...ატყვია ჩემს თვალთა გუგებს...
 მერი...შენ გნატრობ ყოველდღე გოგო...
 და მიკვირს ნეტა ვით შეგგუე,
 კოკო შანელის პარიზულ ლოგოს...

3

...

პოი, როგორ მენატრები მერი...|
 პოი, როგორ მაგონდები ახლა...
 ნეტა ჭყვიშში ერთი გვექონდეს ჭერი,
 ან პარიზში შენთან დამასახლა...
 ღამეების გადატანა მიჭირს,
 უშენობის მიმძაფრდება განცდა...
 რა ძნელია, რომ ატარო ნიჭი,
 როგორც გულში — პარზალი და ხანძთა...



ვაჟა ოთარაშვილი

4

...

სულის ჩუქურთმები ტრფობისგან ირთვება,
 სიზმარშიც ცრემლებმა დანამა საკინძე...
 დგას სვეტიცხოველი ღვთიური ფილტვებით
 და მონატრებას წნავს სვედით არსაკიძე...

5

...

მე სააკაძეს ყოველდამ ვხედავ
 და მესმის მისი წკრიალი ხმალის...
 და ავსებს ღამეს მამულის სვედა
 მოღალატეთა გამონახრაფი...
 ვერ დაანახა ძმას და მოკეთეს—
 შვილის შეწირვის ტკივილი ავი...
 და პაატასთან ერთად მოკვეთეს
 თვით საქართველოს მომავალს თავი...

6

...

მერი...ისევ მარტო ვარ,
 იქნებ გადამივიწყე...
 პოეზიის ატომის
 აფეთქდება სიფიცხე...
 მერი, აღარ გახსოვარ,
 მოგაბეზრე თავი და
 მახვევია მგლის ხროვა,
 ღამეც აღარ გავიდა...
 და ვინ ვის გაიმეტებს
 უნდა ჰკითხო მაუხერს...
 ოხრავეს 37...

სისხლით საესე აუზი...
მერი... თუკი გადავრჩი
და კალამი ატირდა...
გესტუმრება გალა შინ,
გულში შენი ხატიოა...

7

...

მე დარდი შემომეხვია,
არ მეკარება წამს რული...
რა უცნაური მეხია—
უერთმანეთო წარსული...
ვინ ხედავს გულში რა მიზის,
რა ქარიშხალი მარხია...
მერი, ეგ შენი პარიზი,
დრომ თმებზე შემომარხია...
რა უცნაური, მეხია
უერთმანეთო წარსული...
ჯაგრი კვლავ შემომეხვია,
მე კი მეგონა წასული...

8

...

სიზმარშიც მესმის შენი ხმა ცხადად...
შენ მწერ და ავსებს ძილი ფიალებს...
ფელისის ცაზე მზე გამიცხარდა
და დილას უკვე მოაფრიალებს...
მერი... გეტრფი და გეთაყვანები,
რომ არ გიცნობდი, ვინა თქვა ნეტა ?...
არაგვისპირზე ქარმა ყანები
ყაყაჩოების სვედით მოხვეტა...

9

...

ადარ ვიღლები გზაზე ყურებით,
როდესაც ჩემსკენ მოდიხარ მერი...
გალობენ სულში მოლადურები
და ვარსკვლავებით საესეა ჭერი...
როცა მიდიხარ დარდს ვემონები,
თითქოს იშლება ყველა ოცნება,
ადარ გალობენ მოლადურები
და ცრემლი დაწვზე ჩამოცოცდება...

10

...

უღელტეხილს მიუყვება ჩემი სევდაც...
შენი სახე ნეტავ დიდხანს მეხილა...
და შეხვედრებს განშორებაც თან რომ სდევდა,
სიყვარულიც გააუღელტეხილა...

11

...

თუთრ ხიდზე მერის ქათქათი
რიონს რძისფერი ქაფია...
სავსემ ამ ტრფობის ბარაქით,
გიძღვენ ქუთაისს კაფია...

რის თოვლი, რისი ფანტელი...
სითუთრით ვინ შეიმოსა...
ლექსით დაუუნთე სანთელი,
მაგ მკერდის მარმარილოსა...

12

...

მე შენი თავი ჟამმა მომტაცა
და გაგაქროლეს ნების გარეშე...
და შენი ტრფობით შევთხოვ მონა ცას,
არ წავიშალო მე შენს თვალეში...
ო, გახსოვს მერი, როგორ გარბოდი,
გელათის კედლებს როგორ უმხერდი...
ჩემზე ვედრებას ცრემლით გალობდი
და წამლად მექცა შენი მუხები...



ენა ხვანბალიანი

პოეტური ფუეტი

რეკლიდან:

„ჯვრისწერა ღამით ...“ – ვალაკტიონი და მერი

1

სამშობლოს მონატრება...

დილის ბურუსს ვერ ერევა მხერა,
ელოდება გაზაფხულის ნიაკს...
დაფრინავდა ეზოს თავზე ძერა
და მოჰქონდა მთის სურნელი ღიახვს...

სხვაგვარია მამულს გარეთ ყოფნა,
ნისლი ბურავს უცნაურად საგნებს...
ჩიტის ეღურტულს მოვისმენდი სოფლად,
თუმცა ვუსმენ შუბერტსა და ვაგნერს...

2

მერის ემიგრანტული დღიურიდან

ტრიუმფალური თალი,
გულში მაგ ტრფობის ნაღმი...
გალა...ქართველი მქვია—
სიშორე აღმიქვია...
თუმც საფრანგეთში ვარ და
მომწონს პარიზი... ნიცა...
გული არ გადაგვარდა
ჩემს ქართველობას ვიცაგ!...

3

...

ვაზზე ლექსით ეფერები მტევანს,
გალა, როგორ შემეყვარდი ასე...
დარდი ცრემლის წვეთშიც ჩაეტევა...
ქართული ცის მხიბლავს სიალმასე...
თითქოს მთვარე დარაჯფით მიცავს,
ღრუბლებიდან მოთმინებით მიშხერს...
რა ჯობია შენ რომ ხატავ იმ ცას...
რა ჯობია შენ რომ უმზერ იმ მზეს...

4

გულში ჩუქურთმებით დაგვრჩა
ნიკორწმინდა...

ბაგე შეიფერებს სინაზეს ამბორის,
რითმა ააღდება აზრის გაკვესებით...
ტრფობის სამყაროა სიტყვებში ამ ორის,
ცრემლით დანამული გულში გვაქვს ლექსები...
მანძილს შევამცირებ თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ...
ცაც კი სულ სხვაგვარი იყო იქ რომ წვიმდა...
თუმცა განშორების გვერგო მწარე აბი,
გულში ჩუქურთმებით დაგვრჩა ნიკორწმინდა...

5

...

მერის წუხილი...

„კასპის ერთ დიდ კლდეს,
ვერავისი კლდე ვერ სჯობია...“

გალაკტიონი

არ მასვენებს სააკაძის წუხილი,
გავიარეთ მეტეხი და ნიაბი...
„მესიზმრეო,“— მეუბნები — „წუხელი...“
და სიზმარი ზღაპარფით მიაძბე...
ქართლის ველზე უცნო დრომა ფრიალებს,
მტრის ჯარს გზები ჩაღმით დაუფარია...
კავკასიონს, ლიხის ქედს და თრიალეთს,
კვლავ დარაჯობს სააკაძის ფარია...
ავედგენეთ სააკაძეს კვალდაკვალ —
ჩვენც ჩაუხტეთ მტერს ბრძოლაში ის მინდა...
დღესაც დროა დავიართო კარდაკარ,

ისევ დაჭრეს ბოროტ ენის ისრითა...
კავთისხევი... ერთწმინდა ...პაატა...
ზარებს რეკავს ცად ევსტათი პლაკიდა...
ივერიაჲ, ჩვენს ზნეს ჟამს ნუ გაატან !
ჯავრი ფიქრმა გულს ჯვარფით დამკიდა...
ახლაც მესმის ხმალის ხმაღზე კვეთება...
აიშალა ქარი გზებზე მტკვრიანი...
სული დასდო აქ თვედორე კველთელმა...
შენც აქა ხარ... მეც შენს გვერდით ვტრიალებ...
ყველგან დამაქვს სააკაძის წუხილი,
ნოსტეს გავსცდით ... გავიარეთ ნიაბი...
„მესიზმრეო,“— მეუბნები — „წუხელი...“
და გულს გული ტრფობის ჯაჭვით მიაბი...

6

ფერთა ინტეგრაცია...

თეთრია თუ წითელი
ვარდი, მაინც ვარდია...
როგორც ხმელი წიფელი
დროს ვერ ვუძლებთ ავღრიანს ...
მტერს არ ხელწიფება,
რომ სახალხო გვარდია
დაიმონოს... შავ სიას,
დახერტების სერიას...
გადავურჩე შანსია
ზღვა გადამისერია...
საქართველოს საზღვარზე
დგას წითელი არმია...
არც მიწაზე, არც ზღვაზე
გულთან არვის არ მიაქვს...
ველი ცისფერყანწელებს,
ხან ხმელეთით, ხან ცითა...
ხმალს ყაწიმთან ვაწყვილებ
უცნაური განცდითა...
წითელი თუ თეთრია
ვარდს აქვს თავის გრაცია...
შორს ხარ... დღეს სულერთია
ფერთა ინტეგრაცია...

7

მესიზმრე...

ვიარე აღმა ჭიუხზე,
ჩამოწვა ფიქრის ზავია...
ცრემლის მდინარის სიუხვემ
მთასთან ჩაშალა ზავია...
გულს მოსდევს სევდის მწვეარი
ლექსები მოიმშვილდა და
მინდა დაულაშქრო მწვერვალი
ბარში ვერ ვრჩები მშვიდადა...
ტრამალის ქარებს ნაჩვევი
მგელი ხარ მუხლჩაუხრელი...
შემოგეფეთე არჩეფით—
გალა, მესიზმრე წუხელი...

8

...

შენთან ფიქრებით მიფერინავთ მზემდე,
კავკასიონის გაუაღებ ზეკარს...

შენ მეუბნები: „ ძვირფასო, მენდე!“
 და თითქოს სულში ზარები რუკავს...
 ჩვენც ხომ დავლაშქრეთ მთები ორთავემ,
 გზაზე ვიარეთ ბილიკნი ეკლის...
 ვით საპატარძლოს, ისე მომრთავენ
 ყაყაჩოები და გულში გეკვირი...
 ქარში ფოთლები იწყებენ კანკალს...
 ველზე აღვირი ფიქრის მიუშვი...
 ყვაველები კი ცეკვავენ კანკანს—
 ძველი ფურცლების ჰერბარიუმში...

9

ზაფხულია... ჟრიაშულობს ჩიტები...
 სულში მაინც ვერ გაუძღვებ სიცოცხეს...
 მსუბუქდება ფიქრი, ამიმჩატდება,
 როს თვალეში საქართველო ციმციმებს...
 აქ, პარიზი ვედარ იტევს ჩამომსვლელთ...
 მე, თბილისი ძველებურად მიყვარსო...
 თითქოს უცხო პლანეტიდან ჩამომსვეს,
 ქალაქს ავლებს ფერთა გამას პიკასო...
 საზღთან ხიდზე ალბათ ნელა გადადი
 და მოგესმა: „გალა, ისევ მთვრალია!...“
 რა იციან... პარიზს, მერი გადარდებს —
 ჩემს თვალეშიც შენი ტრფობის ალია...

10

**მერი — სვანეთის მთებს
 ალპებიდან...**

ბროლის მწვერვალი თეთნულდის,
 გარს მოხვეული ნისლი და...
 ბარში ცხოვრება გართულდა,
 მთას შევეფარო ის მინდა...
 უშბაზე თოვლი არ ღვდება,
 ქარი ღრიალებს არ წივის...
 სვანურ კოშკებში ბაღლები
 მართვევბია არწივის...
 ქალაქს გაზრდილი ქალი ვარ,

არ მიკრეფია ძახველი...
 უცრემლოდ ალპებს არ მივალ,
 სვანეთის მთების მნახველი...
 მომდევდა ბანი ექოთა,
 როგორც ფერდობზე მარხილი...
 გალა, ეს ლექსი მეც მქონდა,
 ვით კლდეთა გამოძახილი...
 ზაფხულის მთებზე იალაღს
 სიმწვანით უხასხასია...
 ვინ მოდრეკს ქართულ იარაღს—
 სვანების მტკიცე ხასიათს!...

11

ვეროპული და თანამედროვე
 თვალს ანებებრებს შანელის მოდა...
 გულო, ოცნება მაინც მადროვე,
 წარსულზე ფიქრი ცრემლივით თრთოდა...
 ბაგრატს ეახლენ ლოცვად ღრუბლები,
 წვიმა ასველებს უქიმერიონს...
 აყვავებულან მანდ, ალუბლები...
 პარიზშიც მესმის, მიხმობ: „მერო...“
 მაისის ვარდის მომდის სინაზე,
 სვედის ჟამია ღროით ფრანგულით...
 გულში ნაკვალევს, როგორც სილაზე,
 ვტოვებ... უშენოდ ვარ გათანგული...

12

გვიმრებს გაუმართავთ ხევხუვი ფერხული...
 შენ მითხარ: „ასეთი ნეტა რამ დაგბადა?...“
 ჩემთვის ხარ შექმნილი...“ ღიმით უხერხულით
 დამფარა მაგ ტრფობის გრძნობების ნაბადმა...
 შენც გხიბლავს ბოდლეერი, კოკტო და კლოდელი...
 რითმებში სიახლეს დაეძებ...აბა, რა!...
 მერი და ფრანგული ლექსების მოდელი,
 პარიზმა თბილისში შენ გადმოგაბარა!...



ანხორ სიფრაშვილი

ქუჩა და ქალი

ქალაქში ბევრი ლამაზი ქუჩაა, მაგრამ მათგან ყველაზე მეტად ერთი გამოირჩევა, ის, განაპირა, მოედანთან რომ იწყება, დაღმართს ჩაეკიდება და კარგა მანძილზე გრძელდება, ვიდრე ბოლოს სხვას არ შეუერთდება. ეს ქუჩა ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ ბრტყელი ქვით მოეკირწყლათ, მის ორივე მხარეს კი ტანმალალი ხეები ზარობდა: კაკლის, ვერხვის, გარგარის, აკაციის, თუთისა და კიდევ ვინ იცის რისი არა. მცხოვრებთ იმ ხეების ძირას ლამაზი ყვავილნარებიც გაეშენებინათ, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ



სულ ფერად-ფერადად იყო გადაპენტილი და მხოლოდ მაშინ ერთფეროვნდებოდა, ზედ თოვლი რომ დაედებოდა. არა, თოვლიც იმ ყვავილებივით აღამაზებდა მთელ ქუჩას და როცა ყველაფერი გადათეთრდებოდა, იქ ჩავლას არაფერი სჯობდა; ისეთ მშვენიერებას აფრქვევდა, თეთრ ჩოხაში გამოწყობილ წარმოსადგე ჭაბუკს მოგაგონებდათ, საქორწინოდ გამზადებულს.

ყველაზე ლამაზი ყვავილები მოხუცი ქალისა და მისი გაუთხოვრად დარჩენილი შვილის ეზოში ხარობდა. ეს ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი, ანეტა, ხავსმოდებული ჭერძის ქვეშ გრძელ სკამზე იჯდა ხოლმე და ქსოვდა და ქსოვდა: ხან თეთრ წინდებს შვილიშვილებისთვის, ხან კი სამელნეების ჩასადებ ფერადი ძაფის ბადურებს იქვე ასწლოვან შენობაში მდებარე დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის და ყველას საჩუქრად ურიგებდა, თან ამკვლელ-ჩამკვლელს ღოცავდა და თავის ასაკამდე მოყრას უსურვებდა.

მის გადასწვრივ რუს დედაკაცსაც, ნურას, იშვიათი სილამაზის ვარდები გაეხარებინა, ოდნავ ზემოთ მესაფლავე მიხას კარგა მოზრდილი ხეხილის ბაღი ჰქონდა გაშენებული, ქვემოთ ღრმა ხევი იწყებოდა, ხოლო კიდევ უფრო ქვევით ერთი გამრჯე კაცი, არჩილა დასახლებულიყო, რომელსაც სახლიც კარგი აუგო და ეზოში ცხვარ-ძროხაც მოემრავლებინა – მისი ეზოს ქვემოთ ბალახიანი ფერდობი იწყებოდა, მას კი მეჩხერი ტყე ესაზღვრებოდა...

ღიან, ასე იყო, მაგრამ იმ ქუჩას გამორჩეულობას კიდევ ერთი რამ მატებდა: ის შეყვარებული გახლდათ, მთელი გულითა და გრძნობით შეყვარებული!

საქმე ის იყო, რომ ქუჩის ბოლოს ერთი ღვთაებრივი სილამაზის ქალი ცხოვრობდა, რომელიც ყოველ დილით სახლიდან გამოდიოდა, ყელს მოიღერებდა, კიბეებზე ჩამოანათებდა, მერე კი ქოშების ბაკა-ბუკით ზევით, მოედინისკენ გასწვვდა და თეთრ, სპეტაკ, კაბაში გამოწყობილ უზადო ტანს მიარხევდა.

ქუჩა სულმოუთქმელად ელოდა იმ წუთს, როცა ის ქალი უნდა გამოჩენილიყო. იგი სუნთქვაშეკრული იმ კიბეებთან მოლოდინად იყო ქცეული, სადაც ქალს ფეხი უნდა ჩამოედგა, ჩამოეგლო, ხის ჩუქურთმიან მოაჯირს ნაზი ხელებით დაყრდნობოდა, წამით ირგვლივ თვალი მოეგლო და ქვაფენილზე დაეხეობინა. ამ დროს მაღალი ხეები ტოტებს შეარხევდნენ, წვეროებს მისკენ მოიდრეკდნენ, თავს მოიხრიდნენ და აქაოდა უტიფარმა წვიმამ არ დაასველოსო, ზედ გადაეფარებოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით მიაცილებდნენ, ხოლო ვარდები, ზამბახები, მიხაკები, შროშანები კიდევ უფრო გადაიშლებოდნენ და საამო სურნელს მისკენ მიაფრქვევდნენ.

დაბლა რომ ეს ამბავი ხდებოდა, მაღლა კიდევ ჩიტები ნაუარდსა და ჭიკჭიკს უმატებდნენ, ხოლო თუ ზაფხული იდგა, მერცხლებს იმ ქალის ზემოთ საოცარი გნისი და ყრიაშული გაჰქონდათ, ფრენა-ფრენით ყირაზე გადადიოდნენ, მერე ტელეფონის მაკუთულებზე ჩამწკრივდებოდნენ და საოცარი ჰანგებით მიდამოს აყრუებდნენ.

ხოლო ღამით... ღამით უფრო გასაოცარი იყო ყველაფერი, რადგან მიბნედილ მთვარესთან ერთად ლამაზიონებიც ჩახჩახებდა და მათს შუქზე გასაოცარი სილამაზისა ხდებოდა სახლებიც, ხეებიც, ბუჩქებიც და ყვავილებიც.

შეყვარებული ქუჩა ქალს აედევნებოდა, მის თეთრ ხელთათმანებს, ასეთსავე კაბასა და მოქარულ ქუდს შორიდან მიეფერებოდა, მიესაოთუებოდა, გვერდით მიჰყვებოდა, ზოგჯერ აბეზარი ვერხვის ჩამოვარდნილ ფოთოლს მალღიდანვე სულს შეუებერავდა და შორს გადაისროდა, ზოგჯერ კაკლის ტოტს მოუჩრდილებდა, აყვავებული ატმის ან ტყემლის ყვავილებს თავზე ნაზად დააყრიდა ან ვაშლის ხეზე შერჩენილ სურნელოვან ნამს სუნამოდ დააფრქვევდა და ცელქ ნიათან ერთად მხრებზე რბილად შეეხებოდა.

ქალი ქუჩის სიყვარულს ვერ ხვდებოდა, ვერც კი წარმოედგინა თუ მას სიყვარული შეეძლო, თუმცა თავადაც ძალიან უყვარდა ამ ქუჩაზე სიარული და იმ სურნელებით დატკბობა, რომელსაც მხოლოდ აქ გრძნობდა.

წლები გადიოდა, ქუჩის სიყვარული კი არ ნელდებოდა, პირიქით, უფრო იზრდებოდა და ცხოველდებოდა. ერთ ყვავილს რომ ჭკნობას შეატყობდა, მაშინვე მეორეს გადაუშლიდა, რომელიმე ხე რომ ხმობას დაიწყებდა, მის სანაცვლოდ ახალ ნერგს აღმოაცენებდა და საჩქაროდ ზრდიდა, უნდოდა ტანი მალე აეყარა, რათა მის საყვარელ ქალს მწველი მზისგან ჩრდილად დასდგომოდა. ერთი ეგ იყო, რომ ლაპარაკი არ შეეძლო, თორემ ვინ იცის რამდენ სასიყვარულო სიტყვას ეტყოდა, ტრფიალებას გაუძღვანებდა, ლექსებს მიუძღვნიდა, სიმღერას უმღერებდა! მერე რა, რომ ქალი ვერაფერს გაიგონებდა – ქუჩა მაინც ბედნიერი იქნებოდა, ძალიან ბედნიერი.

იმ ქალაქში უამრავი ადამიანი ცხოვრობდა, თუმცა როგორც ვთქვით, ამ ქუჩაზე მათი რიცხვი არც თუ ისე ბევრი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც შემთხვევითი გავლისას თვალი მოჰკრეს როგორი ლამაზი იყო იგი და აქ სიარულიც როგორ შეეპასა და საამოვნებას აქნაჭებდათ, უკვე შორიდანაც მოდიოდნენ და ახალგაზრდებიცა და მოხუციებიც მთელი ღლები დასეირნობდნენ ქუჩის თავიდან ბოლომდე, მერე ბოლოდან თავამდე და თან ხშირ-ხშირად ისვენებდნენ. გაივლიდნენ, ვარდებისა თუ მიხაკების გამაბრუებელ სურნელებას შეიყნოსავდნენ, კაკლისა და ვერხვის ჩრდილში შედგებოდნენ და წასვლა აღარ უნდოდათ, სურდათ გამუდმებით მხოლოდ აქ გაეტარებინათ დღის დიდი ნაწილი.

ქუჩას ისინი არ აინტერესებდა, სულაც ვერ ამჩნევდა თუ იმ ქალის გარდა კიდევ ვინმე სულიერი არსებობდა. მისი ფიქრები ამ ქვეყნად მხოლოდ ერთ ვინმეს დასტრიალებდა და ეს ერთი ვინმე ის იყო, მთლად თეთრებში გამოწყობილი უღამაზესი, ღვთაებრივად მომხიბლავი ქალი, რომელიც დილით აივლიდა ქვაფენილზე და რაღაც დროის შემდეგ ისევ თავქვე დაუყვებოდა. ქუჩამ ისიც კი იცოდა, როდის უნდა ჩამოეარა იმ ქალს, რადგან ზემოთ, მოედნის მაზლობლად, დიდი რომაულციფრებიანი ცისფერი საათი მოჩანდა, რომელიც მელოდიურ ხმას გამოსცემდა ხოლმე და ხშირად ყოფილა რომ ბავშვებს მის ძირში თავი საგანგებოდ მოუყრიათ, რათა კიდევ ერთხელ მოესმინათ როგორ ჩამორეკდა იგი მუხისკას.

ქუჩა ხედავდა, რომ იგი მხოლოდ იმ დროისთვის არსებობდა, როცა იმ ქალს უნდა აეგლო და ჩამოეგლო. სხვა დრო მხოლოდ მოლოდინი იყო, მოლოდინი ამ წუთებისთვის, ბედნიერი, უსაღვროდ ბედნიერი წუთებისთვის.

და აი, ერთ დღეს ის ქალი აღარ გამოჩენილა. კიბეზე

არც მისი თეთრი ქუდი ჩანდა, არც კაბა შრიალებდა და არც ფეხსაცმლის ბაკა-ბუკი მოისმოდა.

რადგან ამგვარი რამ ადრეც მომხდარა, ქუჩა დიდად არ აღელვებულა, არ შეწუხებულა, იმედი ჰქონდა მეორე ან მესამე დღეს მაინც ის ქალი კარებს გამოალებდა, ხელთათმანიანი ხელით მოაჯირს დაეყრდნობოდა და რამდენიმე საფეხურის ჩამოვლის შემდეგ ფეხს ქვაფენილზე დაადგამდა. ეს კი იყო, მაინც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, თითქოს ცუდის მოლოდინში გაირინდა; ყვავილებმაც თავი ჩაჰკიდეს, ხეებმა შრიალი შეწყვიტეს და ცაში მოლოდინივე მერცხლებიც სულგანაბლნი, იმ სახლის წინ მავთულებზე ჩამწკრივდნენ.

ის ქალი არც მეორე დღეს გამოსულა სახლიდან. სამაგიეროდ ადამიანთა მიმოსვლა გახშირდა და სრულიად უცხონიც გამოჩნდნენ, ისინი, ვინც ქუჩას ადრე არასოდეს ენახა. მოდიოდნენ თავდაზრილები, კაცები მოხდილი ქუდებით, ქალები თვალებთან მიტანილი ცხვირსახოცებით, მოდიოდნენ, იმ კიბეზე ადიოდნენ, გარკვეულ ხანს ყოვნიდობდნენ და შემდეგ ოხვრიტა და ცრემლიანი თვალებით უკანვე ჩამოდიოდნენ.

ქუჩა რაღაცას მიხვდა. მიხვდა, მაგრამ არ დაიჯერა, რადგან კიდევ ჰქონდა იმედი რომ იმ ქალს ნახავდა, ისეთსავე ამაყს, ლურჯთვალეზას, ტანის რხევით მიმავალს, ხელთათმანიანი ხელში პატარა ჩანთით, ნახავდა და მიაცილებდა ცისფერ, რომაულციფრებიან საათამდე, რომელიც ამ დროს ცხრაჯერ ჩამორეკდა მელიოდიურ მუსიკას.

მაგრამ გავიდა კიდევ ერთი დღე და ქუჩას მხოლოდ შუაღამის ქალისა და კაცის საუბარი მოესმა:

– წავიდა? მანაც დაგვტოვა? – ოხვრით კითხულობდა კაცი.

– წავიდა, მანაც დაგვტოვა, – პასუხობდა ქალი, – სამუდამოდ მიატოვა ყველა და ყველაფერი: სახლი, ბაღი, ეს მშვენიერი ქუჩა...

იქნებ სხვაც ბევრი რამ თქვეს იმ კაცმა და ქალმა, მაგრამ ქუჩას მხოლოდ ეს ორიოდ სიტყვა მოხვდა გულში: წავიდა, გაეცალა ქუჩას, დატოვა, მიატოვა...

მერედა, რისთვის? რატომ მიატოვა? რატომ ჰკრა ხელი ქუჩას, რომელსაც უყვარდა, თავს ევლებოდა, ელოლიავებოდა, ფიანდაზებს უფენდა, უკან დაჰყვებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა... მან კი მაინც მიატოვა, გაეცალა, წავიდა, დაივიწყა...

აი, თურმე როგორი არიან ადამიანები: უმადურნი, უგრძობელნი, გულქვანი, გაუტანელნი, უწყალონი, რომელნიც წმინდა გრძნობის ღირსნი არ არიან, იმ წმინდა გრძნობისა, რომლითაც უყვარდა ქუჩას ის ქალი. ქუჩას უყვარდა, იმ ქალმა კი აიღო თავი და სადღაც გადაიკარგა, მიატოვა ეს ულამაზესი ყვავილები, ხეები, ქვაფენილი, ხევი, ფარნები, ღამით რომ ჯადოსნურ შუქში ხვევდნენ ყველაფერს... მიატოვა და წავიდა, ვინ იცის სად, მაგრამ მიატოვა კი...

მამ ქუჩამაც გულიდან უნდა მოიწყვიტოს იმ ქალის ხსოვნა, მისი სახება, ამდენ ხანს სასოებით ნატარები, დაივიწყოს როგორც გულქვა, უკადრისი, ამაპრტავანი...

და დაივიწყებს კიდევ. დიახ, დაივიწყებს, რადგან ის ქალი მისი სიყვარულის ღირსი არ ყოფილა. ტყუილად

შეაღია ამდენი წელი, ტყუილად ელოლიავებოდა და ფიანდაზად ეფინებოდა.

მეორე დღეს ხალხის დენამ იმატა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცისფერ საათზე ისრები პირველს მიუახლოვდნენ. შავ კაბებში გამოწყობილი ქალები და ქუდმოხდილი კაცები მოდიოდნენ, იმ სახლის კიბეებთან გროვდებოდნენ, აქეთ-იქით მწუნარედ იყურებოდნენ, ოხრავენ, მერე ქალები ღია კარებში შედიოდნენ, კაცები კი იქვე ჩერდებოდნენ ან გრძელ სკამებზე სხდებოდნენ და მუსაიფს მართავდნენ.

ქუჩამ ბევრჯერ სცადა იმ ოთახში შეეხედა, შეეკვირიტა, სადაც ქალები შედიოდნენ, მაგრამ კიბეებზე ვერ აიწია. მაშინ იქვე მდგარ კაკლის ხეს შეხედა ვედრებით, რომელსაც დიანაც შეეძლო ფანჯრიდან შეხედვა, მაგრამ მანაც უარის ნიშნად ამაოდ გაიქნია ტოტები – ფანჯრებს მეტად სქელი შავი ფარდები ეფარა და არაფერი ჩანდა.

ამ დროს ჰაერი სამგლოვიარო მუსიკამ აავსო. ისმოდა რაღაცნაირი მძიმე, ნაღვლიანი ჰანგები, ვიღაც მოთქვამდა, ბედს უჩიოდა და ეს სვედიანი ხმები ისე გაისმოდა, თითქოს ცივი, ყინულიანი წყალი გადმოედვარა ვინმეს.

სკამებზე მსხდომნი წამოიშალნენ, ქალებმა ცრემლს უმატეს, კიბეზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა, რომელთაც მხარზე სასახლე გაედოთ, სასახლეში კი ის ქალი იწვა, ისეთივე ლამაზი, მშვენიერი, ჰაეროვანი და ღვთაებრივი, როგორც ქუჩას ადრე ენახა.

მცირე ხანიც და სამგლოვიარო პროცესია გზას გაუდგა. მიდიოდნენ მძიმედ, დინჯად, სვენებ-სვენებით, კაცები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ქალები შეუჩერებლად იწმენდნენ ცრემლებს და ვერავინ შეამჩნია, როგორ გაფითრდა ქუჩა და როგორ გაყვინა გული. ქარი არსაიდან ქროდა და ვერავის გაეგო, ხეები ტოტებს რატომ არხევდნენ, წვიმა არსაიდან მოდიოდა და ყველას უკვირდა ყვავილებზე ნამი რატომ გაჩნდა, ხოლო ქვაფენილი რატომ დასველდა.

ამ დროს ქუჩას ისევ შემოესმა გუშინდელი გუშინდელი ხმები:

– ნეტავ რატომ მეორე ქუჩით არ გაასვენეს? ის მოაფალტებულციცაა და სწორიც, აქ კი რამხელა აღმართია ასავლელი, თან ეს უსწორ-მასწორო ქვაფენილი... – ამბობდა ქალი.

– რა მოგახსენო, თავად გამოუთქვამს სურვილი – ამ ქუჩით გამასვენეთ, მე ის ძალიან მიყვარდაო, – მიუგო კაცმა.

პროცესია უკვე ცისფერ საათს უახლოვდებოდა, სადაც უამრავი ხალხი შეგროვილიყო და სინანულით უცქერდა სასახლეში ჩასვენებულ ქალის ცხედარს, რომელიც მართლაც ისეთივე ლამაზი იყო, როგორც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებში.

და ვერავინ გაიგო თუ რა მთელი ხმით ატირდა ქუჩა და უკვე შორს წასულ ცხედარს ცრემლიანი ხმა დაადევნა:

– მაპატიე, ჩემო ძვირფასო!.. გთხოვ, გვედრები, მაპატიე!..

მეორე დღეს ქუჩის მცხოვრებნი საოცარი და ამოუხსნელი ამბის მოწმე გახდნენ: უკლებლო ყველა ხე, ბუჩქი და ყვავილი ერთბაშად გამხმარიყო და თავები უსიცოცხლოდ ჩაეკიდათ, ხოლო მერცხლები სადღაც გადაკარგულიყვნენ, თუმცა ჯერ ისევ ზაფხული იდგა.

ფერმკრთალო უწნობს

(გეინსბოროს ახალგაზრდა არისტოკრატის პორტრეტი)

ვინძლო შენს ტუჩებს რამდენი ქალის სევდა შეემსხვრა,
ეტლი უინძორს მიჰქრის, ოდნავ არ გაგხარ ემხვარს,
ჩემი ბავშვობა შენს გიშრისფერ კულულზე თვლემდა,
ჩვენი სიცილი კოსმიურ მტვერს ხვეტდა ბეთლემთან.

გული ძვერს ბროლის სიშორეთა გამანძილებით,
სხვა ეპოქაა, ჭუჭყში გვახრჩობს მინის ფილები,
მოიდილეგა სულმა თურმე ცრემლი ენოქის,
ცინიზმის ღველფით უსაშველოდ გაპოხილები

ადარ ვძღვიძარებო, ცათა ძარღვი ჩვენში მარხულობს,
ისეთ წყალწყალა შეხუმრებებს შევაბერდებით,
ცინცხალი მხერა, გულის ჟრჟოლა საგაზაფხულო,
ადარასოდეს მოგაკაითხავს დანამდვილებით!

ჯიშინ კისერს, საფირონის თვალებს კანთიელს,
არისტოკრატულ სახის ფერი შემოამთხვიე,
დამთხვეულ ვნების მარაოებს გიშლიან დრონი,
მანც ვის მხრებზე ირვალევა გზები უფრთონი?!

მე შენს ჩაუქრობ სილამაზეს ისევ შეეხარი,
ღიმილზე მეტად შენთვის ფასობს დაშნა, ბეგთარი,
ცისფერი სისხლი, მხერაში რომ ასე ჩაუქობს,
სარკე, რომელიც ჩემს მშვენებას ჯერ არ აუქმებს...
საარაკოა, შეეხვედროდით დრო სადაც თვლემდა,
ჩვენი სიცილი კოსმიურ მტვერს ხვეტდა ბეთლემთან.

* * *

იცი, მიწა ვნებს
დროის ქარავანს ოდეს გონი მირეახლება,
ქვიშას ავიყვან შთაგონების ჯიუტ თანმხლებად
სკალპაზვირთებულ სიტყვის გემოს იგი იწამებს
ჩვენს აღნაგობას, ზეცით სავსეს, იცი, მიწა ვნებს,
რამეთუ მიწა მოგუგუნებს აღმართის-აღმართ
დაჭიდებულნი მთვარის სიცილს,
ვჭვრეტთ გვამს პირადმა
მტვერმა ანკესი გადაუგდო, ვინც მხეს უმზირა,
ურჩ იოანეს მოჭრილ თავზე ამხედრდა კვირა
და მის ძვალთაგან წვიმის ქერცლი გადარჩენილა
მთას რომ მიანდო უგუმბათო ჭრიალის თაღმა.

აკენცილი თვალენი

ეს აკაცია მომთაბარე წყვილიადის ტივით
მხედრამოლვენთილ სინუქში ვიდაცას უვის,
ოდესმე ჩემს თმებს მიწის ძარღენი გადამარცვლიან,
სიერცეს ქაფფით შეაშრება კვირტი სიგლუვის.

ლოდინი წვიმის სიხისტესთან გათანაბრდება,
ზღვამ მოხარხარე ნაპირს შტხსნა სიცრუე შორი
სიცარიელე გავუგზავნოთ მგლის ტვინში ოდინს,
თორემ სიტყვებად გარდაიქმნა უფსკერო შმორი



ინა ქალაგოძე

იქნებ უჯერო შემართება კვლავ თავს დაგვატყდეს
და გავერიდოთ გრძნობის სიმჭლეს მოდურად გათლილს,
სიმსუბუქეთა სიმხურვალეს არ დაუჯერო,
ჩაწურე წრფელი მღუძარება, ჰა, ჟანგის სათლი...

ესეა მხოლოდ, სიმარტოვით დაიცვა თავი,
მიწათა ეშვი სიპირქუმეს ეშვა დაფრდომილს,
ნისლად დარდობდი. ხამს მხეს ბრანი გადააყოლო,
თვალეები რწმენით აკენცილნი, იქნენ დანდობილ!

* * *

პოეტი საზარბაზნე ხორცია,
ლექს წერ? საიმქვეყნოდ მოგცლია.
სიტყვა განიავდა ხმაურით,
ბრბოს გასართობად ნუ აურევ!

ზღვაური დაგიძახონ სიბრაზით
შფოთვაა შთაგონების ემბაზი.
დაგვცინონ, გაგვკიცხონ, გაუშვი,
სიმართლის კვერთხი არ დაუშვა!

პოეტი საზარბაზნე ხორცია,
სისხლს წონი? საიმქვეყნოდ მოგცლია,
სიტყვა დახურდავდა ხმაურით,
ლაჟვარდში ბრმად იმოგზაურე.

* * *

მარტს კენწლავს სევდა უდროოდ მძაფრი,
ბაგეთა სუნთქვა უგაზაფხულო.
ჩემი ხმა-ქვიშის ყრუ ავტოგრაფი
სიკვდილის წიგნად გსურს რომ დახურო,
უწყვეტ სიმების ჭირთათმენანი
არ მოეყუროს სიზმრადაც არვის,
სად დაამიწე გული ქედანის?
თურმე შენს სისხლშიც
დრო სწრაფად გარბის!

რვ. უვარსკვლავო!

და თუკი ხიფათს არ ვეკრძალვი, ცავ, უვარსკვლავო,
დედამიწათა მუხარადის ცრემლის შემსკვნელო
განქარდი! სევდა შენს სიღრმეებს გადაუზზავო,
წყვიდადთა გასწვრივ ქუხილივით გადაგემტერო...

ატრაქციონზე ცივ ღრუბლებში მზე მოგნიასე
მწველ მზერას კენტად მიაღურსმავს ჩემს თმათა ღვარცოფს,
ლექსების სისხლით შეციებულ უცვეთელ თასებს
ვინ აათასებს? მიგვანიშებს ამქვეყნად რა სჯობს.

ზღუდეურღვევი სიამაყე უვარსკვლავებო,
თუ შენი გულის კარიბჭეთა ამაქმანება,
წყვიდადთან რკენა მარადისი თუნდაც წამეგო,
ოლონდ შემეგრძნო, შენი სული ღროს არ დანებდა!

შორეული ნაოსნობის კაპიტანო

თოლიების გამყინავი შეძახილი: ძირს პიანო!
ოკეანის ძარღვებს ექვიშრობება,
შორეული ნაოსნობის კაპიტანო,
მხოლოდშობილ ფიქრს შეგიშრობს ცხოვრება...

ჩვენ ვერ შევხვდით ჰორიზონტის შვერილებთან,
სადაც ზღვის და ქვიშის ჯვარცმა კიაფობს,
უდაბნოს და ოკეანის შერიგება
სფინქსის გაბმულ სიზმარივით გაიამბო.

ჰოდა, ხმელეთს ვით მეკობრე, ვერკინები,
არც ალისფერ აფრებს ვესათუთები,
ვარსკვლავს ვისვრი, როგორც იღბლის ყრუ-მუნჯ ნომრებს,
მტკივა შენი უასაკო ხუნდები...

უარს ვამბობ სხვის ბრძანებებს დავეტაღლო,
შემოაფრენს გული უცნობ ქიმერებს,
მოვერცხლილი სევდა ალტობს პირქუშ მადლობს,
ცრემლს, სიკვდილის ცელივით რომ მიღერებ!

თოლიების გამყინავი შეძახილი: ჰე, სვიანო!
ოკეანის კუნთებს ექვიშრობება,
ემიშობ, ქვესკნელს ლექსებად არ დაგიტანო,
გესლი ამო ქაფივით არ გშორდება...
შორეული ნაოსნობის კაპიტანო,
ჩვენი ჰიმნი მითებს ემახსოვრება.

მავ შინაურო!

მავ შინაურო, თურმე გვართმევ ძირძველ მიწა-წყალს,
უსათაუროდ შემომარტყი რატომღაც ალყა,
თუ შენს ძარღვებში წინაპართა მხნე სისხლი გალხვა,
წყრომის „ტრაური“ ახმაურებს ქათინაურებს,
რომელსაც ერის მწვავე რისხვა უმეთაურებს!

გმირების სისხლით მოკირწყლულ ცას
გადამთიელი ვერ შეისრუტავს,
ძვრას ვერ უყოფ ჩემს გულში ცურტავს!
რა ავბედითი მძვინვარება შემოგობურავს?!

ღირსებას ფულის ფარღულების წნევა ვერ გუდავს!
ჯოჯოხეთურმა სივერაგემ სად დაიბუდა?
მოყვრად მოსული როდის ეძძე
იმ პირშავ მქირდველს,
ვის საქართველო ქართველების გარეშე სურდა...

მავ შინაურო, ნაადრევედ გამინაურდი,
გახსოვდეს, ჩვენ არ დაგანებებთ ძირძველ მიწა-წყალს,
წკვარამის სამკალს ინარეკლებ
წაწყმედის წიად,
მაინც აღვადგენთ ჩვენს უყანგვ, სისხლნალტობ ფარ-ხმალს
და მაშინ ძრწოდე, უსამშობლოვ,
ქართველი მქვია!

ღიალოგი ნოემბერთან

ნოემბრის სინაზე სულს ტანგოს აცეკვებს,
მხრებჩამოშვებული დარდისგან ვსველდები,
ველურ სიამაყეს ვუწონებ აცტეკებს,
ფოთლებს იტაცებენ აქატიის გედები.

წვიმის გვირგვინისგან მწვავედება იარა,
ბავშვობა გაფრინდა თოვლის ნამქერივით,
ფეხშველმა წამების გზა გადაიარა
და პირქვე დაემხო დაქანცულ ბერივით.

არ მსურს დავიჯერო, ვით მწარე სიქმარი,
ნუთუ ყველაფერი განგებამ წაიღო?
არავინ მაწყნარებს, შენ რაღა მითხარი?
სულმა საფასურად სიმშვიდე გაიღო.

არ მსურს განვმარტოვდე ნაღველის ამარა,
უფალო, მიხსენი, რწმენა შემარჩინე,
შეგვრა სიცოცხლისკენ სავალი კამარა,
განგებავ, თუ გნებავს ახლავე დამცინე.

მაცტერდი

მე არ მეცვლება თვალების ფერი
რამეთუ მზერით დამაქვს შატბერდი,
საუკუნეთა გზით დავიმტვერი,
შემომრჩა მაინც ურღვევი ფერი.

მე ვერ წამგვარეს სუნთქვა მცირედი
რამეთუ გულით დამაქვს შატბერდი,
ჩალმიან მზესთან გლოვით მივედი,
მომავალს ვანდე ხანძთელის მკერდი.

მე ვერ მომდრიკეს უფსკერო ქედი,
რამეთუ სულში ბორგავს შატბერდი,
ქვიშის გზას გასდევს გადასახედი,
არც ოდენ სიზმრად გადავსხვაფერდი.

ჩემში არ მღერის სხვა ტომთა სისხლი,
რამეთუ გენით მომდგამს შატბერდი,
უცხოთა ქვეყნებს წვავს ჩემში ნისლი,
წმინდა ქართული ჯიშის დავბერდი!



ლაზა მასხულია

ნანა

ვუძღვნი დედას

იადონსა ვარდი განა,
ია დაენანა,
როცა ქარი მოექანა,
იაუნანინანა.

შენ დავითის ჯიშის ჩვილო,
ქვეყნის ჩინო თანა,
მზე არასდროს მოგეჩრდილოს,
იაუნანინანა.

ანგელოზი ცვარს გაპკურებს,
ბადრი პირის ბანად,
ცა ნისლეების რძით გაპურებს,
იაუნანინანა.

მოლალური შემოსძახებს,
ბულბულის ხმის ბანად,
შეგირჩევენ ლამაზ სახელს,
იაუნანინანა.

ჩითის პერანგს მოგიქარგავს,
თმით ქალღმერთი ნანა,
დაგიკოცნის აკენის თავანს,
იაუნანინანა.

ტანჯულ ერსაც დაუდგება,
გაბრწყინების ხანა,
გენებს შესძრავს დაუდგარს,
იაუნანინანა.

იადონსა ვარდი განა,
ია დაენანა,
როცა ქარი მოექანა,
იაუნანინანა,

იადონსა ვარდი რადა,
რად არ დაენანა,
ეკლებით რას გახდებოდა,
ქართან ამტყდარს მტრადა.

იაე ნანა
ვარლო ნანა
იაე ნანი ნანა.

* * *

როგორ დაუწერო წლები სიტყვებით?
სად დავატოო ცხადში ნახული?
შემომეღია ნახი სიზმრები
და იმელებიც — გადანახული.

ალარ გავდივარ თითქმის სახლიდან,
და მარტობით ისე ვივსები,
ზოგჯერ მგონია მარადისობას,
კუახლოვდები მე ამ თვისებით.

რაც უწინ მგვრიდა ცრემლსა და ღიმილს
დღეს ის ვნებები ალარ მახლეებს,
შვეუში წარსულ ლანდებთან ჭიდილს,
ოცნებებს — წლების უღვთოდ მარეკებს.

და ასე მუდამ: ვტეხავ ღამეებს,
კგუობ დარდებს და ვუფრთხი მნახველებს
და ჩემს მაგიდას ვით შემორიალს,
ვაკაწრავ ერთ ღროს ნაცნობ სახელებს.

ოდოია

ოდოია, ოდოია,
ნისლში თვალებს ვედარ ვახელ,
ბინდში თხებს რომ მოდენიან,
იმ ბიჭებში წუხელ მნახეს.

. . მხარზე სახრე გადებული
(წლებმა როგორ გამიღახეს),
ნენა თვალში შემციცინებს,
ჭროლა თვალში მითვლის ხალებს.

უემური თუ ამეკიდა,
დააცალებს ბაბა ხარებს.
ხვარიელი გათოვება,
ღვინის მსმელებს გაახარებთ. . .

ოდოია, ოდოია
ჩემი ოდა ცოდო კია,
რაც იქიდან წამოვედი,
ასი წელი კია ღია.

ჩემი ცხენი, ხის კომბალი
შუა ცეცხლთან ახლაც გდია,
ჩემგან ყანა დაღუპული,
მეზობლები დამიდიან.

ბელურების ცოდო მედოს,
თუ მომისწრონ სადმე მტირალს,
იმათ ყანებს რას ვერჩოდი,
მტარვალს ვაოტებდი ტიალს.

ასე ვსდიე ჩემს ბაღლობას
აჩუ-აჩუ, ტია-ტია,
ცხოვრებამაც წესის რიგზე
ხან მიძმო და ხან მიტია.

მათრია და მაპამპულა,
გამრიყა და დამიტია.
ხან შემაგლო ბეწვის ხიდზე,
ხან დათმო და გზა მიტია.

მაგრამ ვინლა, სადლა, რაღა?
ჩემი არვეც დაფანტულა,
ჩემი კატის ნაშიერი,
აღარ მიცდის საკვამურთან.

სად ვეძებო, გზებო, გზებო,
ვის მოჰკითხავთ მეზავრის სახელს,
ოდოია, ოდოია,
ბინდში თვალებს ვეღარ ვახელ.

ზავშვობა

არჩევანი შენ, არადანი მე,
ვიღაც იცინის, იცინის მწარედ,
თითქოს ტყავის ბურთს ამოეფარა,
ჩვენი ბავშვობა და დაგვრჩა გარეთ

—გახსოვს ვიყავით როგორ ლაღები?
(ვირჩევთ და ვარჩევთ ხსოვნის ნაწილებს)
დრომ მოგვიპარა მერე ბაღლები
და ფრონტის ხაზზე დაგვანაწილა...

არჩევანი შენ, არადანი მე...

კახეთი

ვაზის ფოთოლზე გაფენილი ფეთქავს კახეთი,
გადაწოლილა ალაზანი ხანტი მეურმე,

მზე არის თითქოს დვეის ოქროს ქისას გახეთქილს,
მზეთუნახავის ნაწნავების ცეცხლი შეუნთეს.

ცივგომბორამდე იზმორება ცხელი ჰაერი,
ისეთი ცხელი, მტევნებს ლამის კანი გადასძვრეს
და ალავერდი ცასთან თითქოს ისე ახლოა,
რომ ირაოს დროს შავარდენი ფრთას ვერ გააძვრენს.

არ ვიცი ღმერთო, რა ვინატრო ან რა ვისურვო,
სულს ვეღარა ვგრძნობ, სული მზეზე უფრო გადიღდა...
წამავლობასთან კიდევ უნდა იყო თავხედი,
მრავალქამიერ როცა გესმის ყველა სახლიდან.

ვაზის ფოთოლზე გაფენილი ფეთქავს კახეთი,
როგორც მტევანი მიწა მძლავრი, ნაჭური ზეცა.
... ღმერთო მაღალო, დამესიზმრა ეს ყველაფერი,
თუ ინებე და ანგელოზის ნათელი მეცვა?

ნერილი

იცო, მე მართლა ვეღარ ვწერ ლექსებს?
იცო ძვირფასო სულში ბინდია?
ზოგჯერ მგონია მე ერთი ვწუხვარ
და წლებიც მართო ჩემთვის მიდიან.

იცო ძვირფასო როგორ გაჭირდა?
სხვა რას გაიგებს, თავს ძლივს ვუტყდები,
რწმენის ბოძკიტებს ესევა ჭია,
ან გაუმართლდები, ან გაუმტყუნდები.

სიცარიელეს დღეებით ვივსებ,
სიცარიელით საუსე დღეებით,
შენ არც კი იცი, რომ დავინავსე,
მე რომ დამქონდა იმ იმედებით.

შენ არც ის იცი, ხვალი მგელივით
ტანზე ნაკბილარს როგორ ვილოკავ,
სხვა გზა არაა, თუ არ აყვევი
თავზე მოხვეულ უცხო კილოკავს.

სხვა გზა არაა, თუ არ შეყვევი
ამ წუთისოფელს თავის ჰარემში. . .
ისე მართო ვარ, როგორც ხმაური,
შიშით დახაფრულ შუაღამეში.

ვერ ვწერ კი არა, აღარ ვწერ ლექსებს,
სულში კი არა, ყველგან ბინდია,
და მე ძვირფასო ვერ ვცვლი ვერაფერს.
წლები მიდიან, წლები მიდიან.

მამულოს

ჩემო მზე და ჩემო მთვარე,
 ვარსკვლავების კრებულო,
 ჩემო მიწა, მაღლიანო,
 გულუხვობით ქებულო.
 ლაღები და ზურმუხტები
 გშენის ნაირფერადი;
 ყოველ ყვაილს ეფერები,
 მტყენებს როგორ ფერადი?!
 ჩვენი რწმენის აკვანი ხარ,
 ჩვენი იაღბუხი ხარ,
 შენი ქებით არ ვიღლებით, —
 გულის გულში გვიხიხარ.

ჩემი ფიქრის ნაცვრისთვალი

თურმე, გვწვევია სხვა აღმაფრენა,
 ნუშის ყვაილებს, უცებ, წამოცდა,
 ალბათ, ცხოვრება ისე რთულია,
 რომ ჩვენ, ორივეს, გვიწყობს გამოცდას.
 ეჭვს გარეშეა, რომ მჯერა შენი;
 გასზღტება ძალად მოწვილი ტოტიც,
 მერე რა ვუყოთ, ამდენი ხანი
 სიხარულისგან ცაში რომ ვხტოდი.
 ხომ დაიჯერებ, ბედნიერებას
 მომაგალ დღეებს გავუნაწილებ,
 ოცნებებში კი ჩემთან დარჩები,
 მივეფერები იებს — ნაწვიმებს.
 ია ნუგეშს მცემს, ენძელები კი
 ცრემლს შემშიშრობენ თვალზე პაწიას,
 მადლობა უფალს, რომ სიყვარული
 ღმერთმა მე ერთხელ მაინც მაწვია.

სურათი

ღამემ დატოვა თავის სამოსი,
 მზისფერს ჩაიცვამს დილა.
 ცისკარმაც უკვე ცა გადაკოცნა,
 მთვარეს ხელს ართმევს ფრთხილად.
 მხატვარი მინდა გავხდე ამ დილას,
 რას დაგხატავდი? — ხედებს...
 ლექსს მაინც დავწერ, ვესათუთები
 ჩემს საქართველოს — ედემს.

* * *

ისმის კითხვა: ვარდი ხარ, თუ
 მგალობელი ბუღბული?
 აირჩიე, რომელი გსურს,
 ჩააყოლე სულ გული.
 ხან ვარდი ვარ, ხან ბუღბული,
 ყვაილიც და ფრინველიც...
 მე ქალი ვარ — გაზაფხული,
 შენი გულის მხილველი.



ნუნუ ძამუჯაშვილი

* * *

გავათენე ღამე შენზე ოცნებებში,
 არა, ისე, ნაზ ფიქრებით გხატავდი;
 ვაიმედე თავი, ვითომ მოხვიდოდი,
 მაინც სიოს ამბორს შენთან ვატანდი.
 ამ ცხოვრებას როგორ შენის სიყვარული
 და ვინც გიყვარს, როგორ გელამაზება...
 რომ გნახავდი, რას გეტყოდი, ვიმეორე,
 ფიქრნი ლაღნი დაუღაგე აზრებად.
 ღამაზია, აბა არა, ეს ცხოვრება,
 ზოგჯერ უნდა დაუფიქრდეთ ამაზე...
 წუთისოფელს სულ სიხარულს ვერ დაარქმევთ,
 ჩვენ, თვითონაც, თუ არ გავალამაზეთ.

მუზა

ძილს უარი ვუთხარი,
 მუზა მყავსო სტუმარი,
 დაწერე და დაგიცდი,
 მაგის მეტი რა ვიცი!
 ღამე მაინც მესტუმრა
 არნახული სიზმართ,
 შენც რომ გამოჰყოლოდი,
 არ ვიცი, რას ვიზამდი...
 რა ვქნა, როცა მუზა მე,
 მე მუზას ვერ ვეხსნები?!
 დილის ცისკარს ვახარე,
 წაგუკითხე ლექსები.
 რა ვქნა, ეს ასეა და
 გულმა ასე ინება,
 ამდამ კი შენზე ფიქრში
 ტკბილად ჩამეძინება.

* * *

მე უარყოფილებს არა ვბაძავ,
სადაც ჯვარი მოსჩანს, იქა ვდგეკვარ,
ჯერ თუ ბაგრატიას ვსტუმრობ ტაძარს,
მერე აღელვებით მივალ გელათს.

უნდა ვინახულო ბებრისციხეც,
ის გორიდან არის არც თუ ახლოს,
უკან არასოდეს არ დავიხევე,
ჩემს ჯვარს არასოდეს არ უარვეყოფ.

რაც წავიკითხე და რაც ვიხილე,
ჩემივე თავს ვუშხელ არც თუ დავით...
მტკვარი: მომტირალი, მოლიღინე
და მზე - მტკვრის ტალღებზე დამხედავი.

მტკვარში: დასისხლული კალმახი და
მინდვრად: დედის ცრემლის ნაწვეთები...
თუ ყოფნა-არყოფნის მივალ ხიდთან,
ჩემი დედის ცრემლით დავშშვენდები.

ზეცა: მოლურჯო და მოცისფერე,
მთვარე: დედამიწის თანამგზავრი...
თვალს თუ ვედარა ვწყვეტ გაშლილ ველებს,
სულის აღელვებით რეკავს ზარი.

შემოქმედებითი ნება-ვნებით
მე დღეს არაფერი მეძნელება,
ციტ ჩამოცვენილი ვარსკვლავები
მიწას დაჰფენია ენძელებად...

რალას ვ(ფ)იწვდე


ახლა რომ არ ხდება აღარაფერი,
მიტომ მდის ცრემლი, არც თუ მცირე მე,
ინდოელები და არაბები
დღეს ქართულ მიწას ინაწილებენ.

ქართველები კი სადღაც მიდიან,
სხვაგან ცხოვრება ლამაზი მოჩანს;
მიწას უცხოზე ისე ჰყიდიან,
სულ ჰექტარ-ჰექტარ,
სულ გოჯა-გოჯა...

ჟამ-ჟამ თურქები მოვლენ მიწაზე
და ჩინელებთან ინაწილებენ,
მე უფლის გარდა რალას ვ(ფ)იცავდე
და მახრჩობს ცრემლი, არც თუ მცირე მე...

კახეთი

თვალეში ფრთხილად უნდა ჩაგ ხედო,
და ცრემლი თუ გაქვს, ამოგიშრალო,
ულამაზესო, თბილო კახეთო,
სიყვარულის და ძმობის ხიზანო.



მარიან კარნასალი

მერე კი გულში უმდა ჩაგიკრა,
ხელი ჩაგიკიდო ისე ძლიერ, რომ...
მე შენთან ყოფნის ვიქეცი ფიქრად,
ერთგულების და ძმობის იერო.

ასე მგონია, მეძახი შენთან,
რადგან ხმა მესმის შენი გულისა.
შხერას ვერ მოვწყვეტ მაგ შენთა ფერთა
გაზაფხულით თუ შემოდგომითა.

თუ ალაზანი გაისვრის შხეფებს,
დე, გავიწუწო მისი შხეფებით,
მე შენში ვხედავ ერეკლე მეფეს
და იმის ოქროს გვირგვინს ვეხები.

მე ჯერჯერობით ვერ ვიტყვი ახალს,
სიტყვა ძველია, მაგრამ გულწრფელი,
ასეთი ვინ ხარ, ასეთი რა ხარ,
ამდენ განსაცდელს რომ გაუძელი...

კლდის წვერებიდან არწივნი ჰყეფენ,
ირემი ყვირის შორი მთებიდან...
თუკი იორიცი გაისვრის შხეფებს,
დაე, დავსველდე მისი შხეფითაც.

თვალეში ფრთხილად უნდა ჩაგ ხედო,
ამოგიშრალო და ამის შემდეგ,
უდიადესო, ჩემო კახეთო,
დიდი გომბორის მწვერვალზე შევდგე.



პაატა სურმანიძე

კატერინე

ქერთებზე და ცისფერთვალეებზე,
 ცისფერთითებით მე მაწერინებ.
 მეტი ყოფილხარ მზისფერ ქალებზე,
 სამოთხის ვარდო ეკატერინე.
 ვიწყებ სიყვარულს შენი საუზნით,
 ვახშმად უფრო მეტს გავიგებ დივან.
 თუთრი გედი ხარ, სენის აუზის,
 მე, ვენეციის შავი გედი ვარ.
 ტოვებ პირლიად ახალ მთვარეებს,
 ხელზე გკოცნიან პარიზელები.
 შენში გრძნობების ვნახავ არეებს,
 რომ მზეში კიდევ არის მზეები.
 ცამდე აყავხარ ეტლის პოდიუმს,
 ცისფერი კაბით მოსავ კამარებს.
 მომკლავს მეტრები, ველი პო — დიუმს,
 რომ უშენობა მომასამარებს.
 გვარად ამური მე შემეგვარდა,
 სისხლი ყოფილა დამის ოფლიო.
 გამხელ სამყაროვ, მე შემეყვარდა,
 პირველი ქალი, თან მის მსოფლიო.

მასხენდებ რაკომლაჯ

ნაბოკოვის ლოლიტა, ანაბელ ლი ედგარის,
 მასხენდება რატომღაც, სიყვარული მედგარი,
 ეტლით, რომ იარება ფეხებზე ვერ შემდგარი.
 ბოროტების ყვაილებს, აკეთილებს ბოდღერი,
 მალბოროთი გულიდან დარდი წამობოლდები,
 მზიდან არ დამაძინებს მთვარის წამობოლდები.
 გიგიგილიოტინეს შენი თავი შენიე...
 ლედი ბენქსის კალთაში გისვამ გი-ჯენ-შენიე.
 და სიკვდილის ჯინაზე ტიტა გიჟენშენიე.

საფო

შენი სახელი ძვირფასო საფო,
 გულისყურით მაქვს საფონებელი.
 დიდხანს ვეძებდი, მიჯნურს და სატრფოს,
 არფის არიფის ამფსონებელით.
 ვარდებმა მორთეს, მთები, პლატონი...
 არ ღირს სხვა ქალი უპის სველებად.
 მეათე მუზას გარქმევს პლატონი,
 მე, კი მიგინევ უპირველესად.
 ნამგალა მთვარე მაფორიაქებს,
 ვშიშობ ნატურის ხე, რომ არ აკაფოს.
 ბედს გავუგორებ საფო იაქებს,
 წყვილმა ვარსკვლავმა ცა აკაფოს.
 თუთრი თითებით საფო თლილია,
 ცის კაბადონი ფოლიოდ გვნატრობს.
 ფართო ფურცლებში აფოთლილია,
 ჩვენი ცხოვრება საფოლიანტო.
 ყოფას მიტირებს უარის ყოფა...
 დამაპყრობიებს მთა-გორს ზიგზაგნი.
 სასწრაფო ფურცელს ძვირფასო საფო,
 საფოსტო მტრედით გამოგიგზავნი.

იადონესა

ვარდზე ლექსს გიწერ იადონესა,
 ბულბულს ნუ მომკლავ საეკლეშიო.
 ცას უმატებდა ია დონესა
 და შენი სული საეკლესიო.
 დარდი რა ცუდი მოსალხენია,
 გულო როგორღა განელო ზურნით.
 გადაეფარა მოლსა ხენია
 და ცისნამები ანგელოზურნი.
 ცას აწვდენს ტოტებს ალვა ვედრებით,
 მოტრფიალვა ფარვანა მზისა.
 გაგვსოთ გულით ალავერდები,
 დაეწუროთ ენა ფარნავაზისა.
 ცას უმატებდა ია დონესა
 და შენი სული საეკლესიო.
 ვარდზე ლექსს გიწერ იადონესა,
 ბულბულს ნუ მომკლავ საეკლეშიო.

იფიგენია

მიპატიმრებდა იფი გენიას,
 ცას აელვარებს ელვა დაისის.
 მსხვერპლად სწირავდნენ იფიგენიას.
 სულს სურს სურნელი ედელვაისის.
 ვაი, ესქილე, ავი ლექსია.
 ისარზე გული მიგიფენია.
 ჩემში ახალი აქილევსია
 და ქუსლი იცის იფიგენიამ.
 დღემდე ვუყვარვარ მაგას მემგონი.
 მინდა, პიკის გულს, ვალეტს მიდამო.
 მსხვერპლად გწირავდა აგამემნონი,
 ქურუმად დაგსვა არტემიდამო.
 ცას გულს უხლიჩავს ელვა დაისის.
 კარს აღარ უხსნის, იფი გენიას.

სულს სურს სურნელი ედღევისის და სიყვარული იფიგენიას.

ოკაუ

გზას მიგვასწავლის ილო კაცია, ალბათ ჩავევლით ათით ოკაცეს. კომპასმაც კურსი ილოკაცია, ბილიკი მოჩანს სათითოკაცე. უნდა შეგეხო, ბოგა, ო, ნებით, ვარ უკანონოდ უკანონო. ლექსი მდიდრდება ბოგანობით, უნდა მისდიო უკან იონო. ამჩნია მთვარის თათი ოკაცეს, რკალად ირეკლავს, რასაც ოსხაპო. ჩვენს შორის ტბაა სათითოკაცე, შევხდეთ, რომ ვინმემ არ ამოხაპოს. ცოლიკაურით უნდა მაცეკვო, პოეტი ბერად, რომ არ აღმეკვეცონ. ოცნებამ ფრთები, რომ არ აკეცოს, მჭადი+ჯვარს გვიცხობს ცეცხლი საკეცო. ოთხი ვარსკვლავით ქარის კაპიტანს, მიჰყავს პოეტი მთვარის საკაცით. შენს აღმოჩენას გარისკავს „პინტა“

ღვინო ფასდება, მაინც ასაკით. მზე პირს იბანდა მთვარის ხელებით, როცა კეკლუცად ცისკარს აკოცე. ცაში ერთმანეთს ქართ ვეხლებით, მიწაზე გულში გვიკრავს ოკაცე.

გულის ნაწილი

იმედის ბინას, ოცნების გვერდით, სუსტი სხივებით ფაცხავს მზე მთიდან. ღალატის არა მცოდნე ვიქნები, გმირი ჩამოვალ აფხაზეთიდან. დღეს სოხუმს მინდა გალას ხელებით, ვუთხრა სალამი, ვწერო ვანიდან. ომზე მშვიდობის არ გახელებით, გვაქვს მაგალითი წეროვანიდან. ის თეთრი დათვი ვერძის აისებს კვლავ დაუპირებს გაისს, ის ინებს! ომს თუ მშვიდობა ეღირსა ისევ, გველი მიწაში გაისისინებს. ჩემი სურვილის და ორაგულის ხორცი შეჭამეს და ფხა ზეთშია. გაყოფილია კვლავ ორად გული, დიდი ნაწილი აფხაზეთშია.



* * *

აღარც სურვილი გიდულს საფარის, გიხმობს დარდების ტუსაღს ქარონი, ასე კვდებიან მიუსაფარნი, ვით ღია ცისქვეშ, უსახლკარონი.

აღარ სასოობ, სარკმელს ბინდნარევს, შენს სულს, რომ ვინმემ მიაყურადოს, მოგონილ წესრიგს სულში ვინ არევს, ქარს იმედებიც მიაქვს სულ, რა დროს.

რად არ ბეზრდება ბედის დირიჟორს, სულში რომ ისევ ქართა ხმებია, ფორტეპიანო, სადღაც, ტირის შორს და ეს სხეულიც არტახებია.

შენი სიჩუმე უკვირთ მდგმურებსაც, შიშისმომგვრელად გათრობს შენ ბვერი, ხარ მარტოსული უკიდურესად და თითქოს ქრები სულის შებერვით.

აღარც სურვილი გიდულს საფარის, გიხმობს დარდების ტუსაღს ქარონი, უხმოდ კვდებიან მიუსაფარნი, ვით ღია ცისქვეშ, უსახლკარონი.



თაა ხასაია

* * *

მიწაზე ხან ვის, ხან ვის ებურა
სქელ საბურველად განცდა-კუთვები,
ჩვენ ყველას გვტყვია თავისებურად,
ზოგიერთებს კი — განსაკუთრებით...

* * *

დღეები ქართაგან გასათელი
გრძნობებს ფოთლებივით გამოჰკვიან,
გრძნობა ცაცხახია, წვა სანთელის,
მაგრამ არაფერი გამოგვიკა.

მოთოკილ ნატვრებით ცრუ ორსული
უშენო წუთებში გონს ვეგები,
ალბათ, იღბალია გულმოსული,
ვერ დავიხეპირე კონსპექტები.

ფოთლები მათოვენ - ხეთა ფოსტა,
მსურს ამ ბარათებში მივიმალო,
არ მიღირს, ძვირფასო, მეტად მოცდა,
იმედს არ მიტოვებ მინიმალურს.

არ შევლის ქარებთან დაზავება
ხმელ ფოთლებს, მიწისკენ მიმართულებს,
მზის სიტკბოს გრიგალთან აზავებენ,
ცხადია, თავად ვარ, ვინც ართულებს.

...არაა ეს მიწა, არც სავანე,
გავყვები ფოთლების მეც, დუინებს,
სევდიან ქარების ქარაგანი
ქვიშისებრ სულში გვაქვს ბედუინებს.

* * *

ვჭ-ს

ავად ვარ შენით, უშენობამ მთლად დამამძიმა,
ვაგრძელებ ყოფნას ინერციით, ვარ ინერტული,
მოწამლული ვარ, ავად ვარ, არ მაქვს ვაქცინა,
სადაც შენ არ ხარ, მეჩვენება ყოველი მტრული.

ავად ვარ შენით, სხვა რადაა, ასე რომ მცოცა,
რომ მაკანკალებს დასაკლავი, თეთრ ბატკანივით,
რომ გულის ჭასთან ვაჭრიალებ ფიქრის ოწინარს
და გულიც ფეთქავს მოუსვენრად ყელთან, კანივით.

ავად ვარ შენით, მონატრების შხაპუნა წვიმით,
გამომყარა გვირილებად, განა ვარდებად,
რომ უცნაური დამთამამებს სახეზე ღიმი
და რომ მომინდა ლაყვარლებში განავარდება.

ავად ვარ, რადგან ვერ ვერევი გონების ჭიდილს,
ვერ გაუგია შეშლილ გულის, ნეტავ რა უნდა,
ავადმოფ სულის ცაზე ვუვლი ვარსკვლავის ჩითილს,
ცისარტყელებით გვერდებს ავუბამ...

ავად ვარ შენით, გაგაღმერთე, როგორც წარმართმა,
როგორც შელოცვით გრძნობით ვკურნავ სულის ნაჭდევებს,
ავადმოფობამ მოსვენების განცდა წამართვა
და უიმედოდ მარტო ვებრძვი შიშების დევებს.

თუმცა ანთიხარ სიბნელეში, როგორც კანდელი,
რადაც ხმა შენით მეუბნება „აქაც ვენები“
და გულს უეცრად წამოსცდები, როგორც სკანდალი,
მაშინ როდესაც ბაგეები არ გახსენებენ.

ისრით დაჭრილი, მომღიმარი ღამით რუ ვხდები,
მლაშე ცრემლებით დამებუბა ორივ ღაწვიო,
ავად ვარ, რომ შენც იმედივით გამიცრუვდები,
მაგრამ რატომღაც ძალა არ მაქვს ზურგი გაქციო.

* * *

რა მიაძიებები არიან ფოტონი,
ერთგულად გვიმზერენ წარსულის ალყიდან,
სანამ გაგვიტაცა ქარმა, ვით ფოთოლნი,
სანამ დრო ყასიდი სიმშვიდით გაგვრყვნიდა.

შენახულ იდუმალ ფერებით, ბალზამთა,
არაფერს არ ვგაუარო, რომ გადავსხვაფერდით,
მხურვალე გულებში რომ უცბად დაზამთრდა,
სამყაროს დავთარში რომ სხვადასხვას ვწერდით.

რა ესმით სიჩუმის, გულგრილი დალატის,
არც ის, რომ ფოტოზე მყოფთ აღარ ვახსოვართ,
რომ გავხდით უნაზეს გრძნობების ჯალათნი,
თითქოსდა გვიმსხვერპლა აჟმა კატასტროფამ.

არაფერს ვამეტებ, ჩემიდან შორს ფლიდი,
თუ ვტყუი, სიკვდილმა მიწამოს მაყარად,
ფოტოდან მიღიმის, მეგობრად რომ ვთვლიდი,
თითქოს რომ ახლახან მიწა მომყარა.

* * *

ვჭ-ს

დრო-ჟამი რთავდა ხსოვნის სუროთი
გრძნობის სასახლის სამეფო ტინებს,
და ღმერთმა იცის, როგორ მწყუროდი,
რომ ამ სიყვარულს წავეპოტინე.

თუმც, სიყვარულის ვიყავ კი ლოთი,
საფლაოც ვიყავ, გრძნობებს ვინც მარხავს,
დღეს მინდა გითხრა, ბავშვურ კილოთი:
„ჩემო სიცოცხლე, მე შენ მიყვარხარ.“

* * *

ჩამოიშალა სიყვარულის მზის პირამიდა,
ცის ტატნობებთან ოცნების რომ სილამ აზიდა,

ახლა ისე ვარ, გაფიქრებაც კი აღარ მინდა,
რა გადარჩება ჩემი სულის სილამაზიდან.

არ მსურს, სამყაროს ტკივილებით ისევ მოვბეზრდე,
რადგან არ ძალმიძს, ჩვეულებრივს ვეფერო ვნებას,
ბინას დაიდებს ჩემი სულის ცისფერ მოღებერტზე
უდაბნოსავით გაწოლილი ერთფეროვნება.

* * *

ემარცვლე დღეების კრიალოსნები,
ვეურცლე გრძნობათა ხელნაწერები,
ჩამომსხდომიან მწკრივად ფრთოსნები,
სულში, ვით ბედის სხედან მწერლები...

ველი განაჩენს მომაბეზრებელს,
სანამ ველური ცეცხლით ვინთები,
მე ვერ დავაცლი მოსვლას ბელზებელს,
მე გაფერინდება...

* * *

სხეულიც ხდება უფანჯრებო ყოფნის პალატა,
ხანდახან ვკარგავ ყველა უნარს რამის შეგრძნების,
როგორც ტკბილეულს, ბავშვობაში რომ მიმალავდნენ,
სულ პაწაწინა, სულ ერთ ნამცეც სიხარულს ვემბე...
ზოგჯერ ვბარბაცებ, როგორც მთვრალი ღვინის ბახუსით,

* * *

არ უნდა გაგეშვი, დედა!!! არ უნდა გაგეშვი, დაო!!! არ
უნდა გაგეშვი, შვილო!!! არ უნდა გაგეშვი, ძმაო!!! არ უნდა
გაგეშვი, მამა, არ უნდა გაგეშვი, ქმარო!!! არც შენ უნდა
გაგეშვი, სიყვარულო!!! არ უნდა გაგეშვი, საშობლოვ!!!
რომ ჩემს ნაფეხურებში ბალახი არ ამოსულიყო, ჯერ-
აც ცოცხალი მოგონებად არ ვქცეულიყავ, რომ სიზმრის
სიცხადედ და ცხადის ბოდვად არ მქცეოდით, რომ მიშ-
ვებდით, სად მიშვებდით ან, რომ მცოდნოდა, ასე დიდხანს,
ასე უსასრულოდ, არ წავიდოდი, მე არსადაც არ წავიდო-
დი... ასე ერთსულოვნად როგორ შეკარით პირი ყველამ,
ასე ერთხმად როგორ ამოგვიდით პირიდან „ნახვამდის“,
ასე გმირულად ან იქნებ ძალისხმევის გარეშე როგორ შე-
ძელით ჩემი სითბოს გარეშე, როგორ გამაქრეთ ოჯახუ-
რი შეკრებებიდან, დღესასწაულებიდან, სადილებიდან,
დილის ყავის სმიდან, საოჯახო რიტუალებიდან, ეზოე-
ბიდან, ქუჩებიდან... როგორ დავიკარგე, იმ საღვურს ვერ
ვპოულობ, საიდანაც გამიშვით. რა დრო გასულა. ნაფეხ-
ურებში ბალახია ამოსული, თვალეებში ზაფრა: - ვაითუ,
დაგჭირდეთ, ახლოს არ ვიყო, როგორც ბებიას დაგჭირ-
დი და ვერ მოვეფერე, ვერ მოვუარე, ვერ ჩავიხუტე მისი

დიდი ხანია, ველარა ვგრძნობ ფეხქვეშ სიმყარეს,
ნუ მეკითხებით, მაგრამ მაინც არ მაქვს პასუხი,
როგორ ვახერხებ, რომ სიცოცხლე ისევ მიყვარდეს.
ქარო, ჩადექი, ნუ მილეწავ სულის დარაბებს
და სასწაულით შემორჩენილ იმედს ნუ აზრობ,
მერე რა მოხდა, თუ მიქადის ყოფნა არაფერს,
თუ შემიძლია, რომ მიყვარდეს ასე — უ ა ზ რ ო დ!!!
მაშინ, როდესაც სხეულიდან გასასვლელს ვემბე,
სული ცას ელტვის და მიწაზე არც რა სჭირდება,
ვინმე მჭირდება, შესაცნობად ჩემივე „მესი“,
როგორც უფსკრულთან ხავსი ხელის ჩასაჭიდებლად!!!

* * *

გულგრილ ფიქრებში გამხვია,
ყასიდ სიმშვიდის მერდინმა,
არ ვიცი, მუდამ თვალღიას
წუხელ ტკბილად რად მეძინა..

სანამ არ მომიხატავდი,
ცას ლურჯ ფერებით, ბარს - ბაცით,
სიზმრიდან, მგონი, სახადი
ამყვა, დავდივარ ბარბაცით..

მისთვისაც გაუბედავი
ნატურის კოშკები ვაშენო,
ვინ შეგვიყვარებს ნეტავი
საჩემოსა და საშენოს?...

გალეული სხეული... მარტო ბებია არ მიშვებდა, მაგრად
ჩამებლაუჭა, აწი ვერ გნახავო, წავიდა და მიმატოვა, წავედი
და მივატოვე... ჩემმა თავმა, არ ვიცი, როდის გამიშვა, იმ-
იტომ რომ ალბათ, არასდროს ვიყავი თქვენს მერე ისეთი,
როგორიც თქვენთან... ვაითუ, დაგბრუნდე და ვერ მიცნოთ,
ისეთი არ ვიყო, როგორიც ვიყავ, თქვენი შეცდომა ვარ,
ჩემი შეცდომა ხართ, არ გყვართ, არ მყავხართ... ბებოს
გარდა არავინ მიჭერდა, დარჩიო, არასდროს, ბებოც წავი-
და... ყველა მყავდით და ჩემზე მდიდარი არავინ იყო. თითო
მუჭა სიყვარული ყველასგან წამოვიღე. ეს იყო საგზალი...
ძვირფასი ბარგი, განძი, საბადო... წლებმა გამძარცვეს,
შემომეფლანგა, შემომაცვდა, გამოიფიტა ჩემი წიაღი...
ვიპოვი დასაბრუნებელ ბილიკს და ფუი ეშმაკს, ნიშნად
ცრურწმენის, სამჯერ მარცხნივ გადავაფურთხებ, თუ ვერ
მივაგენი, იმედის კვარი მაინც იბჟუტებს გვირაბის ბოლოს,
სანამ მიხსენებთ, სანამ სულ მთლად გაგიუცხოვდით... სა-
ნამ უდაბნო ვარ, უქარაქვეტო, უოაზისო, დავიწყების ცხე-
ლი ქვიშის ბარხანებით... უსამშობლობის მძიმე ლოდებ-
ით... უმინაობის სიმყუდროვით... არ უნდა გაგეშვით!!! არ
გაუშვით თქვენი სულის ნაწილები, ქართველებო!!!

ნათია ღაშნიანი

ნათია ღაშნიანი დაიბადა 1987 წლის 5 ნოემბერს ცაგერში. 2005 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, ხოლო 2008 წელს — ლადო ასათიანის სახელობის პროფესიული კოლეჯი პედაგოგიკის განხრით. ამჟამად მუშაობს ცაგერის კულტურის სახლში. მღერის ფოლკლორულ ასნაბლებში — „მერდინი“ და „სალადობი“. ლექსებს წერს ადრეული ასაკიდან.

* * *

სიცარიელე ჩემში ახლა ჩემზე მეტია -
უპაერობა დასწვევია გულსა და ფილტვებს,
როცა თვალები გაზაფხულებს აღარ ეტრფიან,
უფერულ დღეებს რიგრიგობით
მუხლებზე ვიმტვრევ.
მერე ჭრიალით გამოვადებ
სულის დარაბებს,
მზე გადაიქნევს ძველ მარაოს, გამოყრის კვირტებს...
დღეს მოლოდინიც ისეთია
არ ჰგავს არაფერს,
სიცარიელით საუსე ვარ და
სამყაროს ვიტევ.

* * *

შენ ჩემო სვედის ყვავილო,
ვაი, რა მალე მიკვდები,
თოვლის ალერსით დაღლილი
დაჭკნები, გამიფითრდები.
იჲ, ზამთარი მომწყინდა,
გულს შემომაწვა ფიქრები,
შორს გაგიტაცებს ნიავი,
გინატრებ, აღარ იქნები.
ხედავ? — მთა-ბარი შემოსა
ამ გაზაფხულმა ფარჩებით,
მახარებს შენი შემოსვლა,
წახვალ, ტკივილად დამრჩები.

ზაღოხად ქრეული კარი

წამოწვა მიწაზე და იქცა ბალახად
ვიღაც ნაცრისფერი კაცი,
მოვარდა სიკვდილი დაღლილი რა ნახა,
აღარც მოსვენებას აცლის.
გარემოს ყვავები იკლებენ ყრანტალით,
სული რომ ბარდება პატრონს,
გამრჩევი არ არის იქ მტყუან-მართალის, —
ბალახში კაცია მარტო.
ცოტა ხანს სიკვდილსაც ებრძოდა თავხედად,



სოცოცხლეს წუთებზე დათვლილს
შესცინა, მერე კი გულგრილად გახედა
ნახევრად გათიბულ სათიბს.
მოვარდა სიკვდილი, დაღლილი რა ნახა,
გულს უმზერს სისხლისგან დაცლილს,
წამოწვა მიწაზე და იქცა ბალახად
ვიღაც ნაცრისფერი კაცი.

* * *

არსად გაგიშვი -
გულში ქარიშხლის
სუნთქვას მაღაგდა
ბედი თავხედი,
შენ დარჩი, მაგრამ
დრო გავიდა და
წასვლა რომ გსურდა,
მაინც წახვედი.
ვინ იცის, იქნებ,
სადმე შემოგხვდეს
ქარს აყოლილი
ჩემი სურნელი,
ან მოგენატროს
მზე ქარვის ბაღში
და დაბრუნების იყო
მსურველი,
ვინ იცის....

ჩიტები თოვლში....

ჩიტები თოვლში....
თოვლი ჩიტებს აღარ უხდება
და გაყინულა გულყვითელა
სითბოს ლოდინში....
წუთისოფელიც თითქოს ჯიბრზე
უფრო მუხთლდება,
მე თოვლსაც ვეტრფი
(ბელურებო თქვენთან ბოდიში)

სუსხიანია ეს ზამთარი,
 ქრიან ქარები,
 თან ისე ყინავს, ყველა
 სულდგმულს სუნთქვას უჩერებს,
 გარეთ ნუ გახვალთ,
 მსუბუქ თოვლით დაიფარებით,
 თეთრი თებერვლის
 მაცდურ ჩურჩულს ნუ დაუჯერებთ.
 ათრთოლებული ხელით პაპა
 დაანთებს ბუხარს
 და ჩაიჩოქებს შვილიშვილი
 პაპის მუხლებთან,
 ოჰ, რა კარგია, ჩიტუნია,
 ზღაპარში თუ ხარ —
 გარეთ ისევ თოვს,
 თოვლი ჩიტებს აღარ უხდება.

* * *

მზემ წყარო პეშვით დალია,
 გვერდზე გადიგლო ნაწნავი,
 მზე — ერთი ციდა ქალია,
 წყაროზე უყვარს წანწალი.

სენს შეგერის, აღარ მოგარჩენს,
 არც სიკვდილის გზას გასწავლის,
 შემოგხედავს და სიცოცხლევ
 მშენიერია მასავით.
 მზემ წყარო პეშვით დალია..

* * *

როცა ატირდა ჩვენი
 ღმერთი. წვიმა მოვიდა,
 შიშველ კლდეებზე
 მოიკიდა ფეხვი ხვიაარამ,
 მკვდარმა ბუნებამ ამოხეთქა
 სიმარტოვიდან და განწირულმა
 თებერვალმა დაიღრიალა.
 ნელთბილ ძარღვეებში
 გაგვიყინა სისხლი სიცვიემ,
 ეხარჯადით დღეებს,
 სინანულს კი არ ვაპირებდით,
 ატირდა ღმერთი. როს
 იხილა ჩვენი სიმცირე,
 ასე ლამაზად მხოლოდ
 ჩვენ თუ ავატირებდით.

ლექსო გელაშვილი

ლექსო გელაშვილი. დაიბადა 1968 წლის 27 აგვისტოს, სიდნელში. წარმოშობით არის სოფელ ბოდბისხევადან. დაამთავრა რუსთავის №17 სკოლა, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: გეოლოგიისა და ჟურნალისტიკის განხრით. არის დამფუძნებელი დოკუმენტური ფილმების სტუდია „გუთანის“. მუშაობს ქვემო ქართლის ტელეკომპანიაში საავტორო გადაცემით. ყავს 4 შვილი. მისი გულის სითბოა ახლადგარდაცვლილი მეუღლე, რომელიც ქვეყანას ურჩევნია და აცხადებს, რომ სიყვარული მარადიულია და მისი ბედნიერების წინაშე სიკვდილი უძლეურია... ამჟამად მუშაობს ახალი სახელმძღვანელოს დასაფუძნებლად - „სამშობლოსმცოდნეობა“, ამ საგანს ასწავლის რუსთავის ოთხ სკოლაში და აქვს ერთადერთი მიზანი: ღირსეულად მოიხადოს თავისი ვალი ღვთისა და ერის წინაშე.

ღუელი

მაისს ყოველთვის ახლავს ხალისი,
 წელს არ მოვიდა მაისი ვარდით:
 შემოდგა უშნო სიდარბაისლით,
 შემოიტანა სევდა და დარდი.
 შემომყურებდი განაწამები,
 მაისის დარდი არ გქონდა დაღლილს,
 ღონემიხდილი გქონდა თვალები
 და ჩუმი კვნესით იძვროდა სახლი.
 მერე მაისი წელში გადატყვდა,
 გაუსაძლისი გახდა დროებით.
 შენ ლოგინიდან ვეღარ დგებოდი,



წუხდი ბავშვური უმანკობით.
 მაისის დამლევს შენც დაილიე,
 როგორ გინდოდა მას გაჰყოლოდი,
 მაგრამ მაისი ისე გალიე,
 ვერ გამიმეტე მაინც ბოლომდის.
 ფენისის ორი მოვიდა თრთოლვით,
 ყოველი ლაქა თეთრად დაფარა
 და ღვთაებრივი შეება-ნუგეში
 ცის ყვავილებად გადაგაფარა.
 ახლა აგვისტო გადასცდა თხუთმეტს,
 ვერ ვურიგდები მაინც მაისებს.
 ჩემს დაობლებულ ცხოვრებას უტევს
 შენი ტრფობა და სიდარბაისლე.

გა-ხელოება

(ანუ ხელებად ქცევა)

ჩემი ოცნება აცეცხლისფერდა
და შენს თვალეებში ნახა სამზეო,
მზად ვარ შენი მზით სულშებრაწულმა
ზამთრის მკლავებში ვითანამზეო.

მზად ვარ შევერწყა აპრილის სუნთქვას
და ხელახალი ვიგზნო კვირტობა,
ნუშის გადამსკდარ თითებს ავართვა
აყვავებული ფავორიტობა.

მზად ვარ მზის თვლემას მზერად გავაწნა
შენი თვალეების ცეცხლის მკლავები,
ფარშევანგებად ვაციისარტყელო
ღამის ცივი ცა და ვარსკვლავები.

შენ ღირიფორობ ჩემს განახლებას,
ნალვერდალს აყრი დაშზრალ თითებზე,
ცეცხლის ქოშებით მოექანები
ჩემს სულგაყინულ ლაბირინთებზე.

იწვება ზამთრის პირველი ღამე.
ღღეს ჩემს ხელებში ხელები ენთო.
შენ ღღეს მზედ მოხველ... დეკემბრის პირველს
შენი თითების ცეცხლი მოედო.

როველი

ეგ შენი მზერა შეთვალულა ვით სართვლო ვაზი
და ჩემს თვალეებში იწურება მზენასვამ ლექსად.
სუნთქვად მომართვი შენი მწიფე თვალეების თასი,
რომ სუნთქვით შეესვა.

ღღეს შენი მზერა არის სულის თქმა და მხილება...
ჩემს საწნახელში გექვენება ქორფა მტვენები.
ვერ ეგუები დატკობობას და.... მზერაში მიტევე
მზის სატვერებით.

ღღეს შენი მზერა მერკინება სავსე თასიდან,
დაღვინებულხარ, ახლა მაინც ღამითმე მზერა,
თორემ მთვრალი ვარ, მაგ სიკერპეს ვედარ ავიტან
და დაგცლი ხელად.

მზის ღვინო

შენ გაიშალე, როგორც მზის სხივი
ჩემი ყრუ სარკმლის მზერას ეშლება.
მე ის მზერა მწვავს ფარული ხიბლით,
პირმშოს სუნთქვას რომ გადაეშლება.

შენ დაიღვარე სართვლო ყურძნიდან,
ცის საწნახელში მარცვლებად გწურეს
და ვით მზის ღვინო, პირდაპირ ციდან,
ჩემს ხახვამშრალ გულს დაგაწურეს.

შენ მორთველე, ხარ დედა ვაზი,
ეფოფინები დედაშვილობას,
თან ღვთისმშობელმა გიძღვნა სიმშვიდე,
რომ მოუარო ჩემს შემლილობას.

შუბლს შვებით იხსნის დიდი შაბათი,
ხვალ აღდგომაა, მე კი კვლავ ვქარობ.
შენ ხარ ჩემი მზის ღვინის ღაზათი,
უნდა დამათრო და დამაწყნარო.

ერთგულეება შენი მეტკბილეება ისე

გახმაურდა კარი, იქნებ დამრჩა ღია,
შენი წასვლის მერე აღარავის ველი.
ჩემი გული შენით ისე ავსილია,
როგორც ბზობის დილას - ტაძრის შესასვლელი.

გახმაურდა კარი, შენზე ვფიქრობ ისევ,
ჩემი გული აწი აღარავის ელის.
სურნელება შენი მახვევია ისე,
ვით ხატის წინ სანთელს — კვამლი საკმეველის.

გახმაურდა კარი, შენთან მინდა ისევ.
ტკივილებით სავსე მეტს არაფერს ველი.
ერთგულეება შენი მეტკბილეება ისე,
ვით მონაზონ ქალწულს — დედა ღვთისმშობელი.

სა - დიდ - დედო

ცელქი კვიცივით დამიფრთხა ძილი,
გულს მიფრიალებს ძველი იარა.
თბილისის თუ სტკივა მტკვრის მოძახილი,
მე ალაზანმა გადამიარა.

მახსოვს ქიზიყში დამეჭრა გული,
იქ სადაც ნინო ტიროდა ოღეს.
წნორებმა მითხრეს — ეს სიყვარული
არ მოშუშდება აღარასოდეს.

სისხლში მცხეთური მიღულს მზე — ჯიში,
სულში თამარის გამყავს უბნები.
ჩემთვის კი კახეთს, ჭალების ჩრდილში,
ქეთუვან დედას ვესაუბრები.

ღღეს ჩვენში ძველი სუნთქვა არ არის,
შეირყვნა თეთრი სულისკვეთება.
ერს აღარ უყვარს დედა თამარი,
დედა ნინო და დედა ქეთუვან.

ამ სამი დიდი დედის მადლია,
ჩემში რომ რეკენ გლოვის ზარები
და ალაზანზე ქვეყნის ბედ-იღბალს
დედა ღვთისმშობელს ვემუდარები.



ნათალი დარასელია

ნათალი დარასელია დაიბადა 1997 წლის 27 სექტემბერს, ქალაქ ზუგდიდში. დაამთავრა სოფელ ჯუმის საჯარო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო პროფესიული განათლება და დაეუფლა საექთნო საქმეს კოლეჯ „გამაში“. წერა ცამეტი წლის ასაკში დაიწყო, მისმა ცხოვრებამ აიძულა თავშესაფარი პოეზიის თბილ კედლებში ეძებნა. ამჟამად ეწევა თვითგანათლებას, დაინტერესებულია ადამიანის ფსიქოლოგიით, ცხოვრობს ზუგდიდში.

* * *

მზემ ჩემი წილი ყოფა დაწრიტა
და ამოხაპა სითბო ტანიდან,
ნეტავ, ამ სულის უცხო ტაძრიდან
ღმერთი ქვასავით გამატანინა.
ეცლება კანი ფოთლებს და რაშიც
ვაპოულობ მიზეზს, კვლავ ფეხზე ვიდეგ
სიმღერითა და თამაშ-თამაშით
წამიყვანს მალე უფრო ზვეითკენ.
შეება არასდროს არ განმიცდია.
ბედნიერების მახსოვს სიმცირე
და თავდახრილი ჩემი მიწიდან
გადავდიოდი სხვისი მიწისკენ.
ვიდექი მუდამ ობოლ ჭასავით
და ყველა ბაგე ფურთხით მაგსებდა,
მე მიფერინავდი შეუბოჭავი
სხვა არსებობის დასაარსებლად.
მე მიფერინავდი, როგორც ფოთლების
ყვითელი ჯარი, ქარის მხედრები.
დღეს წარსულისგან არ ვიოფლები,
არც მომავლისკენ არ ვიხედები.
უარაუბნო ვრჩები კვლავც და
ვხურავ წამწამებს, ცრემლის ომონიმს.
მე სულში შფოთი მომიკალათდა,
რომ საკუთარ თავს მოუუგო ომი.
მზემ ჩემი წილი წყარო მოხვრიბა
და ამოხაპა სითბო ტანიდან.
ნეტავ, ბავშვობისფერი მუხლები
უფლამდე მანაც ამატანინა.

* * *

ჩემკენ მობრუნდი, შენს ზურგს ჩემი თითის ჩერო აქვს
და ჩვენს საწოლზე, ორი წყვილი ცრემლით მოგიშვი,
ეს ჯანყის მსგავსი საუბრები რა საჭიროა,
როცა მოვდივარ დამსხვრეული, სუფთა ბოდიშით.
ჩემკენ მობრუნდი, კედელივით ნუ აღმიმართე
შენი კეფა და ზედ შემზმარი სველი ღრუბლები.
დღეს უფალივით, მხოლოდ ერთი არის სიმართლე,
არის სიმართლე, იმიტომ რომ არ გეუბნები.
ხერხრმლის რკალში უძილობა რადგან გაუცვრი
და დიდხანს კართან, შენ მაგვირად იდგენ ჭინკები,
არც რაა ახლა მოსაყოლი და დასაწერი,
თუმც რომ გაეჩუმდე, უფრო მეტად გამიჭირდები.
სძინავთ ჩვენს შეილებს — ბეჭებშუა ჩახერგილ სფინქსებს,
ისრებს საათის, გაჩერებულ ღროთა მეჯლისით,
გემუდარები, ამ ბოლოჯერ შემიწოდო იქნებ,
რომ გვალატობდი და სინდისის ნაცვლად მქენჯნიდი
შენ. გაცხელებულ ბუხრის თავზე დგანან შანდლები
ჩამწვარი ღვეთით, ჩამარცვლილი თვალთა გუგებით.
მე საკუთარ თავს, გეფიცები, ვერ ვესარჩლები
მინდა გითხრა და ამჯერადაც ვერ გეუბნები:
რომ ჩვენ საწოლზე, სუროსავით, გაწვენ ტკიპები.
ჩვენი შეილები, პირველ ნაბიჯს დგამენ უმშობლოდ.
ისე დამაკლდი, აღარასდროს არ მეტკინები,
როცა ტანიდან დაგუბებულ წუხილს მიშვებენ.
ჩემკენ მობრუნდი, ქრისტესავით იქნებ შეძლო და
შემინდო, შენს ზურგს ჩემი თითის მძაფრი ჩერო აქვს,
რადგან წესია აპატიო, მას ვინც შესცოლა
და დანარჩენი? დანარჩენი რა საჭიროა.

* * *

შენ დგახარ ახლა თვალების მიღმა
და გსურს გაშორდე დაგვიმოდ ამ ბრბოს.
შენ, ანგელოზის იდეას მიმღვრე
და სანუგეშოდ არაფერს ამბობ.
მე ვდგავარ, როგორც დასჯილი ბავშვი
და მოჭრილ ფრთათა სისხლი არ მიჩქეფს,
ვხსნი დღეებს შორის იდუმალ კავშირს,
რომ წინ წავიდე მეც სიჩქარისკენ
იქ, სადაც ისევ არავინ არ დგას.
გამომწვევდელი კანში მიმიკა,
ერთავ უძილობის გულცივ დანადგარს,
რომ მოუხეშავ ფსკერზე მიმიკრას.
ვიჭერ მე შენი სხეულის წიბოს,
ვიჭერ მე შენი ცხოვრების ფარფლებს,
რომ ამოგლეჯილ ღმერთს მივაწებო,
ვით ქარის შიმშილს ცისფერი ფერფლი.
შენ დგახარ, როცა წარბთა ქორდიდან
აიშვა სევდა — თოვლი პირველი.
იდგა წყვილი და სულს კორტნიდა,
როგორც გადაყრილ ნამცეცხს ფრინველი.
შენ დგახარ ახლა თვალების მიღმა,
მზე ანგანთებდა გარეთ ვიდრე და
მესმის ჩურჩულით, სადღაც შენი ხმა,
ვით განწირული კაცის ვედრება.

* * *

მიდევს საფერფლე, შიგ ჩამქრალი, ჩემი ცხოვრებით...
 უნდა მიშველო!
 უნდა შეძლო!
 უნდა გიყვარდე!
 როგორც მომაკვდავს, ღმერთების ხმა, მემახსოვრები
 და სანამ ჩიტებს თბილ ქვეყნებში გამირიყავდე.
 უნდა მიშველო! კრამიტ აშლილ, ვწევარ სახლის ქვეშ
 და გულის პირზე მასვენია მწიფე სტრიქონი,
 გარეთ კი ღვება ამინდები, როგორც აღვნიშნე
 ვერ მპატიობენ, რომ მზე აღარ გამოვიგონე!
 ცდა არ მიჭირდა, მაგრამ არც კი მომესურვილა...

ასეა, ზოგჯერ საკუთარ თავს ვფლანგავთ დროსავეით!
 მე შენი ნეკნებ დამტვრეული, ყოფის სული ვარ,
 თოვლი ვარ, შენ რომ უმწეობას შეგიმოსავენ...
 მიშველი ფეხით დგას მოყინულ ტოტზე მამალი,
 ფანჯრებზე ორთქლი ისე გაწვა, ვით სითბოს ხარჭა,
 მივხვდი, ვინც უყვართ დღენიადაგ იმას მალავენ,
 მე კი პირიქით, ჰაერივით, ყოველ წამს გხარჯავ...
 მიდევს საფერფლე, შიგ ჩამქრალი ჩემი ცხოვრებით,
 უნდა მიშველო!
 უნდა შეძლო!
 უნდა გიყვარდე!
 როგორც მომაკვდავს, ღმერთის ექო, მემახსოვრები,
 სანამ ბელურებს თბილ ქვეყნებში გამირიყავდე...

თვითმკვლელის სიმღერა

არის ცხოვრება, არის გაძლება, არის ყოფნა და არ ყოფნაც არის,
 როცა ცეცხლს უნთებ ჩამქრალ სხეულებს და შენ სანაცვლოდ გრჩება ნაცარი.
 არის დღეები, როცა საკუთარ დაბზარულ ნაჭუჭს თითუბით ფხრიწავ
 და დაბადების პირველი დღიდან, ვერ მოშორდები სისხლიან მიწას.
 ღამეც ხომ არის, ობოლ ტკივილთა და ცალ მკლავება ღმერთთა ტრიადა,
 ჭებიც არიან, მშრალი სიღრმით და ცივი ღორბლით რომ დაგატრიალა.
 არიან სხვები, სხვა ფიგურები, მართი კუთხით და სიყალბის წრეთი,
 მათში ზღვა არის სიბრალულისა და თანაგრძნობის არ არის წვეთი.
 დაუდივარ, მჩატე ყვავილებს ვემებ, რომ ნაბიჯების დარბილდეს ჯვარცმა.
 დანაშაული სხვების კი არა, დანაშაული ჩემია, რაც ვარ.
 ვინიშნავ ფოთლებს, ამინდებს, ჭიშკრებს, ეზოს, სახეებს დედის და მამის,
 ზღება ისეც რომ მათი თვალები არიან ჩემი ცივი სამარე.
 შექმედი დღემდე, თუმიცა არასდროს წარმომედგინა, თუ კი შევძლებდი,
 დღეს უფლება მაქვს, ცისფერ კუბოში ჩავაწყო ჩემი დაღლილი ძვლები.
 აღარ ვიტყვებ დასერილ ფრთაზე სიმაღლისა და შიშის შეზოცვას.
 მე ვრჩები მარტო საკუთარ სულთან და გტოვებ უფრო მართალს შენს ხორცთან.
 გადარეკავენ სადღაც უფსკრულებს და დიდი სევდით დაჩეკილ ბარტყებს,
 ამაცლის ქარი ხმელი კანიდან და უკანასკნელ იმედს წამართმევს.
 არ იყო ასე... ბევრი ვეცადე, დაფრუვდა ყველა, ყველა დაბრმავდა.
 არავინ იყო რომ გაგონა, ჩემი ყვირილით თქმული — ავად ვარ.
 დიდხანს ვიჯექი საკუთარ ფსკერში და დღემდე ყველა მოკვდავი მახსოვს,
 ვინც უცაბედად იბრუნა პირი
 და არასოდეს მოსულა ახლოს.
 მოფრინდებოდნენ ხოლმე ჩიტები, პურის ნამცეცხით საუსე ნისკარტით,
 მოჰქონდათ სველი ბუმბულის ფთილა და საკუთარი თავით რისკავდნენ.
 დიდხანს ვიარე, შექმედი დღემდე, ცრემლის ღოდები აქ მომეზიდა.
 ხან ვიშვებოდი ეშმას მუცლიდან და უფრო ხშირად ანგელოზიდან.
 მაინც ვერაფერს ვუხერხებ სურვილს, რომ გავეცალო ყოველ სიბერწეს,
 ვალაგებ დანებს, თოკებს, სიღრმეებს და თვითმკვლელობის სიმშვიდეს ვემებ.
 ჩემი სხეული იქნება ცივი, ჩემი სხეული იქნება ვით ქვა,
 დამაცხრებიან თბილი თვალებით, როგორც აქამდე საჭირო სიტყვას.
 მე წამოვდგები სულის ამარა, გვიანი არის! გვიანი არის!
 მე გავიჭრები ყველა ღრიჭოდან ხეთა ტოტებში, როგორც ნიაგი.
 დარჩება ყველას მოგონებების შავი მური და რუხი ლაქები,
 თქვენ მეცოდებით, თქვენ ვინც ჩემსავით
 მარტოსულობით გაილახებით!
 მე მივეჩვევი ვეღარ განძრევას და ყავისფერი მიწის ურდულებს,
 დაურჩები, როგორც მთელი ცხოვრება, მიტოვებული და გაქურდული
 და მომიტყვეთ და შემინწყალეთ... შემინდეთ თქვენი ბედის ანაბრად
 მიტოვება, რომ ამ მიტოვებამ ყველა თქვენგანთან გამათანაბრა.
 ვერ შემაჩერა ორთქლმა კუპრის და ვერც ზმანებებმა ჯოჯოხეთისამ,
 ილოცე დედა, რომ მე იქ მაინც აღარ გამაკრას ჯვარზე ძე ღვთისამ.



სადეჟე ჰელაიათი

უსახლკარო ძაღლი

ვარამინის მოედანზე რამდენიმე ყასაბმა, ბაყალმა, ხაბაზმა, დალაქმა და ყავახანის მეპატრონემ ერთგვარი ამხანაგობა ჩამოაყალიბეს, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ და გაჭირვების ჟამს ერთმანეთს მხარში ამოსდგომოდნენ.

იმ წელს თეირანში საშინელი სიცხეები დაიჭირა და მთელს ქალაქში ნამდვილი პაპანაქება ჩამოდგა. დასიცხული ადამიანები, ცხოველები, თუ ფრინველები, დღისით ხეტა ჩრდილებს ეფარებოდნენ, ხოლო სადამოობით გრილ ნიაუს ეტანებოდნენ. ვის ჰქონდა ან ყიდვისა და ან გაყიდვის თავი, ამიტომაც საუაჭრო დახლები და მალაზიები თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ცხელი ჰაერი და ქვიშის მტვერი არ აკლდა აქაურობას, რადგან მანქანები გამუდმებით დაქროდნენ და მთელს გარეუბანში მტვერს აყენებდნენ.

მოედნის ერთ მხარეს დიდი ბებერი ჭადარი იდგა. დაკოჟრილი ტანი მთლად ფულუროდ ქცეოდა, სამაგიეროდ, თითქოს ბედს ჯიბრში უდგასო, თავი მაინც ხშირი ტოტებით დაეფარა, თუმცა სიცხისგან ისიც უძრავად გარინდულიყო.

ხის ქვეშ დამტვერილი და დალაქული ფართო სკამი

იდგა, აქვე კი რაღაც ხმები მოისმოდა: ორ ახალგაზრდას რძე, მოხარშული ბრინჯი და მოხალული გოგრის მარცვლები გამოეტანა გასაყიდად. პატარა რუში ჭუჭყიანი წყალი მოწანწკარებდა, რუს პირას კი დასიცხული თხები უგემურად წიწკნიდნენ გამხმარ ბალახს.

იქვე, განცალკევებით ვარამინის ცნობილი კომპი იდგა, რომელსაც ნახევრადდაბზარული ცილინდრისებრი ტანი და კონუსისებური თავი მოუჩანდა.

ისეთი საშინელი ხვატი იდგა, რომ ბელურასაც კი, აგურებს შორის რომ შეეუყულიყო, გამოსვლა და გაფრენა არას დიდებით არ სურდა.

მთელს გარეუბანში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან მხოლოდ ძაღლის შესაბრალისი ყეფა თუ არღვევდა. არ გეგონოთ რომ ეს უბრალო მაწანწალა ძაღლი იყო, არა, სუფთა შოტლანდიური ჯიშის იერი ჰქონდა, რუხი, ფეხებზე შავი ხალებით, თითქოს ეს-ესაა ჭაობში ურბენია და ტალახი ზედ მიჰკრობიაო. ყურებდაცქვეტილს ნიავისთვის მიეპყრო სმენა, ოდესღაც მზინვარე ბეწვი ახლა ჭუჭყს შეელახა, სამაგიეროდ თვალები ისეთი ჭკვიანი ჰქონდა, რომ შემხედვარეს მათში ლამის ადამიანური გონიერება დაენახა.

დღისით არაფერი, მაგრამ როდესაც შუალამე მოაწვედა, მაშინ მასში უზომო მღელვარება იღვიძებდა, სიცოცხლის ყოველგვარი წყურვილი უქრებოდა და ახლა უკვე ჭკვიანი თვალებიდან ტკივილით სავსე სული მოჩანდა. აი, სწორედ ამით წააგავდა იგი ადამიანს, იმით, რომ მისი თვალები ადამიანებისას არამარტო გარეგნულად, არამედ ბუნებითაც ემსგავსებოდა. დია-ყავისფერი გუგებიდან ერთდროულად ტკივილითა და იმედით იცქირებოდა, ზოგჯერ მხიარულიც იყო და ამ დროს ყველას უყვარდა, ხოლო როგორც კი დარდი შემოაწვებოდა, თვალის გუგები უშემდეგობა და ავადმყოფურად დალასლასებდა. ამგვარ წუთებში კაცი-შვილი ყურადღებას არ აქცევდა და ზედაც არ იკარებდა.

ამგვარ ცვლილებათა მიზეზი, როგორც თავის თავში, ისე ადამიანებში, მისთვის გაუგებარი იყო, თვითონ ვერ პოულობდა ამის მიზეზს და ვერც ვერაფრით აეხსნა, თუმცა არც ძალიან ცდილობდა, რადგანაც მთელი მისი ყურადღება მიჰყოფილი იყო იმისკენ, რომ როგორმე რაიმე საკვები ემოჟა, იმგვარი რამ, რაც საჭმელად გამოდგებოდა, რათა მთელი დღეები შიმშილით კვნესაში არ გაეტარებინა.

ადრე იგი გამბედავი, უშიშარი, სუფთა და სიცოცხლით სავსე გახლდათ, ახლა კი თუ რამეს იპოვიდა იძულებული იყო მალულად ეჭამა და ყოველი ჩქამის გაგონებაზე, ყოველი სხვა არსების მოახლოებაზე შიშით კანკალებდა, ზოგჯერ კი საკუთარი ხმაც აფრთხობდა.

მის ოდესღაც მზინვარე ბეწვს ნაგავში გდებისგან ნელ-ნელა ჭუჭყი შეეპარა, ტანი მუმივად ექავებოდა,

სადეჟე ჰელაიათი (1903-1951) - ცნობილი ირანელი მწერალი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი პროზაული ნაწარმოები, ესსე და პუბლიცისტური სტატია. ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხრობები: „ბრმა ბუ“, „ცოცხლად დამარხული“, „სისხლის სამი წვეთი“ და სხვ. მოთხრობა „უსახლკარო ძაღლი“ თარგმნილია 1942 წელს თეირანში გამოცემული კრებულიდან.

გრძობდა, რომ თვითონაც სანაგვის ნაწილი გახდა და ერთადერთი მისი საშველი სიკვდილია იქნებოდა.

ორი წელი გასულიყო, რაც თავისი პატრონს მიეტოვებინა. მას შემდეგ აღარც წესიერად უჭამია და არც უძინია, დასუსტებული და ძალა გამოცლილი დაეხეტებოდა ვარამინის მოედანზე. ერთი ადამიანიც არ მოსულა მასთან რომ მოფერებოდა, თავად ფატიც — ასე ერქვა ძაღლს, ვერავის ხედავდა ისეთს, რომელიც ისე მოექცეოდა, როგორც მისი პატრონი ეპყრობოდა, თუმცა ირგვლივ მყოფი ადამიანები გარეგნულად ძალიან წააგედნენ მას. ეჰ, კარგი იყო რომ გვერდით ისევ ჰყოლოდა მოსიყვარულე და კეთილი ადამიანი, რომელიც ფათის ფიქრებს ტკივილებსა და დარდს გაიზიარებდა და სიყვარულით იზრუნებდა მასზე...

უცებ ძაღლმა მძაფრი სუნი იგრძნო, თავბრუ დაეხვა და დაიბნა, მთელი მისი არსება შეძრა ამ სუნმა, რომელიც იმ რძეს ასდიოდა, იქვე ხესთან გასაყიდად რომ გამოეტანათ.

ეს თეთრი სითხე! იგი ძალიან ჰგავდა იმას, რითაც დედამისი ჰკვებავდა ბავშვობაში...

და ძაღლს თვალწინ გადაეშალა თავისი ბავშვობა, მის მუხსიერებაში პატარაობის მოგონებებმა დაიწვეს გაცოცხლება და ეს მოგონებანი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან გძნობა დაკარგა და მიწაზე დაეცა.

ესიზმრა, თითქოს კვლავ ლეკვი იყო და დედა თბილ რძეს აწოვებდა, თან ერთი ბქვეს ულოკავდა და უსუფთაებდა, ხოლო ის სურნელი, დედამისის სხეულს რომ ასდიოდა, სიცოცხლის სტიმულს აძლევდა ფათის — თბილი და ტკბილი რძე, დედა და მისი მზრუნველობა მას ამ ქვეყნად უბედნიერესს ხდიდა.

ეს რძე თითქოს ათრობდა, ტანში სითბოს გრძობდა და მშვიდდებოდა. ფატი, ახლა პატარა და უმწეო არსება, გამუდმებით ცდილობდა დედას მკერდში მიჰკვროდა და აღარასოდეს მოცილებოდა.

ერთ ღამესაც, როდესაც ფათის დედასთან მიხუტებულს ღრმა ძილით ეძინა, უცებ სიზმარში შიშისგან კანკალი დააწყებინა, რადგან დაინახა უკნიდან ვიღაც ეპარებოდა და წაყვანას უპირებდა.

ამ შიშმა გამოაღვიძა იგი და შვებით ამოისუნთქა: დედამისი იქვე იწვა, გრძობდა მის სხეულს, რომელსაც თავისი პატარა თათებით ეხებოდა და უგემრიელეს რძეს ეწაფებოდა, გრძობდა ძმის ფუმფულა ტანს და სითბოს. გაახსენდა უწინდელი სოროც, სადაც ძმებთან ერთად თამაშობდა, ყურებზე კბენდა, მიწაზე გორაობდა, წამოდებოდა და ისევ დაეცემოდ. აგონდებოდა ლეკვები ერთმანეთს როგორ დასდევდნენ დასაჭერად და დროს გასატარებლად მინდორზე დარბოდნენ, სანამ ერთ დღეს ვიღაც ბიჭი არ გამოჩნდა, რომელიც შემდეგ მისი პატრონი გახდა. ძაღლი იმ ბიჭს ყეფა-ყეფით ბაღის ბოლომდე მიჰყვა, თან ეთამაშებოდა და ტანსაცმელზე კბილიც კი გაჰკრა.

ბიჭმა ლეკვს ხელი გადაუსვა და ამის შემდეგაც ხშირად ეფერებოდა, შაქრის ნატყეხებს აძლევდა, რაც ფათის ძალიან მოსწონდა და აღარც არასოდეს დავიწყებია.

პატარა ბიჭს სხვა ოთხფეხა მეგობრებიც ჰყავდა, თუმცა ლეკვმა მალე გამორჩეული ადგილი დაიკავა მათ შორის. მასთან ყოფნის დროს ფათის ტკივილისგან არასდროს

დაუკენესია და არც შიშმილით ასწვია კუჭი. ხოლო, როცა ფატიმ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, მის მოხუც მოსამსახურეს დაუმეგობრდა და გვერდიდან არ სცილდებოდა.

სადილობისას თუ ვახშობისას ფატი მაგიდის გარშემო დადიოდა და საჭმელს შორიდან ყნოსავდა, ზოგჯერ ბიჭის დედა, ქმრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძაღლისადმი მზრუნველობას იჩენდა და ეფერებოდა, შემდეგ კი მოხუც მოსამსახურეს მიჰყავდა და ძაღლისთვის გამოყოფილ ხის პატარა ფარდულში ჯამით საჭმელს უდგამდა.

ეს ფათის ცხოვრებაში საუკეთესო წლები იყო.

ღრო გადიოდა, თანდათან ფათის სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და საჭმელსაც კარგს აღარ იმეტებდნენ, ისე რომ მას თავად უწევდა ცოტად თუ ბევრად ყუათიანი საკვების შოვნა და რადგან იმ სახლში დედალ ძაღლებს უფრო კარგად აჭმევდნენ, ფატიც იძულებული იყო ზოგჯერ ჭამაში მათ შესცილებოდა.

შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ დღეს ოჯახის უფროსი ვიღაც ორ კაცთან ერთად დაბრუნდა სახლში. პატრონიცა და ისინიც მთვრალეები იყვნენ. ფატი ავტომობილში ჩაისვეს და ქალაქის განაპირას გაისეირნეს. პატრონს ფათის მოცილება სურდა, თუმცა თან ეცოდებოდა კიდევ და ნერვიულობდა. მანქანა ვარამინის მოედანზე გააჩერეს, ძაღლიც ჩამოსვეს და ქუჩის მოაჯირს ჩაუყვინენ. მოულოდნელად ფატიმ რაღაც მიშხიდეველი სუნი იყნოსა და თავისდაუნებურად იმ სუნს გაჰყვა, მაგრამ მერე დაიბნა, აღარ იცოდა საით წასულიყო და ვიღაცის ბოსტანში ამოჰყო თავი. უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ გზა ვეღარ გამოიგნო და კარგა ხანს უთავბოლოდ იხეტიალა, ბოლოს კი მიხვდა, რომ დაიკარგა და პატრონმაც მიატოვა. შხის ჩასვლისას თითქოს მისი ხმა შემოესმა, მაგრამ მალევე დარწმუნდა რომ მოეჩვენა.

ასე იქცა ფატი უპატრონო ძაღლად.

იქვე საცხობი იყო, რომლის წინ შეკრებილმა ხალხმა ჯოხით ცემა დაუწყო, ყასბის შეგირდებმა კი ქვები დაუშინეს და ძაღლი იძულებული გახდა მანქანების ქვეშ შემძვრალიყო, მაგრამ ახლა მძღოლებმა არ მოასვენეს და სქელი ჩექმის წვერები ჩასცხეს. ბოლოს, როგორც იყო, ყველამ გული იჯერა და ცხოვრებაც ჩეულებრივ გაგრძელდა.

მაგრამ ფატი ბედს ჯერ საბოლოოდ არ გაეწირა: იმ ბიჭმა, რომელსაც ბრინჯი უკვე გაყვიდა, ეს ძაღზე ნაწამები ძაღლი შეიცოდა და შეიფარა, სხვებისგან მალულად ხანდახან წყალსაც მიუტანდა ხოლმე და საჭმელსაც აჭმევდა, ხალხის დასანახად კი ქამარში ქვებს ილაგებდა და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს თავადაც სურდა ყოველ დაყეფებაზე ძაღლისთვის ესროლა, რადგან ახლო-მახლო მცხოვრებნი არამარტო ფათის, ნებისმიერ მაწანწალად ქცეულ ძაღლს სცემდნენ და მათთვის ცხოველისადმი ამგვარი მოპყობა ჩვეულებრივ საქციელად ითვლებოდა, ზოგჯერ კი მისაბაძადაც.

ასე გადიოდა დღეები და ბოლოს ფატი იძულებული შეიქნა ამ გაბოროტებულ ხალხს გაქცეოდა. მიხვდა, რომ ახლა არამარტო საკვები უნდა მოეძებნა, არამედ გზებზე

ხალხსაც მორიდებოდა, რაც ასე ძნელი იყო ვარამინში.

კარგა ხანი დაწანწალებდა, ხშირად ენაგადმოვადებული ნახევრად ძილ-ბურანში იყო ხოლმე, დაღლილი სხეული უთრთოდა, დაქანცული ყოფი-ყორეს ედებოდა და მოსასვენებელ ადგილს ეძებდა. ზოგჯერ, ნესტიან ამინდში გზაზე მომდინარე წყლით გრილდებოდა და დატანჯული სხეულიც მცირეოდენ შვებას პოულობდა.

ბოლოს მთლად წავიდა ხელიდან, გამხდარსა და გაქუცულს მხოლოდ ძველი, აქამდე შემორჩენილი მესხიერების ფრაგმენტები იყვნენ აძლევდნენ ცხოვრების სტიმულს. ზოგჯერ მდელის სურნელი, რომელსაც იქვე რომელიღაც მკვდარი ცხოველის სიმყარაღე და გადავადებული გაცვეთილი ფეხსაცმლის სუნის სიმძაფრე ფარავდა, ძაღლის გონებას გამოაფხიზლებდა ხოლმე და ამ დროს ფათის მოუსვენრობა იპყრობდა.

მაგრამ ყველაზე დიდი მოუსვენრობა მაშინ იპყრობდა, როცა მდელზე მორბენალ ქარის სვედიან ხმას გაიგონებდა. ძაღლი მაშინვე გამოაფხიზლდებოდა და თითქოს ხელმოკრულ დაიბადო ახალ-ახალი სურვილებით აღივსებოდა ხოლმე. ერთხელაც ასე მოხდა და ამჯერად ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ფათი უცებ წამოხტა და წინ გაიჭრა. მირბოდა და გრძნობდა თითქოს ყოველგვარ ამქვეყნიურ ცოდვათა ბორკილებისგან თავისუფალი იყო, მინდვრის პაერსაც თითქოს თავისუფლების სურნელი დაჰკრავდა, ის სურნელი, მას რომ სილაღესა და ბუნების სიყვარულთან ერთად მემკვიდრეობით ერგო წინაპრებისგან, რომლებიც უწინ მოტლანდიის ვრცელ მინდვრებზე იზრდებოდნენ. დიდხანს მირბოდა და ამდენი სირბილისგან იმდენად დაიღალა, რომ უკვე ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარ ჰქონდა.

დაღლამ შეახსენა, რომ კვლავ ამ ქვეყნად იყო და დადარდიანდა, მოითენთა, დასუსტდა. მესხიერებამ ისევ ამოატეფტეფა უწინდელი ყოფა, როდესაც პატრონის ხელში დღენიდავად დამწყვდეული იყო, რაც ვერ აუტანა, გაახუნდა, რომ ერთხელ სახლიდან უცხო ძაღლმაც გამოაგდო; ტკბილად მოაგონდა პატრონის შეილთან თამაში, მათ სახლში ყოფნა, რაც ძაღლს ყველაზე ბედნიერ მოგონებად დარჩა, მიუხედავად იმისა რომ კარგი საკვების გულისთვის იძულებული იყო გამუდმებით სხვა ძაღლებთან ახლოს ყოფილიყო.

უცაბედად მოვარდნილმა წყლის ნაკადმა ფათი თავის ბუნაგიდან გამოაგდო. ძაღლიც, თითქოს ამას ელოდაო, უკან მოუხედავად გაიქცა და ისევ მოუნდა პატრონი მოეძებნა, მაგრამ თვითონაც ვერ ხვდებოდა საით წასულიყო, გონებაში კი ერთი რამ უტრიალებდა, რომ როგორმე საკუთარ სახლამდე მიეღწია და ისევ ეპოვნა დაკარგული ბედნიერება...

როცა ვარამინის ქუჩებში აქეთ-იქით აწყვდებოდა და ნაცნობი გემის ადებს ცდილობდა, რაღაც დანგრეულ, ჩამოშლილ სახლს მიაღწა, მიხვდა რომ გზა აბნეოდა და უკან გამობრუნდა. ერთ ხანს თითქოს პატრონის სუნს მიაგნო კიდევ, მაგრამ იმავე წამს სხვა მრავალი სუნიც იგრძნო და გზა აებნა. ნუთუ მის პატრონს აქეთ აღარ გამოუვლია და ძაღლიც ვარამინის ქუჩებში საბოლოოდ

უნდა დაიკარგოს? - ეს აზრი ძალიან აღელვებდა ფათის და შიშის ზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ შეიძლებოდა პატრონი ვეღარასოდეს ეპოვნა. თითქოს ახლად დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მზრუნველის გარეშე, როგორ ეარსება თუკი სანუკვარი პატრონის ყურადღება მოაკლდებოდა, პატრონისა, რომლის პოვნის ყოველნარი ცდა ძაღლს ამდენი წელი წყალში ეყრებოდა.

დღის ბოლოს დაღლილი და დაქანცული ქალაქის მოედანთან დაბრუნდა, წყალს დაეწაფა, მოსულიერდა, ამ დროს ღობით შემოფარგლულ ბაღში სხვა ძაღლი შეამჩნია, მშვიდ-მწყურვალემ და ქანგაწყვეტილმა ძაღლმა მოიკრიბა და მისკენ გაქანდა, უნდოდა ღობის იქით გადამხტარიყო, მაგრამ დაუძლურებულს ფეხის გადადგმის ძალა აღარ შესწევდა, წაიქცა და იქვე ღობესთან მიეძინა.

შუალამისას საკუთარმა კენესამ გამოადგოდა. ეს შიმშილი აწუხებდა და აყვებდა, თანაც საჭმლის სუნიც აღიზიანებდა, რადგან ყასაბს დახლზე ხორცის ნამცეცები დარჩენოდა, იქვე საცხობიდან კი ცხელი პურის სურნელი გამოდიოდა.

მიუხედავად ქუჩაში დიდი ხნის გდებისა, ძაღლი მაინც არ იყო მათხოვრობას მიჩვეული, ამიტომ კარგა ხანს ყოყმანობდა თონესთან მისულიყო თუ არა, მაგრამ როცა შიმშილმა ძალიან შეაწუხა, გათენებისას შიშით მთლად აკანკალებული პურის სურნელს ახლად გახსნილ საცხობისკენ მიჰყვდა, თან დამნაშავედ გრძნობდა თავს, რომ იძულებული იყო ემათხოვრა და თავი გადაეჩინა.

ამასობაში თონეს ერთი ბიჭი მიაღწა, პური იყიდა და ის იყო, თავის გზას უნდოდა გასდგომოდა, რომ ფათის მოჰკრა თვალი, დაუძახა და პურის ნატუხი გადაუგდო.

ფათი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ პური შეჭამა და მადლიერების ნიშნად ბიჭს ნაზად შეუყვება. ისიც ფათის მოეფერა, შემდეგ კი ყელზე შემორჩენილი საყვალური მოხსნა.

ო, რა შვება იგრძნო ძაღლმა! ამ წამს იგი თითქოს ყოველგვარ პასუხისმგებლობისა და მოვალეობიდან გაათავისუფლეს და ამიერიდან არაფრით აღარ იქნებოდა შებოჭილი. ფათი გათავისუფლდა!

სამწუხაროდ ეს შვება დიდხანს არ გაგრძელებულა, ბიჭმა ძაღლი საცხობის პატრონთან მიიყვანა, ფერდზე კი ისე მწარედ ჩაარტყა ფეხი, რომ ფათის შეშუულება მთელს მოედანზე გაისმა. ამ დღიდან მოყოლებული ისედაც ცხოვრებით გამწარებულ ძაღლს წიხლი, ქვა და ჯოხი უფრო მოემატა, თითქოსდა ყველა ამ ძაღლის მრისხანე მტერი ყოფილიყოს და მისი ცემითა და წამებით კარგ გუნებაზე ღებოდნენ. ძაღლი გრძნობდა, რომ იგი ყველასთვის უცხო იყო, არავინ გამოექმთაგებოდა და არავინ დაიფარავდა. მართლაც, არც არავის უნდოდა ოდნავი მზრუნველობა მაინც გამოეჩინა მაწანწალა ძაღლისადმი.

ამიერიდან, ფათიმ ერთ-ერთი ქუჩის სანაგვეში ჰპოვა ბუნაგი, სადაც ყოველთვის ეგდო გემრიელი ძვალი, ან ქონის ნაჭერი, ცხოველის ტყავი, თევზის თავი და სხვა სასუსნავი, რითაც ძაღლი შიმშილს იკლავდა. ყველაფრის მიუხედავად ფათი მაინც იმედის თვალთ შეჰყურებდა იქაურთ, იქნებ ვინმემ საჭმელი გადმომიგდოსო, მაგრამ ამის

ნაცვლად მხოლოდ ცემას იმეტებდნენ უხვად.

დრო გადიოდა, ფათის სულ უფრო ხშირად ახსენებოდა ძველი კარგი დღეები და ტკივილი. დარდი, მწუხარება შემოაწვებოდა ხოლმე და ეკალივით უკაწრავდა გონებას, ხოლო მოგონებებისგან გათავისუფლება სულ უფრო და უფრო უჭირდა.

ამდენი წლის შემდეგაც ყველაზე მეტად ის სტანჯავდა, რომ დედა აღარსად იყო, რომ მშობლის სითბოს ვეღარ გრძნობდა და იმ ბავშვს წააგავდა, რომელიც პატარა უკვე აღარ არის, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენია დედის ალერსის სიყვარული. ძაღლის ახლანდელი ყოფა მზე და მთვარესავით განსხვავდებოდა იმ დროისგან, როცა დედა ეფერებოდა. ფათი სვედიანი თვალებით სთხოვდა გარშემო მყოფთ, რომ ყურადღება გამოეჩინათ მისადმი და თავადაც ერთი სული ჰქონდა სიყვარულითვე ებასუხა მათთვის, მცირე სიკეთეზეც კი მზად იყო ერთგულება და სითბო გამოეჩინა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა და ის ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ მისთვის არავის ეცალა, რომ მასზე არც არავინ იზრუნებდა. ყოველ მზერაში, რომელსაც ძაღლს მიაპყრობდნენ ხოლმე, მხოლოდ ზიზღი და სიძულვილი მოჩანდა, რაც მას ძალიან სტანჯავდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ცხადში გადატანილი სიმწარე ძილშიაც არ აძლევდა მოსვენებას და მალევე აღვიძებდა, თითქოს რაიმე საშინელება ნახაო. გამოღვიძებულს ამ სიზმრის ყოველი სურათი ახსოვდა და იმედდაკარგული მზად იყო მაშინვე მიებარებინა სული ღმერთისთვის.

ერთ დღეს, ახლად გამოღვიძებულს, ცხვირში ქაბაბის სუნი ეცა და კარგა ხნის უჭმელს გონება მთლად დაებინდა. შიმშილის ეს მტანჯველი გრძნობა იყო ხოლმე, რომ აიძულებდა ძაღლს მისუღიყო ადამიანებთან და რაიმე ნაირად საჭმელი ემოვა.

მოულოდნელად ვარამინის მოედანზე ავტომობილი შემოქროლდა და იქაურობა მთლად აამტვერა. მანქანიდან უცხო კაცი გამოვიდა, პირდაპირ ფათისკენ წავიდა, ჩაიშხლდა და ხელი თავზე გადაუსვა. იგი ამკარად ფათის პატრონი არ ჩანდა, რადგან ძაღლს კარად ახსოვდა საყვარელი მომვლელის სუნი, ასე რომ ადვილად არ მოტყუვდებოდა. ამიტომ გასაკვირი იყო სრულიად უცნობი კაცი ფათის ასე თბილად რატომ მოექცა.

ძაღლი ჯერ შეშინდა, ტანი აუთრთოლდა, გასაქცევად მოემზადა, მაგრამ შეხედა თუ არა იმ კაცს, მაშინვე დაწყნარდა, მის მოფერებას დაჰყვა და კუდი ააქიცინა. კაცმა ფათის მოფერება შეწყვიტა, იქვე დუქანში შევიდა, საიდანაც საჭმლის სუნი გამოდიოდა და კედელთან მიღმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. მას მაშინვე თბილი პური, მაწონი და მოხარშული ქათმის კვერცხი მოართვეს.

კაცმა პურის ნაჭერზე მაწონი წაუსვა და კარებთან ატუსუღლ ფათის წინ დაუდო. ძაღლი ჯერ სწრაფად დააცხრა საჭმელს, რასაც კაცის ღიმილი მოჰყვა, შემდეგ კი, როცა დაინახა რომ არავინ ეცილებოდა, პურის ნაჭრები ნელ-ნელა მიირთვა. თავისი ყავისფერი თვალებით, რომლებშიც გაკვირვებასთან ერთად დიდი მადლიერებაც იკითხებოდა, ფათი კაცს მისჩერებოდა და კუდის ქიცინს განაგრძობდა, ვერ გაეგო ცხადში იყო თუ სიზმარში და

თავში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა: იქნებ სწორედ ეს კაცი გახდეს ფათის ახალი პატრონი?

კაცი მალევე გამოვიდა დუქნიდან, ქუჩის ბორდიურს შორიანხლოს დახორხლილი ნანგრევებისკენ გაჰყვა და ძაღლიც კუდის ქიცინით გამოუდგა უკან. ცოტა ხნის შემდეგ მოედანზე დაბრუნდნენ და უცნობი თავის მანქანაში ჩაჯდა, ხოლო ფათის გამბედაობა არ ეყო თვითონაც ავტომობილში შემხტარყო. ფათის შეეძლო ამ კაცს გაჰყოლოდა და მაშინვე დაევიწყებინა ყველა ტკივილი, რაც კი ოდესმე გადაეტანა, მაგრამ მიწაზე გაუნძრევლად იჯდა და უცხო კაცს ისე შეჰყურებდა, თითქოს ვარამინს ვერ შორდებოდა და აქაურთა უხეშობის მიუხედავად მაინც შეჰკუებოდა ვარამინის მოედანსა და იქ მაცხოვრებლებს.

მცირე ხნის შემდეგ კაცმა მანქანა დაქოქა, მოედანზე ქვიშის კორიანტელი დააყენა და გაუჩინარდა, იმავე წამს ფათიმაც მთელი ძალით ისკუპა გამოედევნა, მაგრამ ფეხებში ძალა უკვე აღარ შერჩენოდა, ძლივს მირბოდა, ცდილობდა დასწეოდა, მაგრამ უცნობი თანდათან შორდებოდა და მანქანაც პატარავდებოდა, ისე რომ საბოლოოდ ჰორიზონტს მიეფარა და ფათიც, რაკი ვეღარ დაინახა, ენაგაღმოგდებული შეჩერდა, მიიხედა-მოიხედა და მიხვდა, რომ ნაცნობ გარემოს დიდი მანძილით დაშორებოდა. დაქანცულსა და ძალაგამოცილებულს გული მისდიოდა, არაქათი ეცლებოდა, მალე კი ფეხებმაც უმტყუნეს, სადაცაა წაიქცეოდა, ღიაყავისფერ თვალებში სინათლე უქრებოდა, ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან, იდგა და მხოლოდ დაბალ ხმაზე საცოდავად ყეფდა, მაგრამ მისი ხმა ტრიალ მინდორში უგზო-უკვლოდ იკარგებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მცირედ მოლონიერდა და თავჩაქინდრული ორიოდ ნაბიჯზე წალასლასდა, ისე რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიდიოდა. იქამდე იარა, ვიდრე ვილაცის მინდვრის ნაკვეთს არ მიაღწა და ცხელ ქვიშაზე გაიშხლართა. ინსტიქტურად გრძნობდა, რომ ამ ქვეყნად ვეღარ გაძლებდა და სიმათლე რომ ითქვას, აღარც უნდოდა, არანაირი სურვილი აღარ ჰქონდა სიცოცხლის გაგრძელებისა. ფიქრები მთლად აერია და აღარაფერს აღარ განიცდიდა. მთელს სხეულში არა შიმშილისგან, არამედ დარდისგან გამოწვეულ მწარე ტკივილს გრძნობდა, თვალთ ნელ-ნელა უბნელდებოდა, ტანზე კი ცივი ოფლი ასხამდა.

და აი, ნელ-ნელა შიმშილიც გაქრა, ტკივილიც, მწუხარებაც, დარდიც, ტანჯვაც... თითქოს სხეულიც მოსცილდა ფათის და თვითონაც განცალკევდა ამ სამყაროსგან...

დაისი მოახლოებულიყო. ცაში სამი ყვავი გამოჩნდა. ლემის სუნმა, მთელს მინდორს რომ მოსდებოდა, როგორც ჩანს, ფრინველებამდეც მიაღწია. ერთი მათგანი მიწაზე ჩამოფრინდა, ფათის მოუჯდა და ყურადღებით დააკვირდა, ერთხანობა მოეჩვენა ძაღლი ჯერ კიდევ ცოცხალიაო და შეფრთხილდა, მაგრამ შემდეგ დაწყნარდა; დანარჩენი ყვავებიც ჩხავილით შემოუერთდნენ და ძაღლის თვალებს ჩიჩქნა დაუწყეს...

თარგმნა
ოსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის
ირანისტიკის მიმართულების სტუდენტმა
გიორგი სიფრაშვილმა

ახალ ფარაჯი

ბერძენ ფილოსოფოსთა სასარგებლო გამონათქვამები

დასაწყისი წინა ნომრებში

40. ყველაზე ძნელი

ერთხელ დიოგენეს ჰკითხეს:

- რა არის ყველაზე ძნელი?
- შეიცნო საკუთარი თავი და დაფარო საკუთარი აზრები. - უპასუხა მან.

41. ღირს ცოლის მოყვანა?

ვიდაცამ სოკრატეს უთხრა:

- ცოლის მოყვანას ვაპირებ, შენ რას მიჩვედი?
- მისმინე, ნუ დაემგვანები თევზებს, რომლებიც ხმელეთზე მოხვედრილნი, თავისუფლებისაკენ ისწრაფვიან, თავისუფლებაში მყოფთ კი გული ისევ ხმელეთისაკენ მიუწევთ.

42. ყველაზე შესაფერისი დრო

- რომელი დროა კვებისათვის ყველაზე შესაფერისი? - ჰკითხეს სოკრატეს.
- ვისაც აქვს საკვები - ჭამოს, როცა მოშოდება, ხოლო ვისაც არა აქვს - ჭამოს, როცა იშოვის, - უპასუხა ფილოსოფოსმა.

43. ღარიბება მმართველს

არისტოტელემ მისცა ალექსანდრეს შემდეგი წერილობითი ღარიბება:

- ფრთხილი იყავი საკუთარ მეომრებთან, რათა მათ შენზე რაიმე ცუდი არ იფიქრონ. როცა ვინმეზე ცუდს ფიქრობ, მასზე ცუდის თქმაც ადვილია, ხოლო შემდეგ მისადმი ცუდი მოპყრობაც.

44. იყავი გულდასურული

ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:

- იმას, რასაც მტერს უმაღაუვ, ნურც მეგობარს გაუმხელ, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ ეს მეგობრობა სამუდამოდ გაგრძელდება.

45. მდიდარია მდიდარი?

დიოგენეს ჰკითხეს ერთ მდიდარ კაცზე: მართლა მდიდარია თუ არაო?

- არ ვიცი, - უპასუხა დიოგენემ? - ჩემთვის ცნობილია მხოლოდ, რომ მას ბევრი ფული აქვს.
- ესე იგი მდიდარია!



- იყო მდადრი და გქონდეს ბევრი ფული ერთი და იგივე როდია - უპასუხა დიოგენემ. - ნამდვილად მდიდარი მხოლოდ ისაა, ვინც საესებით კმაყოფილია იმით, რაც გააჩნია, ხოლო ვინც მუდამ ცდილობს ჰქონდეს უფრო მეტი, ვიდრე აქვს, იმაზე ღარიბიც კია, ვისაც არაფერი გააჩნია, მაგრამ საკუთარი ხვედრით მაინც კმაყოფილია.

46. მისი სიმდიდრე

- სადაა მთელი შენი სიმდიდრე და ავლადიდება? - ჰკითხა დიოგენეს რომელიღაც მმართველმა.
- ამით აქვთ, - უპასუხა დიოგენემ და მიუთითა საკუთარ მოსწავლეებსა და მიმდევრებზე.

47. რა არის უარესი?

- ცუდია, როცა ცხოვრებაში რაიმე ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება. - თქვა ერთმა.
- მაგრამ უარესია, როცა ის, რასაც ასე ძალიან ველით, რაც ძალიან გვსურს, საერთოდ არ ხდება - შეეპასუხა მას თანამოსაუბრე.

48. პასუხი კითხვაზე

როდესაც პლატონი გაკიცხეს იმის გამო, რომ ღარიბია, მან უპასუხა:

- ნუთუ უნდა ვისწრაფვოდე შევიძინო ის, რასაც სიხარბე და სიძუნწე გულდაგულ იცავს, ხოლო გულუხვობა და უანგარობა ბოლოს და ბოლოს ანადგურებს?

49. მრავალი მჭუსარების თავიდან აცილება

ალექსანდრე მაკედონელს შესანიშნავი მინის ჭურჭელი აჩუქეს. საჩუქარი ძალიან მოეწონა, მაგრამ მისი დამტვრევა ბრძანა. როდესაც ჰკითხეს, რატომ მოიქცა ასე უცნაურად, მაკედონელმა უპასუხა:

- მე ვიცი, რომ დროთა განმავლობაში ეს მინის ჭურჭელი თანდათანობით აუცილებლად დაიმტვრეოდა ჩემი მსახურების ხელით. ყოველი ასეთი დანაკარგის დროს შევწუხდებოდი და განვრისხდებოდი. განა უკეთესი არაა, ერთი ძლიერი შეწუხებით ახლავე, თავიდან ავირიდო მრავალი შეწუხების მიზეზი მომავალში?

50. არ არსებობს სრულყოფილი ადამიანი

პლატონს ჰკითხეს:

- რატომაა, რომ ხშირად გონიერებას თან სდევს ბოროტება?
 - იმიტომ, რომ არ არსებობს სრულყოფილი ადამიანი.
- უპასუხა მან.

51. უბრალოდლობა

არისტოტელემ თქვა:

- სულელი არ განიცდის მწუხარებას საკუთარი ჭკუის სიმწირის გამო, ისევე როგორც ლოთი ვერ გრძნობს ხიჭვს, ხელში რომ შესობია.

52. არსებითი განსხვავება

არისტოტელეს ჰკითხეს:

- რით განსხვავდები შენ ადამიანთა უმრავლესობისაგან?
- ისინი ცხოვრობენ იმისთვის, რომ ჭამონ, მე კი ვჭამ იმისთვის, რომ ვიცხოვრო, - უპასუხა ფილოსოფოსმა.

53. მცირე ბოროტება

ვიღაც კაცმა ცოლად შეირთო ძალიან გამხდარი ქალი, როდესაც ჰკითხეს, თუ რატომ მოიქცა ასე, სოკრატესეზურად უპასუხა:

- მე ამოვირჩიე მცირე ბოროტება...

54. საფრთხე სილაგაჟშია

სპარსეთზე ლაშქრობისას ალექსანდრე მაკედონელს აცნობეს, რომ მეფე დარიოსს ძალიან ლამაზი ქალიშვილები ჰყავსო, მაგრამ ამ ცნობამ იგი არ გაახარა:

- ძალიან ცუდია დამარცხდე უცხო მიწის მეომრებთან ბრძოლაში, მაგრამ უფრო მწარეა დამარცხება უცხოტომელი ქალებისაგან.

55. ვაი ვის?

ერთხელ სოკრატეს გზაში დაემგზავრა ვიღაც მდიდარი კაცი. მათ ყურამდე მოვიდა ამბავი, რომ ამ მიდამოებში ყაჩაღების ბანდა თარეშობდა.

- ვაი მე, თუ მიცნობენ! - შესძახა მდიდარმა.

- ვაი მათ, თუ ვერ მიცნობენ! - თქვა სოკრატემ.

56. დიოგენეს კითხვა

ერთმა მდიდარმა კაცმა თავისი სახლის კარზე ასეთი წარწერა გააკეთა:

- „დაე, ვერანაირი ბოროტება ვერ შემოვიდეს აქ“.
- როგორღა შემოვა ამ კარებიდან შენი ცოლი? - ჰკითხა დიოგენემ შეხვედრისას.

57. ხმიალიც ნუბარია

ფილოსოფოსის დანახვაზე, რომელიც ხმიალს აწობდა წყალში და სიამოვნებით შეექცეოდა, ერთმა გაიკვირვა:

- როგორ შეიძლება დაგემოვნებით ჭამდე ასეთ საჭმელს?
- მე იგი ისეთი შემთხვევისთვის შემოვინახე, როცა ხმიალიც ნუგბარად გეჩვენება, - უპასუხა ფილოსოფოსმა.

58. აღმქსანდრე და ამორაქლები

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ამორაქლებზე გალაშქრებას აპირებდა, დაფიქრდა და თქვა:

- თუ გავიმარჯვებ - ჩემი დიდება არ გაიზრდება. თუ დავმარცხდები, ეს იქნება საშინელი სირცხვილი, იტყვიან რომ დიდი ალექსანდრე ქალებმა დაამარცხესო. და მან გადაიფიქრა ეს ლაშქრობა.

59. ამის გაკეთება არ მგების

ჰიპოკრატემ თქვა:

- ბრევია ის, ვინც საკუთარ თავს აენებს, იმის გულისთვის, რომ მეგობარს სიკეთე გაუკეთოს.

60. ორი მართული დამცველი

მასვე ეკუთვნის შემდეგი გამონათქვამი:

- ქალებს მხოლოდ ორი ერთგული დამცველი გააჩნიათ: ქმარი და კუბო.

61. ზორმა და არსი

ჰიპოკრატეს ცოლმა უთხრა:

- შენი ვაჟი საერთოდ არ გგავს შენ?
- მან უპასუხა:
- მე მივეცი მას მთავარი - მისი ადამიანური არსი, გარეგნულ ფორმებს კი დედური საწყისი განაპირობებს.

62. შხმადე საკუთარ თავს!

ჰიპოკრატემ თქვა:

- ჭკვიანი კაცისათვის სასარგებლოა დროდადრო სარკეში ჩაიხედოს; თუ მისი სახე ულამაზოა, დაე, უკეთური ქცევით მაინც ნულარ გასვირის, ხოლო თუ სახე ლამაზია, დაე, ნუ შეურაცხყოფს მას უღირსი საქციელით.

რუსულიდან თარგმნა
გ. ნატროშვილმა

„კამბეჩოვანის ქლოაქ ხორნაბუჯის წიხე-მაგარი“

(ხორნაბუჯის ციხის ისტორია)

ქიზიყი (ძველი კამბეჩოვანი), ისტორიული ჰერეთისა და დღევანდელი კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე უძველესი დროიდანვე ფრიად მნიშვნელოვანი რეგიონი იყო, რამდენადაც სამი ამიერკავკასიური სახელმწიფოს-ივერიის (ქართლის), ალვანეთის (დღევანდელი აზერბაიჯანის) და სომხეთის - ურთიერთსასაზღვრო ტერიტორიას წარმოადგენდა, რომელსაც სამეურნეო თვალსაზრისითაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ინტენსიური მიწათმოქმედების და განსაკუთრებით, მდიდარი და ვრცელი საზამთრო საძოვრების ზონას. მასზე გადიოდა ამავე დროს ამ სახელმწიფოთა დამაკავშირებელი მაგისტრალური - სავაჭრო და სამხედრო კომუნიკაციები და ამდენად, ძველი კამბეჩოვანის მიწაზე იხლართებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები.

„არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და შემთხვევით აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალა გვარწმუნებს, რომ ხორნაბუჯი ყარაღაჯთან ერთად, ჩაბმული იყო საერთაშორისო ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობაში. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ვაჭრები ირანიდან, არაბული სამყაროდან, შუა აზიიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან. აქ აღწევდა საქონელი ინდოეთიდან და ჩინეთიდანაც კი. ჩინურ საქონელს „ხატაური“ ერქვა, ვაჭრობისათვის არსებობდა სასტუმრო-თავშესაფარები, ე.წ. „ხანაგები“. თვით ხორნაბუჯის მთელი ანსამბლიც გამოირჩეოდა სახელოსნო წარმოებით, კუპრის, სამკურნალო ტალახის, ნავთობის მოპოვებით. ნავთობი მაშინ გამოიყენებოდა სამხედრო დანიშნულებით ე.წ. „საწვავი ზეთი“ იხმარებოდა გალაგანთა დასაცავად. ხორნაბუჯიდან ნავთი და კუპრი ტყავის გუდებით შორეულ ქვეყნებში გადიოდა. ამ საქონლით ვაჭრობით იგი მხოლოდ ბაქო-შირვანს ჩამორჩებოდა.“ - ლოვარდ ტუხაშვილი: „ზოგი რამ ხორნაბუჯის შესახებ“ გაზეთი „შირაქი“, 1987წ.22 იანვარი.

თეიმურაზ ბაგრატიონი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, ცნობილი მწერალი და მეცნიერი, უფროსი ძმის ცხოვრებისადმი მიძღვნილ თავის თხზულებაში (1831 წ.) პირდაპირ წერს: „ქიზიყი ანუ ქიზიყი არს ერთი ჩინებული პროვინციათაგანი კახეთისა“. კუთხის სახელწოდება „ქიზიყი“ პირველად XV ს-ის ხელნაწერში გვხვდება. ეს არის „ასურელ მამათა“, იოანე ზედაზნელის მოწაფეთა ცხოვრების ვრცელი რედაქცია. ამ ტექსტში იხსენიება VI ს-ის ჩვენთვის ცნობილი მოღვაწე სტეფანე ქიზიყელი(იგივე სტეფანე ხირსელი) და თუკი XV ს-ში არსებობდა ასეთი წარმომავლობის ტერმინი „ქიზიყელი“, ცხადია, რომ უნდა არსებულიყო გეოგრაფიული ცნება „ქიზიყი“.

საინტერესოა რა ერქვა ამ კუთხეს უფრო ძველად? ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არამედ ქიზიყსა, როდელი მოხვევია მთასა, ცივის მთიადამ ჩამოსულსა... ამას



ნინო მახარაშვილი

ქ. დედოფლისწუაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის წრის წევრი - ოქროს მედალზე დაამთავრა დედოფლისწუაროს I საჯარო სკოლა და ჩაირიცხა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (მოცემულმა ნაშრომმა გაიმარჯვა მოსწავლეთა 72-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე და დიპლომი დაიმსახურა). იბეჭდება მცირე შემოკლებით.

წოდა პირველ „კამბეჩოვანი“... როგორც ვხედავთ, ვახუშტი თვლიდა, რომ ქიზიყს ძველად(პირველად) ერქვა კამბეჩოვანი.

ქართულ საისტორიო წყაროებში ეს ტერმინი გვხვდება არსენ საფარელის თხზულებაში „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, რომლის ავტორს X ან XI ს-ის მოღვაწედ თვლიან.

XI ს-ის ქართველი დიდი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ქართველთა უძველესი ისტორიის ამსახველ თხზულებაში „ქართლის ცხოვრება“ - შესულია სახელწოდებით: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, ანუ მარტივად „ჰამბაჟი მეფეთა“. იგი იყენებდა ძველ ქართულ მატთანებსა თუ ქრონიკების წერილობით წყაროებს, რომელთაგან უმეტესობას დღემდე არ მოუღწევია, I ს-ის პოლიტიკური ამბების გადმოცემისას იგი მოგვითხრობს, რომ არმახელმა და აზორუმმა, რომლებიც ქართლში ერთდროულად მეფობდნენ, „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა, ანუ იმ ტერიტორიების უკან დაბრუნება, რომლებიც მაშინ სომეხებს ჰქონდათ ქართველთაგან მიტაცებული. „და ამით მეფეთა



„ციხე-მაგარი ხორნაბუჯი“

ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თვისნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხვ და სიმარჯვით... და შევიდეს სომხითს და უგრძნეულად წარმოსტყუენეს შირაკუნი და კანანდი... და აღიღეს ტყუე... და მისრულ იევენეს კამბეჩოანს და დაებანაკათ იორს ზედა“...

მხარეს ამ სახელწოდებით იცნობს ისტორიკოსი ჯუანშერიც, რომელმაც დაგვიტოვა თხზულება — „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“. იგი წერს: „და ესხნეს ვახტანგს ბერძნის (ბიზანტიელის) ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ, ხოლო ძესსა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისაგან, დაჩის, მისცა ქალაქ ჭერამისა, და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი.“ მეორეგან იგივე ჯუანშერი, როდესაც აღწერს სპარსთა მეფის ქართლის სამეფოში შემოსევას, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ვახტანგ გორგასალისათვის, აღნიშნავს: „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოვანი და ჭერამისა ციხე და ველის-ციხე და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა.“

სუმბატ დავითის ძე, ასევე XI ს-ის ისტორიკოსი, ავტორი უაღრესად საინტერესო ქრონიკისა-„ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქვეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“ - აღნიშნავს: „და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელად ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანსა, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი (რომელიც მაშინ, ჩანს, განაგებდა ამ მხარეს, ნ.ძ.) და დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდეს იგინი მთვარებად ხორნაბუჯს და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“... ცოტა უფრო ქვემოთ სუმბატ დავითის ძე კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ ფაქტს: „...ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს და დაიპყრეს კამბეჩოანი.“

თამარ მეფის ე.წ. პირველი ისტორიკოსი (XIII ს-ის დასაწყისი), ანონიმური ავტორი თხზულებისა „ისტორი-

ანი და აზმანი შარავანდედათანი“, მოგვითხრობს, რომ თამარ მეფის პირველი მეუღლის, გიორგი რუსის, საქართველოდან მეორედ განდევნის (გაძევების) შემდეგ იგი წამოვიდა კონსტანტინოპოლიდან 1191 წელს და განძის ლაშქრით „მოვიდა ქვეყანასა კამბეჩოვანისასა და შიგნით მინდორი მოარბია... და მაშინ ხორნაბუჯის პატრონმან საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედი ლაშქართა და მიეწია სამითა შვილითა წამებად თავისა.“ კამბეჩოვანი, გარდა ქართულისა, მოიხსენიება არაბულ, ძველ სომხურ და ძველ ბერძნულ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ წყაროებში. კამბეჩოვანის ცენტრი იყო ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი, ჯუანშერის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებით: „ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი.“

ხორნაბუჯის მდებარეობის ორიენტირების დღეისთვის ერთადერთი მონაცემი მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა: „ხოლო ყარაღაჯის სამხრეთით, სადაც დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი, ესეც ბერქას გამოსვლასა მოხორდა“...

ხორნაბუჯზე ცნობებს შაჰ-აბასის ისტორიის ავტორის ისკანდერ მუნშის ნაწერებშიც ვხვდებით: „ის დიდებული ციხე მდებარეობს მაღალ და მიუვალ მთის წვერზე... მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც მცველები დგანან, 560 კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა... იმ ციხეს წვიმის წყლის ასავსები ამბრის გარდა, ერთი წყაროც რომ ჰქონოდა, ვერც ერთი დიდი ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა“...

ხორნაბუჯის ეტიმოლოგია მრავალნაირად აიხსნება. ძველ ირანულად „ხორნაბუჯი“-„მზის საყრდენს“ ნიშნავს, ზოგი ფიქრობს რომ ამ სახელში უძველესი ქართველი ტომების — „ხორების“ საცხოვრებელია შემონახული.

არის სხვაგვარი განმარტებებიც: პროფ. ივ. ლოლაშვილი ცდილობს „ხორანთისა და „ხორნაბუჯის“ ფუძისეულ პირველ ნახევარში ფალაური „ხურან“ (მზეთა), ხოლო „ხორანთას“-„თა“- ქართული მთის ნარჩენად მიიჩნიოს და ხორნაბუჯი-„ბუჯი“-ფალაური კერპის სახელწოდებად.

„ხორნაბუჯში უნდა ვეძიოთ მზის ტაძარი — წარმართობის დროინდელი საკულტო ცენტრი, რომლის საფუძველზე შემდეგში აღმოცენდა ფეოდალური ციხე-ქალაქი და ქრისტიანული საეპისკოპოსო კათედრალი“ — ვახტანგ გორგასლის მიერ V ს-ში დაარსებულ 12 კათედრალთაგან ერთ-ერთია ხორნაბუჯის საეპისკოპოსო კათედრალი.

ძველად ხორანთის ტაფობზე, სანამ იქ ქალაქი აშენდებოდა, არსებობდა მზის კერპი(თუ ტაძარი?!), რომელიც ჰერთა სალოცავს წამოადგენდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მის ნაფუძარზე აღმოცენდა ციხე-ქალაქი, საკმაოდ ნაყოფიერ ადგილზე, განვითარებული საირიგაციო სისტემებითა და კომუნიკაციებით, აბანოებით, საკანალიზაციო არხებით, მოკირწყლული საგალი ნაწილებით, მოჭიქული კერამიკის სასმელი წყლის მილებით, რომელთა ნარჩენებმაც ჩვენამდე მოაღწია.

„ხორანთა“ ასევე უდიდესი ქალაქი იყო, მხოლოდ ცოტა მოშორებით, დღევანდელ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მდებარეობდა. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ სპარსთა მეფემ შემუსრა ქალაქნი კამბეჩისანი“. აქ ყურადღებას იქცევს კამბეჩანის ორი ყველაზე დიდი ცენტრის ქალაქთა - „ხორანთასა“ და „ხორნაბუჯის“ მსგავსება. „ხორანთაც“ ერთ-ერთი დიდი და მდიდარი ქალაქი უნდა ყოფილიყო გაშლილი ვრცელ ტერიტორიაზე, იორ-ალაზნის შესაყარზე, მისგან ჩრდილოეთით 5კმ-ზე. ნაქალაქარი განლაგებულია ალაზნის გასწვრივ გამაჟალი ქედის სამ კალთაზე — ელდარის ველამდე.

განუწყვეტელმა შემოსევებმა „ხორანთას“ დასუსტება და დაცემა გამოიწვია, რასაც მოჰყვა „ხორნაბუჯის“ დაწინაურება.

ეჭვიც არ არის, რომ ვის ხელშიც არ უნდა ყოფილიყო იორ-ალაზნის ხეობათა ერთ-ერთი უმოკლესი გზის ყველაზე ვიწრო ადგილში მდგარი ჭოეთის ციხე-სიმაგრე -ხორნაბუჯი, იგი უსიტყვოდ ასრულებდა კლდეკარის მრისხანე გუშაგის მოვალეობას.

ხორნაბუჯი აუღებელი ციხე-ქალაქის სახელითაც იყო ცნობილი, ისე იყო გამაგრებული, რომ შიგნიდან თუ გაცდებოდა, თორემ მტრისათვის მიუვალი იყო.

არსებობს თქმულება: „ერთი ალყის დროს, როდესაც ქანცგაწყვეტილი მტერი ალაზნის ველზე გაშლიდა და ციხის გარშემო დაბანაკებულა, ზაფხული ყოფილა და მტერს შეუნიშნავს, რომ მზე ზუსტად ციხის თავზე იყო, თითქოს ზედ იჯდა, აქედან წარმოიშვა სიტყვა „ხორნაბუჯი“, რაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მზის საყრდენს ნიშნავს.

„არის გადმოცემა, რომ ელიასა და ხორნაბუჯს შორის ყოფილა გვირაბი, სადაც გამართული ცხენოსანი გადიოდა. ხორნაბუჯის ალყის დროს, ქიზიყელები გვირაბიდან გასულან ელიაზე და ზურგიდან გაუნადგურებიათ მტერი. ელიას მთაზე ნაპოვია გვირაბის რამოდენიმე მტერი, მაგრამ დაზუსტებული არ არის“(მთხრობელი: იოსებ მენთემაშელი - ადგილობრივი ეთნოგრაფ-ისტორიკოსი, ჩაწერილია 1987-88 წწ-ში).

...1104 წელს ხორნაბუჯის მაღალ კოშკზე ამაყად აფრიალებულა დავით აღმაშენებლის „ყოველი საქართველოს დროშა“, აქედან 1266 წ-მდე კამბეჩოვანი ქართველ მეფეთა უღალატო დასაყრდენი გამხდარა...

1265 წლამდე ხორნაბუჯის საერისთავო უძლიერესი ყოფილა. აქ მონაცვლეობით სამი არისტოკრატიული გვარი ბატონობდა: ბაგრატიონები, კოლონკელიძენი და მახატლისძენი.

მეფეთა-მეფის თამარის ხანაში ხორნაბუჯში მსხდარან მახატლისძენი, რომელთა შიშით „ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედას განძასა და ბარდავს.“

„მტერს შეუნიშნავს, რომ მზე
ზუსტად ციხის თავზე იყო,
თითქოს ზედ იჯდა“



არსებობს თქმულება: „პირიმზე-თამარი მეუღლე დავით სოსლანთან ერთად ქვეა კამბეჩოვანს, ჯერ წმ. ნინოს საფლავი მოილოცა, ორი კვირა იცხოვრა ხორნაბუჯში, წმ. ელიას მონასტერს ოქროს ქოში აჩუქა, ფეხით დაიარა ივრისპირეთი, სადაც ქურციკი გაუჩერდა წინ, მივიდა თამარი-ნადვლიანი თვალები ამოუკოცნა, სამეფო ყორულად (ნაკრძალად) გამოაცხადა მთელი მხარე. იმ წელს სულ ოქროსთმიანი ქალ-ვაჟები იბადებოდნენ კამბეჩოვანში.“

წმ. მეფე თამარი მართლაც ყოფილა კამბეჩოვანში და ხორნაბუჯშიც უცხოვრია, აქედან მოდის ამ ქალაქის ესოდენ გავრცელებული სახელი — თამარის ციხე, ან თამარ-გოხები.

კიდევ ერთი ლეგენდაა წმ. მეფე თამართან დაკავშირებული:

ხორნაბუჯში გაჩერებულს, გასეირნება მოუსურვებია, ამაღლა გაუყოლებია და აღმართს შესდგომია. ვიწრო ბილიკი დაბურულ ტყეს მიუყვებოდა. ტყე რომ გაუვლიათ, ერთ მოქაჩლო მალლობზე მოხვედრილან, იქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი შიგა კახეთი. ზედ მთის წვერზე ქვესკნელიდან კამკამა წყარო ამოჩუჩხუხებდა. თამარ მეფეს ოქროს თასით წყალი დაუღვია და უთქვამს — ვეჭვობ ასეთი სასმელი წყალი სხვაგან იყოს, ცოდვია ამისთანა წყალი უსარგებლოდ რომ იღვრებოდეს, ციხეს დაუახლოვით, ამ მშვენიერ სათავეს კი ნუ მოუშლით ტყის ბინადართ, დასალევ წყალს ნუ მოუსპობთ. ხორნაბუჯის პატრონს საღირ მახატლის ძეს აღუთქვამს, რომ მეფის ნება-სურვილი ასრულდებოდა.

თამარს ისე მოსწონებია წყარო, რომ ვიდრე იქ იყო, ყოველდღე დადიოდა და ცოცხალს სვამდა, ხოლო როცა სატახტო ქალაქს დაბრუნებულა, ვეზირები უგზავნიან „ჭოეთის აიაზმის“ ჩამოსატანად. იმავე წელს წყაროს წყალი თიხის მიღებით მიუყვანიათ ხორნაბუჯის ციხემდეო.“

XII-XIII სს კამბეჩოვანში 60-80 ათასამდე კაცი ცხოვრობდა. თვით ხორნაბუჯში 10-15 ათასი მცხოვრებია. ქალაქი წარმოადგენდა ვრცელ ანსამბლს, ცალკე უბნების სახით, მასში შედიოდა: ციხის უბანი, ყოლონთო(იგივე კოლოთო), ჭოეთი, ყარაღაჯი (სადაც ერისთავთა სასამთრო რეზიდენცია იყო) და დედოფლისწყარო.

XIII ს-ის 60-იან წლებში ბერქა-ყაენის ლაშქრობის დროს 1256 წელს ეცემა ჭოეთის ტყეში დამარხული ქალაქი „კარგო“; ხორნაბუჯის ძლიერება ეცემა, საქალაქო ცხოვრება კვდება და ამ დროიდან აღარც განახლებულა, მტკვრის მარცხენა სანაპირო და იორ-ალაზნის ქვემო წელის დასახლებები მოსახლეობისგან დაიცალა, გაუკაცრიელდა მთელი მხარე, დაყრუვდა ელდარ-სამუხი, ივრისპირები, გაწყდა ქართველი მოსახლეობა, გადარჩენილები დასავლეთით გაიხიზნენ, ცოცხლობის კალთებს შეაფარეს თავი. შეიქმნა გამაგრებული სოფლების მწკრივი: უკანა მხარი და წინა მხარი. ამიერიდან აღარ არსებობს ხორნაბუჯის საერისთავო, გაუქმდა ხორნაბუჯის საეპისკოპოსო კათედრა. თუმცა ხორნაბუჯის ციხეს მნიშვნელობა არასდროს დაუკარგავს. ბერქა ყაენის მიერ მოხრეხული და დანგრეული ეს ციხე-სიმაგრე არაერთხელ აღუდგენიათ გვიან საუკუნეებში.

ციხე-ქალაქი XVI ს-ში ალექსანდრე კახთა მეფემ განაახლა, XVII ს-ის I მეოთხედში ხორნაბუჯში რეზიდენცია ჰქონია ირანის შაჰს, 1625 წელს, გაზაფხულზე, ხორნაბუჯი გიორგი სააკაძემ გაათავისუფლა.

1656 წელს როსტომ მეფე როინ ჯვახიშივილისა და მისი შვილებისადმი მიცემულ სიგელში წერს: „ჩვენს ძმისწულს მეფეს სვიმონზედა ნამსახურნი იყვნით და იმათის ერთგულობისთვის ბატონს თეიმურაზს დაეტყვევნით და ხორნაბუჯის ციხეში შეეგდევით...“ (ამ სიგელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ციხე-სიმაგრის კედლები უფრო გვიანაც რომ არ შეეშენებინათ — აღედგინათ, ცხადია მეფე თეიმურაზი იქ ურჩ თავადებს ვერ გამოჰკეტავდა.)

უკანასკნელად ხორნაბუჯის ციხე აღადგინა და გაამაგრა მეფე ერეკლე II-მ, რათა ლეკიანობის წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში გამოეყენებინა.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს იმის თქმის უფლებას, უეჭველად, ფრიად სტრატეგიულ ადგილზეა ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე აშენებული. იგი ფლობდა მის წინ მომდგარ გადაშლილ უზარაზარ ველს ალაზნისას და მის უკან მომდგარ ქიზიყის მალლობს. მნიშვნელოვან გზათა საყარზე მდგომი, იგი არა მარტო აკონტროლებდა „წინა მხრიდან“, „უკანა მხარში“ (ივრის ზეგანზე) გარდამავალ მთავარ გზას, არამედ შირაქიდან ქიზიყის გადაკვეთის კვანძზე მდებარეობდა. ქალაქი ხორნაბუჯი ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდამდე (V ს.) უფრო ადრე - „კერძოდ კი III ს-ის მეორე ნახევარში უკვე განვითარებული ქალაქი ყოფილა უჯარმასა და ჭყერმთან ერთად. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ განვითარებული ქალაქის აღმოცენება ცარიელ ადგილზე არ მოხდებოდა. ამას ამტკიცებს როგორც წერილობითი (სტრაბონი), ისევე მდიდარი არქეოლოგიური მასალაც. ესენია ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის ნამოსახლართა წყება შირაქის პლატოს ჩრდილო განაპირა ნაწილის გაყოლებით გედიქის ხეამდე და შემდეგ ხევის ორივე მხარეს. დიდი შირაქის ქალაქური ტიპის დასახლებები (ძვ.წ. IX-VII სს), ამავე პერიოდისაა დასახლებებიდან ცალკე გამოყოფილი ხირსის დიდი სამეთუნეო სახელოსნოც“ (კ. ფიცხელაური, 1965 წ. გვ.54-60, 1970 წ.), „იგი ხორნაბუჯის უბანს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც აქ უკვე ამ დროს ქალაქური ტიპის და დასახლებებზე უნდა მიგვანიშნებდეს“ (ნ.ამაიაშვილი - ქალაქი ჭყერმი, თბ. „მეცნიერება“, 2004 წ.).

ამგვარად, ხორნაბუჯის მიდამოებში დიდი ქალაქური დასახლების არსებობა ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს აქ დიდი ქალაქური დასახლების ძველ ტრადიციებზე მიგვანიშნებს.

ჩემი დიდი სურვილი იყო, რომ ჩემი თანატოლებისთვისაც გამეცნო ეს ისტორია, რათა ჩამოვიდნენ დედოფლისწყაროში და მოინახულონ ხორნაბუჯის ციხე, რომელიც უკვე დატანილია ვაშლოვანის ეროვნული ნაკრძალის ტურისტულ გზამკვლევებში, რადგან დღესდღეისობით ეს ტერიტორია უკვე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედის, რაც ძველის გადარჩენისა და დაცვისთვის საუკეთესო პირობაა.

ვისწავლოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენი წარსულის ტკივილიან და სისხლით დაწერილ ისტორიას!

ადამიანი და ცადარი

(ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის შემდეგ)

დამეთანხმებით, არც ისე მარტივია დაწერო უნივერსიტეტზე, რომლის შესახებაც მხოლოდ ფურცლებიდან იცი, ან მედიის საშუალებებით გსმენია. ვერც იმას დავიკვირებ, უნივერსიტეტების ოჯახში გავიზარდე-მეთქი. ერთადერთი აქაური ჩემი გამზრდელი დეიდაა, ყოველთვის თბილად რომ იგონებს იურიდიულ ფაკულტეტზე გატარებულ წლებს. მე კი რა მეთქმის სიბრძნის თეთრ ტაძარზე, ჭაუჭაყაძის პროსპექტზე გავლისას ხშირად ინტერესით რომ შემიხედავს მხოლოდ?

უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილი განუყოფელია ყოველი ქართველისთვის. ბევრი ლექსი მიუძღვნიათ „ბატონი უნივერსიტეტისათვის“, როგორც მას ქართველი მწერალები უწოდებენ. „ოთარაანთ ქვრივისთვისაც“ შეუდარებიათ თავისი სიმკაცრით. ჩემთვის კი ჯერ შეუცნობელი სიბრძნის საუნჯეა, რომლის ზიარების სიხარული წინ მაქვს.

საამაყო თაობების აღმზრდელი ვის აღარ მასპინძლობდა გულუხვად. აქ უყვარდა თურმე გალაკტიონს ჭადრებთან დგომა და სტუდენტებთან გაბაასება. რამდენი მწერალი და სასიქადულო მამულიშვილი გამოკვება დაუმრეტელი სიბრძნით და რაც მთავარია, შეაყვარა ყველაფერი ქართული და საქართველო. სწორედ ეს იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის მიზანი. სწორედ ამიტომ იღვწოდა დაუღალავად და არ შეშინებია ათასგვარ წინააღმდეგობას თუ გამოწვევას. ის არის სიმბოლო ადამიანის ამოუწურავი შესაძლებლობებისა. რაც ვერ შეძლო ილიამ თერგდა-



ბექა ზამთარაძე

ლეულებთან ერთად, ამ ერთმა ადამიანმა თანამოაზრეების შემოკრებით დაულალავი შრომის შედეგად აღასრულა. უნივერსიტეტის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 50-იან - 60-იან წლებში მოსვენებას არ აძლევდათ ჩვენს დიდ მამულიშვილებს. მაგრამ ცარიზმი მკაცრად უარყოფდა მათ მოთხოვნას ინტელექტუალური მოუშხადებლობის გამო. გიმნაზიის აშენების დროს სწორედ უნივერსიტეტის დაარსება იყო გამიზნული. ახლანდელი თეთრი ტაძრის ადგილზე სამკურები ყოფილა. ნიკო ცხვედაძის ინიციატივით დაიწყო სათავადაზნაურო სკოლის მშენებლობა 1898 წელს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ შენობა ქართველ პროფესორებსა და სტუდენტებს უმასპინძლებდა.

1907 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს აყალიბებს, მასში მომავალი „უნივერსიტეტელები“ ერთიანდებიან. 1914 წელს რუსეთის მეფის მთავრობამ კერძო სასწავლებლების დაარსების შესახებ კანონი გამოსცა. ამ დროიდან მეცნიერმა დაიწყო ქართველი სტუდენტებისა და პროფესორების მოძიება, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საბოლოოდ გადაწყვიტა უნივერსიტეტის ბედი. ჯავახიშვილმა შეკრიბა თანამოაზრეები ლახტინის ქუჩაზე მდებარე ბინაში: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვანი. ამ საკითხზე კინოთეატრ „ელიტში“ ეროვნულმა კომიტეტმა კრება ჩაატარა. ივანე ჯავახიშვილს ბევრი მხარდამჭერი და მოწინააღმდეგეც მრავლად ჰყავდა. ნიკო ნიკოლაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებას მოითხოვდა, ზოგსაც დამღუპველად მიაჩნდა ეს იდეა.

1917 წლის 12 მაისს თბილისში ჩატარდა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა კრება, თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი იქნა არჩეული (აკაკი შანიძე, კორნელი კეკე-



ივანე ჯავახიშვილი

**თსუ-ს დამაარსებლები**

ლიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვ.) კრებაზე მოხსენებით ჯავახიშვილი შემდეგი სიტყვებით წარსდგა: „თუ ჩვენ გვსურს ერის გონებრივ და კულტურულ განვითარებას ფესვები გავუმაგროთ, ქართული მეცნიერების შექმნასა და აყვავებას ხელი უნდა შევუწყოთ, რადგან ერის ყოველი წარმატება მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“.

ამ მისიით ჯავახიშვილი 1917 წლის 17 მაისს ქუთაისში ჩადის. რამდენჯერმე კრებები დამსწრეთა სიმცირის გამო ჩაიშალა. უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა უწყვეტად მიმდინარეობდა. კრებებზე მთავარი საკითხი ფინანსების მოძიება იყო. კოტე აფხაზმა ფულის მოპოვების სამი გზა განიხილა: პირველი, საჯარო მოძღვრების ლატარეის გამართვა, რასაც მთავრობის ნებართვა სჭირდებოდა; მეორე, ქართველთა შორის შემოსავლებიდან გადასახადების დაწესება; მესამე, კოოპერატივებიდან დახმარებების მიღება.

გარდა ფინანსებისა მნიშვნელოვანი საკითხი იყო სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენა, უცხოელი მეცნიერების მოწვევა და ქართველი პროფესორებისათვის პირობების შექმნა. 1917 წლის 3 ოქტომბრის უნივერსიტეტის საზოგადოების კრებას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ პეტრე მელიქიშვილი იქნა არჩეული. ამ დღიდან საზოგადოებას შეემატნენ: შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, შ. მესხიშვილი და სხვ.

1917 წლის 8 ოქტომბერს კრებაზე, რომელსაც ისევ ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა განიხილა. თავდაპირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გახსნა დაიგეგმა, რომელსაც მოგვიანებით სამკურნალო ფაკულტეტიც დაემატებოდა.

1917 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტის დებულება დამტკიცდა. დეკემბრის ბოლოს უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება ოფიციალურად გამოცხადდა.

პროფესორები თავისი ხელით ღებავდნენ და აკეთებდნენ აუდიტორიებს, რომელიც გიმნაზიის შენობაში სამ ოთახს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი მძიმე ფიზიკური შრომისას ივანე ჯავახიშვილი მერხის ქვეშ მოექცა და დაშავდა, თუმცა მუშაობა წამითაც არ შეუწყვეტია. 1918 წლის 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი ოფიციალური სხდომა. კრებას თავმჯდომარეობდა პეტრე მელიქიშვილი, წევრებს შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვ. ამ სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორი იქნა არჩეული. თავდაპირველად

ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს, თუმცა მან პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერა სთხოვა დამსწრეებს: „ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“. მართლაც, რექტორად ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდიანად იოსებ ყიფშიძე.

1918 წლის 20 იანვარს უნივერსიტეტის გამგეობის სხდომაზე გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნის თარიღი. მოსე ჯანაშვილი ამ ფაქტს ასე გამოეხმაურა: „ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდღეობა... ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად“...

1918 წლის 26 იანვარს, წყნეთის 41 ნომერში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ საგანგებო პარაკლისი გადაიხადა. 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტს სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭა.

გახსნის დღეს ხალხის სიმრავლის გამო ივანე ჯავახიშვილმა დაგეგმილი ლექცია 30 იანვარს წაიკითხა. პირველი ლექციის თემა იყო: „აღამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“.

1918 წლის პირველი სემესტრისთვის უნივერსიტეტს 17 მეცნიერ-ხელმძღვანელი და ლექტორი ჰყავდა. უნივერსიტეტის გახსნა მოხდა 369 სტუდენტით, აქედან 89 თავისუფალი მსმენელი იყო. 1918 წლის სექტემბრისთვის უნივერსიტეტს ქართული გიმნაზიის შენობა მთლიანად დაეთმო.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მრავალი წიგნი გადაეცა საჩუქრად, მათ შორის, დავით სარაჯიშვილის მთელი წიგნადი ფონდი, თედო ჟორდანიას ბიბლიოთეკა და სხვ.

თავდაპირველად სწავლება ფასიანი იყო. შემოწირულობებით უნივერსიტეტი ფართოვდებოდა. მალე საკუთარი გამომცემლობა და გაზეთი დაარსა: „უნივერსიტეტის მოამბე“, რომლის რედაქტორიც აკაკი შანიძე იყო.

უნივერსიტეტის გერბი დიმიტრი შევარდნაძემ შექმნა, გერბზე გამოსახულია შველი, რომელიც ნუკრს მუძუს აწოვებს. ეს უნივერსიტეტის სიმბოლოდ იქცა. იმ პერიოდში უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი არსებობდა დოქტორის ანუ მოძღვართ-მოძღვარისა. 1920 წლის 9 მაისს მოხდა პირველი დაცვა, პირველი დისერტანტი იყო აკაკი შანიძე თემით: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. საბჭომ შანიძეს ენათმეცნიერის დოქტორის ხარისხი მიანიჭა. 1919 წელს დაიბეჭდა შალვა ნუცუბიძის „ლოგიკა“, რასაც მოჰყვა მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება.

1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. თუმცა რამდენიმე დღით ადრე საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ მისი კანდიდატურის განხილვა რექტორად არ მომხდარიყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით პეტრე მელიქიშვილის გამოხმაურებაში ვკითხულობთ: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოვება

და შეეხიარება“.

1921 წლიდან ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესაბამისად უნივერსიტეტშიც მდგომარეობა იცვლება. 25 თებერვალს ივანე ჯავახიშვილი მებრძოლ სტუდენტებს გზას უღოცავს. იმავე დამეს რექტორი შენობის კარს შიგნიდან რაზავს, რომ მტერთაგან დაიცავს. 1924 წელს ივანე ჯავახიშვილს აპატიმრებენ. გისოსებს მიღმა დარჩენილი პროფესორი შესვლისთანავე თანამოსაკნებებს ამხნეებს და პირდება, რომ მომავალი დღიდან დაიწყებდა ლექციების წაკითხვას საქართველოს ისტორიის შესახებ.

1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. 1926 წლიდან რექტორს ზემდგომი ორგანოები ნიშნავდნენ. უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა 1992 წლამდე.

1926 წლიდან იწყება ივანე ჯავახიშვილის ღვეწა. დამარსებელი უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. ივანე ჯავახიშვილს „მავნებელსა“ და „მხოხავ ემპირისტს“ უწოდებდნენ. დიდი მეცნიერი თავის გულისტკივილს მხოლოდ ახლობლებს უზიარებს: „საზოგადოებაში აღარ გამესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ჩემთან მოახლოებისა ეშინიათ და ვგრძნობ, ამავე დროს, ჩემი რცხვენიათ“.

1928 წელს შემდეგი ხასიათის განცხადებები ვრცელდება: კომუნისტებს უნდა მიეცეთ დავალება არ მოექცნენ უნივერსიტეტის პროფესორის გაგლენის ქვეშ, არამედ თვითონ მოახდინონ გაგლენა პროფესურაზე. განდევნილი პროფესორი უნივერსიტეტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაც ხელისუფლებას ძალიან აღელვებდა. მოწაფეებს წამით არ დაუტოვებიათ მოძღვრის სახლი, ისინი პროფესორს ბალიდან დარაჯობდნენ. ამ დროს ჯავახიშვილი უძრავად იჯდა და გაყინული უწყვეტად მუშაობდა დიდ ოთახში.

1930 წლის 7 ივლისის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ჩატარდა უნივერსიტეტის ვერეთ წოდებული „რეორგანიზაცია“ - დაიშალა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად. ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა არასაიმედო მეცნიერთა წინააღმდეგ. 1930 წლის 13, 14, 15 და 17 დეკემბერს პედაგოგიურ ინსტიტუტში შეკრებებზე განიხილებოდა დიდი მეცნიერის საქმე. რექტორი ივანე ვაშაყმაძე ივანე ჯავახიშვილის პიროვნებას და მის საქმიანობას ეჭქვეშ აყენებს, ფეოდალურ-ნაციონალისტად მოიხსენიებს, მის ღვაწლს კი უკანდახვევად მიიჩნევს. მსგავ-

სი პათოსი სხვა გამომსვლელებსაც ჰქონდათ. ცხაკაიამ ბრალი დასდო ივანე ჯავახიშვილს და განაცხადა, რომ ის არც ისეთი დიდი მეცნიერი იყო. მას მხარი დაუჭირა სტუდენტების გარკვეულმა ჯგუფმა, ასპირანტ სეგარიონ ყალიჩავს გამოსვლამ კი დამსწრე კომუნისტების მქუხარე ტაში დაიმსახურა: „რევოლუციის აღმშენებლობისათვის არ არის დავით აღმაშენებელი საჭირო, არამედ ის წითელი დროშაა, რომელსაც აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, — ალტკინებით განაცხადა გამომსვლელმა.

1931 წლის 28 მაისს მთავრობის ბრძანებით ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააძევეს. 1933 წელს კი სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ მუშაკად გადაყვანილი პროფესორი უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის გამგედ დააბრუნეს, თუმცა მალე ძველი და ახალი ისტორიის კათედრები გააერთიანეს და მეცნიერი ისევ ჩამოიშორეს.

1936 წლის დასაწყისში კვლავ გამძაფრდა ბრძოლა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. პროფესორი ამ პერიოდში ვარლამ დონდუას წერს: „განახლდა ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა უნივერსიტეტში. რექტორმა ორაგველიძემ სამსაათიანი მოხსენება წაკითხა, რომელშიც ყველა ჩემი ნაწარმოების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა... ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა...“

ასეთი ტკივილიანი ისტორია ჰქონდა უნივერსიტეტის დამარსებელს. მისი ცხოვრება სავესე იყო ღალატითა და ორგულობით, თუმცა დიდი სიყვარული ხალხში არასოდეს განელეებულა.

1940 წლის 18 ნოემბერს ლექციის კითხვის დროს გარდაცვლილი მეცნიერი უნივერსიტეტმა მიიბარა. მადლიერმა შთამომავლობამ 1989 წელს უნივერსიტეტს მისი დამარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი უწოდა.

მას შემდეგ მრავალი თაობა გაიზარდა ამ კედლებში, მრავალი პროფესორ-მასწავლებლის ლექცია ახსოვს „ბატონ უნივერსიტეტს“. მიუხედავად არც ისე დიდი ხნოვანებისა, მრავალფეროვანი და ქართველიანია მისი ისტორია, არავის სახელი დავიწყებია სიბრძნის თეთრ ტაძარს. საქართველოს ეროვნული ცნობიერების გადარჩენა სწორედ უნივერსიტეტის მძლავრი გენის დამსახურება და ივანე ჯავახიშვილის თავგანწირვის შედეგია.

მე კი ვინატრებდი, დიდი ივანე ჯავახიშვილის კვალად გვევლოს მის შთამომავლებს!



წიგნის წარღვენა ღედოფლისწყაროში - ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე

გერმანულმა გამომცემლობა Pop-Verlag-მა ახლახან გამოსცა ჩვენი თანაქალაქელის — ირმა შიოლაშვილის, კიდევ ერთი პოეტური კრებული, რომელიც ორენოვანია და მასში შესულია ახალი ლექსები ქართულ და გერმანულ ენაზე.


ღედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციამ, რომლის საპატიო თავმჯდომარეა ვანო ნატროშვილი და თანათავმჯდომარე და ამ ლამაზი ღონისძიების ორგანიზატორი ნანა ჭიჭინაძე, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ „ღედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში შეხვედრა მოუწყო პოეტს და ახალი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრა მიძღვნილი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი. ირმა შიოლაშვილი 1991-1996 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ირმა გერმანიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, ბონში, ცხოვრობს. იგი რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, ფლობს დოქტორის ხარისხს და მიჰყავს რადიოგადაცემა „სარკმელი საქართველოსკენ.“ ღედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ მას „წარმატებული ღედოფლისწყაროელის“ წოდება მიანიჭა, ხოლო შარშან „წარმატებული ემიგრანტი ქალის“ — სტატუსით დააჯილდოვეს.

საპრეზენტაციო წიგნი იყო „თავდაყირა“, რომელშიც იგრძნობა მისი ფაქიზი პატრიოტული სული.

ირმას მოეფერნენ და თბილი სიტყვებით მიმართეს მასწავლებლებმა: თამარ ალადაშვილმა და დარეჯან ყოჩიაშვილმა.

თანაკლასელებმა გაიხსენეს ბავშვობის წლები. სიტყვით გამოვიდნენ ბავშვობის მეგობრები: მარიკა პოპიაშვილი და ეკა ზურაშვილი.

დამსწრე საზოგადოებიდან ავტორს მიმართა: ეგული და დიმიტრი ყოჩიაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა და თამარ ლობჯანიძემ, ნათელა პოპიაშვილმა და ქეთევან მჭედლიშვილმა. მათ ყველას უნდოდა თავისი სიტბო და სიყვარული გაეტანებინა გერმანიაში — „იქ ცოცხალი გერმან-



იაში წაიყოლეთ ჩვენი თვალების სიტბო.“

შეხვედრა გააგრძელა ქალბატონმა მანანა მაჭარაშვილმა, რომელიც შეუხო ირმას სადისერტაციო ნაშრომს. ასევე, სიტყვით გამოვიდა ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ბოსტოლანაშვილი და პოეტი კაკო სამუკაშვილი, რომელმაც აღნიშნა: „ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ირმა წარმატებულია აქაც და იქაც, ჩვენ ერთი — ღუღუშაურების ბუდიდან ვართ აფრენილი და შეამაყება, რომ მასში მთის ქალის სიმტკიცეს ვხედავ. მადლობელი ვარ, რომ ქართულ კულტურას, ქართულ სულს აცნობ დიდ გერმანელ ერს. შემოქმედის ვალია, ჩვენი ქვეყნის ტკივილი მიიტანოს ვეროპამდე და შენ ამას კარგად ართმევ თავს.“ ბოლოს სამადლობელი სიტყვით თვითონ ირმა შიოლაშვილმა მიმართა საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ გერმანიაში ოცი წელი მას სწორედეს ეს სიყვარული ასაზრდოებს.

ამ შეხვედრაზე მოხდა კიდევ ერთი საინტერესო წიგნის წარღვენა — ეთერ კაპანაძის „რაც გავიხსენე.“ წიგნი განიხილეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა თამარ ჯავაშვილმა და ნინო პოპიაშვილმა.

წიგნის ავტორი მადლობას უხდის ყველას, ვისაც ცხოვრებამ შეახვედრა და ვინც კვალი დატოვა მის ცხოვრებაში, მადლობელია მეუღლის — გიორგი ფირცხალავასი, შვილების — ქეთევანის და გიორგის; მათი ახლობლები არიან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) და წმ. სერაფიმე საროველის დედათა მონასტრის წინამძღვარი დედა სერაფიმა (კაპანაძე).

დედა სერაფიმა ღონისძიებას ესწრებოდა და ბევრი რამ გაიხსენა ამ ოჯახის ცხოვრების შესახებ.

საღამო ძალიან თბილი და ლამაზი გამოვიდა. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის.

ქეთევან მჭედლიშვილი
ღედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის
მუზეუმის დირექტორი,
ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრის ხორნაბუჯი-
თამარის ციხე კორდინატორი



